დამოუკიდებელი და ზეპარტიული
WWW.ASAVALI.COM
# ასავალ დასავალი
2022 წლის 24 - 30 ოქტომბერი
N 44 1456
ფასი 3 ლარი და 90 თეთრი



8-9

არნო ხიდირბეგიშვილი:

STALIN 24

რატომ აირჩიეს ამ დაძაბულ დროს პროვოკაციისათვის რუსული თეატრი საქართველოში? აშკარაა, ვიღაცას ძალიან ენატრება ომი...




## თეატრს ნუ ათამაშებთ!

## არესტოვიჩი და არტისტოვიჩი საქართველოს ომით ემუქრებიან!

2-3




მერაბ რატიშვილი:

## მთავარზე კაციშვილი არ ლაპარაკობს!



21

## აი, მიზეზი!

„გუდაუთის მაღლობიდან, სადაც 500 მილიონი ტონა ნავთობის მარაგია, ერთი ძარღვი ანაკლიისკენ მოდის!“

## ტროას მტრედი

13

## ზელენსკის მთავრობა თავისი არახამიებითა და არესტოვიჩებით, საქართველოს ნამდვილი მტერია!

4

გოგა ხაინდრავა:



7

ტაკიმასხარა ზელენსკი იმის მაგივრად, რომ რუსეთს ებრძოლოს, საქართველოს ებრძვის!

ელიზბარ ჯაველიძე:





## „მთელი ევროპა ჰიტლერის გვერდით იდგა!“

15




# არესტოვიჩი და არტისტოვიჩი საქართველოს ომით ემუქრებიან!

***ზელენსკის უკრაინა საქართველოს ოფიციალურ მტრად რომ უნდა გამოცხადდეს, ამის თაობაზე ჩვენ ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინათ დავწერეთ და „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას მოვუწოდეთ, შეეშვას საკუთარი თავისა და ქართველი ხალხის მოტყუებას, თითქოს დღევანდელი უკრაინა და საქართველო მეგობარი სახელმწიფოები არიან.***

უკრაინის დღევანდელი სახელმწიფო საქართველოს მეგობარი რომ არ არის, მეტიც, უკრაინის დღევანდელი სახელმწიფო საქართველოს მტერი რომ არის, ამას **ზელენსკის ხელისუფლებაში მოკალათებული პოლიტიკური ნაბიჭვრები** ყოველდღიურად ამტკიცებენ.

მარტო გასული 7 დღის განმავლობაში 4 ისეთი ამბავი მოხდა, რომელიც კიდევ ერთხელ უტყუარად ადასტურებს, რომ ზელენსკის ხელისუფლება საქართველოს მტერია!

დავიწყოთ იმით, რომ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში უკრაინის წარმომადგენლებმა ყველაფერი გააკეთეს, რათა რეზოლუციაში, სახელწოდებით — **„უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის ფედერაციის აგრესიის შემდგომი ესკალაცია“,** შესულიყო შესწორება, რომელშიც მიხეილ სააკაშვილი **„პუტინის წინააღმდეგ მებრძოლ პოლიტიკურ პატიმრად“** არის მოხსენიებული. რეზოლუციაში აღნიშნული შესწორების შეტანას ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 600 წევრიდან მხოლოდ 56-მა დაუჭირა მხარი და აქედან 11 უკრაინელი დეპუტატია, მათ შორის — **სააკაშვილის ახალი ცოლი, უკრაინის რადას წევრი ლიზა იასკო.** თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციაში პატიმარი ნაცბელადის მოხსენიებას საქართველოს წარმომადგენლობიდან ხმა მხოლოდ ნაცმოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა, **სააკაშვილის ძმის ყოფილმა ცოლმა ხატია დეკანოიძემ** მისცა, ასეთ სურათს მივიღებთ — **მიხეილ სააკაშვილი „პუტინის პოლიტიკურ პატიმრად“ მოქმედმა ცოლმა და ყოფილმა რძალმა გამოაცხადეს!**

ცხადია, უკრაინულმა დეპუტაციამ მშვენივრად იცოდა, რომ რეზოლუციას, რომელშიც სააკაშვილი **„პუტინის პოლიტპატიმრად“** იქნებოდა მოხსენიებული, საქართველოს სახელისუფლო დელეგაცია მხარს არ დაუჭერდა, მაგრამ **ლიზა იასკოს, ალექსი გონჩარენკოსა და სხვა ზელენსკელებისათვის** მნიშვნელოვანი აღმოჩნდა არა ის, მისცემდა თუ არა ხმას საქართველო უკრაინის მხარდამჭერ რეზოლუციას, არამედ ის, რომ ამ რეზოლუციაში სააკაშვილის შესახებ აბსურდული ჩანაწერი გაკეთებულიყო. თან, უკრაინულმა დეპუტაციამ ისიც გათვალა, რომ საქართველოს მიერ უკრაინის მხარდამჭერი რეზოლუციისათვის ხმის არმიცემა ზელენსკის ხელისუფლებას ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ ბინძური და შეურაცხმყოფელი კამპანიის მორიგი ტალღის ასაგორებლად გამოადგებოდა.

მოკლედ, **უკრაინის პოლიტიკურმა ელიტამ კიდევ ერთხელ მოახდინა იმის დემონსტრირება, რომ საქართველოზე მაღლა სააკაშვილს აყენებს!**

**ზელენსკის ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ მკაფიოდ გამოხატა, რომ საქართველოს კი არა, სააკაშვილის მეგობარია!**

უკრაინის დღევანდელი ხელისუფლება საქართველოს მტერი რომ არის, ამის მორიგი დემონსტრაცია გახლდათ სტრასბურგში ევროსაბჭოს მაღალჩინოსნებთან ოფიციალურ აუდიენციაზე **ზურაბ ადეიშვილის** გამოჩენა უკრაინის გენერალური პროკურორის **ანდრეი კოსტინის** გვერდით. მოგეხსენებათ, ქართული სახელმწიფოს მიერ ძებნილი და მსჯავრდებული **ადეიშვილი,** რომელიც სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის დედაბოძი და მწამებელ-გამაუპატიურებელი სისტემის ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი იყო, **ზელენსკის ხელისუფლებას გენპროკურორის მრჩევლად** ჰყავს გამწესებული და უკრაინის სახელმწიფოს სახელით მაღალი დონის საერთაშორისო შეხვედრებზეც აგზავნის.

თავისთავად ცხადია, რომ უკრაინა, რომელსაც ქართველი ხალხის მტერი **ზურაბ ადეიშვილი** საკუთარი კალთის ქვეშ ჰყავს შეფარებული, საქართველოს მეგობარი არ არის, ხოლო უფრო გახსნილად და შეულამაზებლად თუ ვიტყვით, **ქართველი ხალხის მტრის, საქართველოს ათასობით მოქალაქის გამაუბედურებლის, სისხლის სამართლის უმძიმესი დამნაშავის ზურაბ ადეიშვილის თანამდებობაზე დამნიშნავი უკრაინა საქართველოს მტერია.**

გვერდზე უნდა გადავდოთ ყალბი პოლიტკორექტულობა, სანაგვეზე მოვისროლოთ ცრუმორალისტურ საბურველში გახვეული სენტენცია, **თითქოს „ომში მყოფი მეგობარი ქვეყნის შესახებ ძვირის თქმა არ ეგების“** და პირდაპირ განვაცხადოთ: **უკრაინის სახელმწიფო, რომელსაც ადეიშვილის მსგავსი სისხლიანი ჯალათი გენერალური პროკურორის მრჩევლად უზის და ევროპაში მაღალი დონის დელეგაციის წევრად ჰყავს, კართაგენივით უნდა დაინგრეს!**




**უკრაინის გენერალური პროკურორი ანდრეი კოსტინი და მისი მრჩეველი ზურაბ ადეიშვილი ევროსაბჭოში**

## უკრაინის სახელმწიფო, რომელსაც ადეიშვილის მსგავსი სისხლიანი ჯალათი გენერალური პროკურორის მრჩევლად უზის და ევროპაში მაღალი დონის დელეგაციის წევრად ჰყავს, კართაგენივით უნდა დაინგრეს!

და კიდევ: **ევროპა, რომლის პოლიტიკური ინსტიტუტებიც ადეიშვილის მსგავს სისხლიან ჯალათს კარებს ულებენ და ხელს ართმევენ, თავისი მორალური ხრწნილების ჭაობში უნდა ჩაიხრჩოს!**

კიდევ ერთი მაგალითი, რომელიც ადასტურებს, რომ უკრაინის დღევანდელი სახელმწიფო საქართველოს მტერია, **ბიძინა ივანიშვილის ოჯახის წევრებისათვის ფინანსური სანქციების დაწესება** გახლავთ. კერძოდ, **პრეზიდენტ ზელენსკის** მიერ გამოცემული განკარგულების საფუძველზე, სანქცირებულ ბიზნესმენთა სიაში მოხვდნენ **ბიძინა ივანიშვილის ძმა ალექსანდრე ივანიშვილი** და მისი მეუღლე **ქეთევან ხარაიძე,** ასევე ბიძინა ივანიშვილის დეიდაშვილი **უჩა მამაცაშვილი** და მისი ვაჟი **ტიტე მამაცაშვილი.**

უკრაინის ხელისუფლებას არ წარმოუდგენია არცერთი დასაბუთება და კონკრეტული მტკიცებულება, რომელიც ცხადყოფდა, რომ ივანიშვილის ახლო ნათესავები რუსულ ფინანსურ

## კვირგვინოსნები



**ირაკლი ღარიბაშვილი**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*

იმედი გვაქვს, რომ წლევანდელ წელს **ორნიშნა ეკონომიკური ზრდის** მაჩვენებლით დავასრულებთ.

„რეზონანსი“



**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*

სამწუხაროა, რომ ქართულ პოლიტიკაში ჯერ კიდევ არსებობენ ადამიანები, რომლებიც ცდილობენ, **ტრაგედიაც საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენონ,** მათ საქციელს საზოგადოება შეაფასებს. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, **მზად ვარ, თუკი ჩემი თუნდაც მცირედი ბრალეულობა გამოიკვეთება, სრული სიმკაცრით ვაგო პასუხი კანონის წინაშე.**

„პირველი არხი“



**ირაკლი კობახიძე**
*„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე*

უკრაინის ხელისუფლებასთან ათი წელია, **ცალმხრივი მეგობრობა, ცალმხრივი სოლიდარობა** გვაკავშირებს, რაც ძალიან მძიმეა. **ადეიშვილი** მსოფლიოში ერთ-ერთი მახინჯი რეპრესიული მანქანის შემოქმედი იყო.

„ინტერპრესნიუსი“



**არჩილ თალაკვაძე**
*პარლამენტარი*

ბევრმა იცის, რომ **სააკაშვილი** არის არა **პუტინის** მოწინააღმდეგე, არამედ მოკავშირე, რადგან წლების განმავლობაში მისი და მისი გუნდის მიერ ჩადენილი დარღვევები **რუსეთის ინტერესებში** შედიოდა.

„პირველი არხი“



**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*

რეზოლუციას, რომელშიც ჩაიწერება, რომ **ადამიანი, რომელმაც გირგვლიანის მკვლელებს ხელი დააფარა, არის პუტინის პატიმარი,** არანაირი მხარდაჭერა არ ექნება.

„პირველი არხი“

# უკრაინის ხელისუფლებაში მოკალათებული პოლიტიკური ნაბიჭვრები საქართველოს დაპყრობას აანონსებენ!




წრეებთან არალეგალურ საქმიან ურთიერთობაში იმყოფებიან და დასავლეთის მიერ რუსეთისათვის დაწესებული სანქციების გვერდის ავლით მუშაობენ. **ზელენსკის მთავრობა მხოლოდ ელენე ხოშტარიასა და ლევან ხაბეიშვილის მიერ შედგენილ სიას დაეყრდნო და სანქცირებულთა სიაში საქართველოს სწორედ ის მოქალაქეები ჩაწერა, რომელთა გვარსახელებსაც ზემოხსენებული ნაცპროვოკატორები თავიანთ ბრიფინგებზე უაპელაციოდ გაჰყვირიან.**

რა ლაპარაკი უნდა, რომ უკრაინის მიერ სანქცირებულთა სიაში ბიძინა ივანიშვილის ნათესავების მოხვედრა ზელენსკის ხელისუფლების მორიგი პოლიტიკური პროვოკაციაა, რომელიც მიზნად ისახავს, „ქართულ ოცნებას“ საქართველოს ომში ჩართვა და რუსეთის წინააღმდეგ მეორე ფრონტის გახსნა აიძულოს.

დიახ, **ზელენსკის ხელისუფლების მიერ ბიძინა ივანიშვილის ოჯახის წევრებისათვის სანქციების დაწესება პასუხია იმაზე, რომ საქართველოს ხელისუფლებამ არ გაიზიარა ბონჩარენკოს რჩევა სოხუმსა და ცხინვალში „ტანკებით გასეირნების“ შესახებ და ყური არ ათხოვა დანილოვის მოწოდებას — გახსენით მეორე ფრონტი, რათა რუსეთი უკრაინელი ქალებისა და ბავშვების ხოცვიდან ქართველი ქალებისა და ბავშვების ხოცვაზე გადაერთოს!**

დიახ,

**ზელენსკის ხელისუფლების მიერ ბიძინა ივანიშვილის ოჯახის წევრებისათვის სანქციების დაწესება პასუხია იმაზე, რომ „ქართულმა ოცნებამ“ საქართველოს მარიუპოლიზაცია, ბუჩიზაცია და ხარკოვიზაცია არ დაუშვა!**

**უკრაინის ხელისუფლებაში მოკალათებულ პოლიტიკურ ნაბიჭვრებს, რომლებსაც საქართველოს ომში ჩათრევის სურვილი არ ასვენებთ, შეგვიძლია, ერთი რამ შევუთვალოთ — განკარგულება, რომელიც ივანიშვილის ოჯახის წევრთა სანქცირებას ეხება, შეგიძლიათ, კარგად დაახვიოთ და იმ ადგილას გაიკეთოთ, რომელიც ძალიან ცუდად გექავებათ!** აბა, ეგ ფარატინა ფურცელი, რომელსაც არც ამერიკის შეერთებული შტატები აწერს ხელს და არც — ევროკავშირის წევრი რომელიმე ქვეყანა, სხვაში არაფერში გამოგადგებათ!

საერთოდ, **უკრაინის ტაკიმასხარა პრეზიდენტი ზელენსკი**, რომელიც თავისი არტისტული კარიერის დროს ხან ცოცარით უკრავდა პიანინოზე, ხან ტუჩებში კოცნიდა მოზვერივით მამაკაცებს და ხანაც პუტინის გასამხიარულებლად ქართველებს დასცინოდა — 2008 წლის ომში ჩაიკუკესო, დღეს ისეა როლში შეჭრილი, რომ თავისი დამქაშების პირით საქართველოს ომითა და დაპყრობითაც კი ემუქრება.

კერძოდ, აი, რა განაცხადა რამდენიმე დღის წინათ უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მრჩეველმა, ზელენსკის ერთ-ერთმა რუპორმა **ალექსი არესტოვიჩმა:**

*„თუ გავითვალისწინებთ საქართველოში პრორუსულ ხელისუფლებას, რომელსაც არ აქვს გადაწყვეტილებების მიღების უნარი და ანგრევს ყველაფერს, რაც შექმნა სააკაშვილმა, ისევ დააბრუნა კორუმპირებული პოლიცია, ისევ ყველაფერი იყიდება, ეს ყველაფერი აგიჟებს საქართველოში დარჩენილ პატრიოტებს, რომლებიც სიმწრით თმებს იგლეჯენ. ამდენად, ჩვენ მოგვიწევს იქ ძალის პროეცირება, მოგვიწევს ქართველების დახსნა, მოგვიწევს მოლდოვას, სომხეთის შველა, ყველას შველა. ეს კარგი ამბავია.* ***ჩვენ გვყავს მილიონამდე ნაბრძოლი ადამიანი, რომელთაც პოსტსაბჭოთა სივრცეში საქმე გამოუჩნდება უახლოეს მომავალში.*** *ეს შეიძლება მოხდეს სხვადასხვა ეგიდით, მშვიდობისმყოფელები, სტაბილიზაციაზე მიმართული და ჰუმანიტარული ოპერაციები, ყველაფერი უზრუნველყოფს წესრიგის დამყარებას“.*

**გესმით, რა ამბობს პიანინოზე ცოცარით მკვრელი ნაარტისტალი ზელენსკის, იგივე არტისტოვიჩის მრჩეველი არესტოვიჩი? მილიონამდე ნაბრძოლი ადამიანი გვყავს, რომლებსაც „ქართველების დასახსნელად“ გამოვიყენებთო!** და ვისგან უნდა დაიხსნან ქართველები არტისტოვიჩმა და არესტოვიჩმა? **როგორც თავად ამბობენ — „პრორუსული ხელისუფლებისაგან“, რომელიც, თურმე, სააკაშვილის მიერ აშენებულ ქვეყანას ანგრევს!**

ეს, რა თქმა უნდა, სხვა არაფერია, თუ არა **პირდაპირი მუქარა,** რომ უკრაინა საკუთარ ჯარს საქართველოს წინააღმდეგ გამოიყენებს!

**ეს არის უკრაინის მიერ საქართველოსთვის ომის გამოცხადება არაოფიციალური ფორმით, თუმცა,**

**ზელენსკის ხელისუფლებაში მოკალათებული პოლიტიკური ნაბიჭვრები ისე არიან აღგზნებული, რომ მალე ომს ოფიციალურადაც გამოგვიცხადებენ!**

სატირალი რომ არ იყოს, ძალიან სასაცილოა, როცა რუსული სამხედრო მანქანის მიერ მიწასთან გასწორებული, უზარმაზარი ტერიტორიების, ათიათასობით ჯარისკაცისა და მშვიდობიანი მოქალაქის დამკარგავი, 17 მილიონზე მეტი ლტოლვილის პატრონი, ეკონომიკადამხობილი და სახელმწიფოებრიობის დაკარგვის ზღვარზე მისული უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლებს საქართველოსა და სხვა ქვეყნების მშველელად წარმოუდგენიათ თავი!




სააკაშვილის მოქმედი ცოლი ლიზა იასკო



სააკაშვილის ყოფილი რძალი ხატია დეკანოიძე

## არესტოვიჩს ყვარყვარესავით ქალის კაბაში ჩაცმულს მოუწევს გაპარვა საკუთარი ქვეყნიდან, რომელიც თავისნაირ ავანტიურისტებთან ერთად დაქცევამდე მიიყვანა!

**არესტოვიჩებო და არტისტოვიჩებო, ნეტავი, თქვენს ქვეყანას მიხედავდეთ, რომელიც მთელი მსოფლიოს საშველად აქციეთ და მაინც არაფერი შველის! თქვე მართლა ტაკიმასხარებო, „საქართველოს შველაზე“ კი არა, საკუთარი თავების შველაზე იფიქრეთ, რადგან შორს არ არის ის დრო, როცა უკრაინელი ხალხი მოგადგებათ და უმკაცრესად მოგთხოვთ პასუხს იმ ყველაფრის გამო, რაც ახლა უკრაინაში ხდება!**

არ ვიცით, იცნობს თუ რა **დედოფლისწყაროში დაბადებული არესტოვიჩო** დიდი ქართველი დრამატურგის **პოლიკარპე კაკაბაძის** შემოქმედებას და აქვს თუ არა წაკითხული მისი **„ყვარყვარე თუთაბერი“**, მაგრამ ერთ რამეში დარწმუნებული ვართ — **მას ყვარყვარესავით ქალის კაბაში ჩაცმულს მოუწევს გაპარვა საკუთარი ქვეყნიდან, რომელიც თავისნაირ ავანტიურისტებთან ერთად დაქცევამდე მიიყვანა!**

მითუმეტეს, ქალის ფორმაში გამოწყობა არესტოვიჩს კარგად ეხერხება, რასაც „ასავალ-დასავალის“ წინამდებარე გვერდზე დაბეჭდილი ფოტოც მოწმობს!

**დაბოლოს: საქართველოს ხელისუფლებას, რომლის წარმომადგენლებიც აცხადებენ, რომ ყველაფრის მიუხედავად უკრაინასთან „ცალმხრივი მეგობრობა უნდა შევინარჩუნოთ“, კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ:** ნუ შეიყრით თვალებში ნაცარს და ნუ შეაყრით თვალებში ნაცარს ქართველ ხალხს! უკრაინის ხელისუფლებას, რომელიც უკვე ომითა და დაპყრობით გვემუქრება, მისი ერთადერთი და ნამდვილი სახელი — საქართველოს მტერი უნდა დაერქვას!

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**მაიქლ ჰიკარი ჩეჩირე**
*აშშ-ის ჰელსინკის კომისიის უფროსი პოლიტიკური მრჩეველი*



თუ გაინტერესებთ, რა აღაშფოთებს ბევრ ქართველს ასე, ეს არის იუსტიციის ყოფილი მინისტრი **ადეიშვილი** სახელმწიფო მოღვაწის როლში. **მისი თანამდებობაზე ყოფნის დროს მოხდა უამრავი დარღვევა, რამაც 2012 წელს ნაციონალური მოძრაობის განდევნა გამოიწვია,** მაგრამ **ადეიშვილი** წლების განმავლობაში უნგრეთში იმალებოდა **ვიქტორ ორბანის** კალთის ქვეშ. **უკრაინა-საქართველოს განხეთქილებას უფრო ღრმა, არაგეოპოლიტიკური ქვეტექსტი აქვს.** ბევრი რიგითი ქართველისთვის, რომელიც **ადეიშვილის** მსხვერპლია, მისი რეაბილიტაციის ხილვა შოკია.

„ტვიტერი“

**ოლაფ შოლცი**
*გერმანიის კანცლერი*



ჩვენ ვართ ევროპის ხალხი და **ჩვენი ხმა მთელ ევროპაში უნდა ისმოდეს,** ხმელთაშუა ზღვიდან — ჩრდილოეთის ზღვამდე, **ლისაბონიდან — თბილისამდე** და მის მიღმა.

„პირველი არხი“

**ლევან ხაბეიშვილი**
*პარლამენტარი*



რადიკალური ოპოზიცია პოულობს სივრცეს, რომ **ტრაგედიის დროსაც პოლიტიკა შემოიტანოს.** ვინც პოლიტიკურ განცხადებას აკეთებს, რომ **კახა კალაძე** უნდა გადადგეს, კითხვას ვსვამ: მიზეზი რა არის?

„ინტერპრესნიუსი“

**სალომე ზურაბიშვილი**
*საქართველოს პრეზიდენტი*



**რუსეთის მოქალაქეების საქართველოში შემოსვლა** ნამდვილად არის გამოწვევა, გამორიცხული არ არის, რომ **საკმაოდ ლიბერალური სავიზო რეჟიმის** გადახედვა მოგვიწიოს.

„პირველი არხი“

*უკრაინის სახელმწიფომ, პრეზიდენტ ზელენსკის მიერ გამოცემული განკარგულების საფუძველზე, ბიძინა ივანიშვილის გარემოცვის 4 წევრი სანქცირებულ პირთა სიაში შეიყვანა. შეზღუდვები დაუწესდა ბიძინა ივანიშვილის ძმას ალექსანდრე ივანიშვილსა და მის მეუღლეს ქეთევან ხარაიძეს, ასევე ბიძინა ივანიშვილის დეიდაშვილს უჩა მამაცაშვილსა და მის ვაჟს ტიტე მამაცაშვილს. სწორედ ამ თემით დავიწყეთ საუბარი აკადემიკოს ელიზბარ ჯაველიძესთან:*



## «ზელენსკის მთავრობა, თავისი არახამიებითა და არესტოვიჩებით, საქართველოს ნამდვილი მტერია!»

### ელიზბარ ჯაველიძე:

# უკრაინის მიერ სანქციების დაწესება არის შურისძიება ბიძინა ივანიშვილის მიმართ იმის გამო, რომ საქართველო ომში არ ჩაერთო!



— უკრაინას ვეფერებით და მეგობარს ვეძახით, მაგრამ მისი ხელისუფლებისგან მტრობისა და ღალატის მეტს არაფერს ვიღებთ, ამიტომაც დროა, თავის მოტყუებას შევეშვათ და ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ — ზელენსკის მთავრობა, თავისი არახამიებითა და არესტოვიჩებით, საქართველოს ნამდვილი მტერია!

**არ დაგვავიწყდეს, რომ 2008 წელს, როცა სააკაშვილის იდიოტობის გამო გაჩაღებულ ომში დავმარცხდით, მასხარა ზელენსკი პუტინის საამებლად სცენიდან დაგვცინოდა და მტერთან ბრძოლაში დაცემულ ჩვენს გმირებს საფლავებში აფურთხებდა – ქართველებმა ჩაისვარესო!**

**— მაინც რას ემსახურება უკრაინის ხელისუფლების მიერ ბიძინა ივანიშვილის ნათესავებისათვის სანქციების დაწესება?**

— ეს არის ერთგვარი შურისძიება ბიძინა ივანიშვილის მიმართ იმის გამო, რომ საქართველო ომში არ ჩაერთო! აკი, უკრაინის ხელისუფლების მაღალჩინოსნები პირდაპირ მოგვიწოდებდნენ — **მარტო უკრაინელი ბავშვები და ქალები ხომ არ უნდა იხოცებოდნენ, გაუხსენით რუსეთს მეორე ფრონტი და თქვენი ქალები და ბავშვებიც დაიხოცონო!**

მართალია, ოფიციალურად დადასტურებული არ არის, მაგრამ ყველამ ვიცით და დარწმუნებული ვართ, რომ ამერიკის ელჩი დეგნანი, რომელმაც უკრაინაში ომის დაწყებიდან რამდენიმე დღეში ბიძინა ივანიშვილთან 3-საათიანი შეხვედრა გამართა, მისგან სწორედ საქართველოს ომში ჩართვას ითხოვდა, მაგრამ ბატონმა ბიძინამ ქართველი ხალხი და ქართული სახელმწიფო განადგურებისათვის არ გაწირა.

პირდაპირ ვაცხადებ: **ნებისმიერი ქართველი, ვინც აზროვნებს და ვისაც სინდისი გააჩნია, ბიძინა ივანიშვილს პატივს უნდა სცემდეს!** რა თქმა უნდა, იგი უშეცდომო არ არის და პოლიტიკაში რაღაცები ნამდვილად შეეშალა, მაგალითად, ჯერ — **მარგველაშვილის,** შემდეგ კი **ზურაბიშვილის** გაპრეზიდენტება მწარე შეცდომა იყო, მაგრამ ბიძინა უწესიერესი კაცია, რომელსაც უანგაროდ უყვარს ეს ქვეყანა და მზად არის, სამშობლოსთვის თავი გადადოს. ეს მან მარტო თავისი უპრეცედენტო ქველმოქმედებით კი არა, 2012 წელს პოლიტიკაში მოსვლითაც დაამტკიცა, როცა საკუთარი თავისა და ოჯახის უსაფრთხოება სასწორზე შეაგდო და მოგვაშორა უდიდესი ბოროტება, რომელიც კიდევ 30 წელი აპირებდა ხელისუფლებაში ყოფნას.

**— რას იტყვით იმასთან დაკავშირებით, რომ ქართული მართლმსაჯულების მიერ ძებნილი და დაუსწრებლად მსჯავრდებული ზურაბ ადეიშვილი, როგორც უკრაინის გენერალური პროკურორის მრჩეველი, ზელენსკის ხელისუფლებას გასულ კვირას ევროსაბჭოში ჰყავდა წარგზავნილი?**

— უკრაინა საქართველოსადმი მტრულად განწყობილ სახელმწიფოდ ჯერ კიდევ მაშინ წარმოჩინდა, როცა საქართველოდან გაქცეული ყველა კრიმინალი და ნაძირალა, **სააკაშვილით** დაწყებული, **ადეიშვილით** გაგრძელებული და ცხრა ღობეზე გადამხტარი **დეკანოიძით** დამთავრებული, ხელისგულზე დაისვა!

ძალიან მომწონს **ირაკლი კობახიძე** და ბევრ რამეში ვეთანხმები, მაგრამ ვერ გავიზიარებ მის განცხადებას — უკრაინის ხელისუფლებასთან ცალმხრივი მეგობრობის რეჟიმში უნდა ვიყოთო! ცალმხრივი მეგობრობა არ არსებობს და ჩვენმა ხელისუფლებამ უკრაინის ხელისუფლებისათვის კოჭის გაგორებას თავი დაანებოს!

და კიდევ: **მიმიფურთხებია იმ ევროპისათვის, რომლის**

> „უკრაინა საქართველოსადმი მტრულად განწყობილ სახელმწიფოდ ჯერ კიდევ მაშინ წარმოჩინდა, როცა საქართველოდან გაქცეული ყველა კრიმინალი და ნაძირალა, სააკაშვილით დაწყებული, ადეიშვილით გაგრძელებული და ცხრა ღობეზე გადამხტარი დეკანოიძით დამთავრებული, ხელისგულზე დაისვა!“








## კვირგვინოსნები

**ანდრია გვიდიანი**
*ექსპერტი*



ჩვენი მეგობარია უკრაინელი ხალხი და არა უკრაინის მთავრობა. უფრო მეტიც, უკრაინის ოფიციალური პირები დაწყებული **ზელენსკიდან,** გაგრძელებული **არახამიათი** და დამთავრებული სხვა დანარჩენი კლოუნებით, **არიან საქართველოს მტრები.**

„იმედინიუსი“

**რამაზ საყვარელიძე**
*პოლიტოლოგი*



**გაუგონარი შეურაცხყოფაა** ამ შემთხვევაში არა უკრაინის, არამედ იმ ევროპული სტრუქტურების მხრიდან, ვინც დაუშვა ამ შეხვედრაზე **ადეიშვილი.** ვითარების ნორმალიზებისთვის, **ვფიქრობ, ევროპულმა სტრუქტურამ ბოდიში უნდა მოუხადოს საქართველოს.**

„რეზონანსი“

**ზაალ ანჯაფარიძე**
*ანალიტიკოსი*



**სანქცირებულთა სიაში** რომელიმე ქართველის მოხვედრა არის **შანტაჟისა და ქვეყნის ომში ჩართვის კიდევ ერთი მცდელობა.**

„GTMEDIA“

**ნინო ფოჩხუა**
*ექსპერტი*



რა იყო, **ბიძინა ვერ გაბედეს** და საერთოდ პოლიტიკასთან რომ არ ჩაუვლიათ, ისინი დაასანქცირეს?

„იმედინიუსი“

**თეა წულუკიანი**
*კულტურის მინისტრი*



დრომ გვაჩვენა, რომ შეიძლება უკრაინას შეაფარო თავი და იყო ძებნილი, მაგრამ **ერთ დღეს მოგიწიოს საქართველოში კონტეინერით ჩუმად შემოპარვა** და შემდეგ ციხეში მოხვედრა.

„იმედინიუსი“









## „სანამ გველის წიწილებისა და სატანის მოციქულების ბანდას – ნაციონალურ მოძრაობას ქართული პოლიტიკიდან ძირიანად არ ამოვშანთავთ და ხაზარაძეს, „გირჩებსა“ და ხოშტარია-ვაშაძეებსაც ზედ არ მივაყოლებთ, ამ ქვეყანას არაფერი ეშველება!“

**პოლიტიკური ლიდერებიც ადეიშვილის მსგავს სისხლიან ჯალათს ხელს ართმევენ და აუდიენციას უმართავენ!** ძალიან კარგად ვიცნობ ევროპულ კულტურას და ძალიანაც მიყვარს იგი, მაგრამ პოლიტიკური და მორალური გახრწნილების პიკში ასულმა დღევანდელმა ევროპამ ყოველგვარი კავშირი დაკარგა თავის დიად მოაზროვნეებთან და ფილოსოფოსებთან, რომლებსაც მე ვეთაყვანები.

**— რამდენიმე დღის წინათ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც სააკაშვილი პუტინის პოლიტპატიმრად არის დასახელებული!**

— **ვაი, იმათ პატრონს, ვისაც ჰგონია, რომ სააკაშვილი პუტინს ებრძოდა! სააკაშვილი პუტინის კი არა, საქართველოს მტერია, რომელიც ხელისუფლებაში ყოფნის დროს კრემლის საქმეს აკეთებდა და რუსეთის ინტერესებს ემსახურებოდა!** დიახ, „პუტინის მტერმა“ სააკაშვილმა ჩააბარა რუსეთს ახალგორის რაიონი და კოდორის ხეობა! **„პუტინის მტერმა“ სააკაშვილმა მიჰყიდა რუსეთს საქართველოს სტრატეგიული ობიექტები!** „პუტინის მტერმა“ სააკაშვილმა დააბრუნა საქართველოში რუსეთის სამხედრო ბაზები!

რაც შეეხება ევროსაბჭოსა და ევროპარლამენტს, ჩვენი ხელისუფლება მათ ზედმეტად ელოლიავება და ქედს უხრის!

### 12 რეკომენდაცია, რომელიც ვითომ ევროკავშირის წევრობის კანდიდატობის მისაღებად შემოგვთავაზეს, სინამდვილეში, სახელმწიფოს ჩამოშლასა და ხელისუფლებაში ნაცსადისტების დაბრუნებას ემსახურება!

**— რატომ ფიქრობთ ასე?**

— ამ 12 რეკომენდაციის ფარგლებში ისეთი კანონების მიღებას გვავალდებულებენ, რომ დღევანდელი ხელისუფლების დაუძლურება და სახელმწიფო სტრუქტურების პარალიზება გარდაუვალია, ეს კი ნაციონალებისათვის ხელისუფლებაში დასაბრუნებელი გზის გახსნას ნიშნავს.

**— ნაცოპოზიცია ვაკის პარკში მომხდარი ტრაგედიის გამო თბილისის მერის პოსტიდან კახა კალაძის გადადგომას რომ ითხოვს, ამაზე რას იტყვით?**

— უდიდესი ტრაგედია დატრიალდა და 13 წლის ანგელოზივით გოგონას დაღუპვამ ყველას თავზარი დაგვცა, მაგრამ ნაცნაძირალები აქედანაც ხეირის ნახვას ცდილობენ. **პირადად მე ძალიან არ მომეწონა, როცა მერმა თბილისის საპატიო მოქალაქეობა მიანიჭა დიზაინერ გვასალიას, რომელიც ოფიციალური მამათმავალია და აცხადებს — საქართველოში მაშინ დავბრუნდები, როცა ძველი თაობის ხალხი დაიხოცებაო, მაგრამ სრული უსინდისობა და გარეწრობაა, კალაძეს ბავშვის სიკვდილში დასდო ბრალი!** დიახ, ნაძირალაა ყველა ის პოლიტიკოსი და ნაცჟურნალისტი, ვინც ვაკის პარკში მომხდარი უბედურების გამო **კახა კალაძის** გადადგომას ითხოვს!

ბევრჯერ მითქვამს და კვლავ ჩემს აზრზე ვრჩები: **სანამ გველის წიწილებისა და სატანის მოციქულების ბანდას — ნაციონალურ მოძრაობას ქართული პოლიტიკიდან ძირიანად არ ამოვშანთავთ და ხაზარაძეს, „გირჩებსა“ და ხოშტარია-ვაშაძეებსაც ზედ არ მივაყოლებთ, ამ ქვეყანას არაფერი ეშველება!**

*ესაუბრა*
***ჯაბა ხუბუა***

## „ნაძირალაა ყველა ის პოლიტიკოსი და ნაცჟურნალისტი, ვინც ვაკის პარკში მომხდარი უბედურების გამო კახა კალაძის გადადგომას ითხოვს!“





**მამუკა მდინარაძე**
*ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე*

**ქვეყნის დაზიანებაში და ტრაგედიებში ხედავენ საკუთარ შანსს** — ამ ხალხთან გვაქვს ურთიერთობა, **ამას ოპონირება არ ჰქვია, ამას ჰქვია ქვეყნის მტრობა და ამორალურობა.**

„ახალი თაობა“



**მაკა ბოჭორიშვილი**
*ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე*

საქართველო **ევროკავშირის წევრობის კანდიდატიც** გახდება და **ევროკავშირის წევრიც,** მაგრამ სამწუხაროა, რომ ამ პროცესში პოლიტიკური სპექტრის ნაწილი არაფერს აკეთებს.

„აიპრესი“



**გიორგი მუჩაიძე**
*საქართველოს ატლანტიკური საბჭოს აღმასრულებელი დირექტორი*

სავსებით შესაძლებელია **უკრაინაში ნატოს ჯარების შესვლაც.** ერთი სავარაუდო ვარიანტია — **შესაძლოა, წერტილოვანი დარტყმით პუტინის განადგურებაზეც მიდგეს საქმე.**

„კვირის პალიტრა“



## „სამარცხვინოა, რომ ომში მყოფი უკრაინის ხელისუფლება რუსული რუბლებით დაფინანსებული ელენე ხოშტარიას, ანუ იგივე ლიაკა რუბლოვნას ჭკუაზე დადის!“



# ლევან ნიკოლეიშვილი:

## ივანიშვილის ოჯახის წევრებისათვის სანქციების დაწესების მიზეზი ის არის, რომ მეორე ფრონტი არ გავხსენით!

*ანალიტიკოსი* ***ლევან ნიკოლეიშვილი*** ***უკრაინის ხელისუფლების მიერ ბიძინა ივანიშვილის ოჯახის წევრებისათვის სანქციების დაწესებას ეხმაურება და აცხადებს, რომ საქართველოს ომში ჩათრევის მსურველები მიზანს მაინც ვერ მიაღწევენ:***

— სამწუხაროდ, პირველი შემთხვევა არ არის, როცა **უკრაინის გათახსირებული პოლიტიკური კლანები** საქართველოს არამეგობრულად ექცევიან, არადა, ჩვენი სახელმწიფო, თავისი რესურსების ფარგლებში, მაქსიმუმს აკეთებს რუსეთთან ომში მყოფი უკრაინის მხარდასაჭერად. ბიძინა ივანიშვილის ოჯახის წევრებისათვის სანქციების დაწესების მიზეზი ის არის, რომ მეორე ფრონტი არ გავხსენით, ჩვენი გოგო-ბიჭები მიწაში არ ჩავაწვინეთ და საქართველო არ დავაქციეთ!

**— უკრაინის ხელისუფლებაში ფიქრობენ, რომ ივანიშვილს ამ გზით დააშანტაჟებენ და საქართველოს ომში ჩართვას აიძულებენ?**

— ასეთი კბენებით ზელენსკი და მისი ამფსონები ვერც ბიძინა ივანიშვილს დააშინებენ და ვერც საქართველოს ხელისუფლებას აიძულებენ, ქართული სახელმწიფოს ინტერესების საწინააღმდეგო ნაბიჯები გადადგას. მშვიდობა და სტაბილურობა ჩვენი მთავარი მონაპოვარია და ვიღაცების ავანტიურისტული მიზნების გამო ომში არ ჩავებმებით. დიახ, **მანამდე არ აუდგეთ გვერდები არახამიებს, არესტოვიჩებსა და პოდოლიაკებს, სანამ ქართველებს სანქციებით შეაშინებენ და საქართველოს ომში ჩაითრევენ!**

**— სხვათაშორის, უკრაინის ხელისუფლების მიერ სანქცირებულ პირთა სიაში ბიძინა ივანიშვილის გარემოცვის სწორედ ის წევრები არიან შეყვანილი, რომელთა გვარ-სახელებსაც ელენე ხოშტარია ბრიფინგებზე გაიძახოდა!**

— სამარცხვინოა, რომ ომში მყოფი უკრაინის ხელისუფლება **რუსული რუბლებით დაფინანსებული ელენე ხოშტარიას,** ანუ იგივე **ლიაკა რუბლოვნას** ჭკუაზე დადის! ვიტყოდი — რასაც აკეთებენ, მათ სინდისზე იყოს-მეთქი, მაგრამ უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლები ისეთ რაღაცებს სჩადიან, სინდისზე ლაპარაკი აბსოლუტურად ზედმეტია!

ყველაზე ცუდი ის არის, რომ უკრაინელი პოლიტიკოსები საერთოდ არ უფრთხილდებიან ქართველი და უკრაინელი ხალხების ურთიერთობას, რომელიც ნებისმიერ პოლიტიკაზე მაღლა დგას და არ შეიძლება, მავანთა პირად ინტერესებსა თუ ამბიციებს შეეწიროს.

**— საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ — ყველაფრის მიუხედავად, უკრაინასთან ცალმხრივი მეგობრობა უნდა შევინარჩუნოთო! ეთანხმებით?**

— საქართველოს ხელისუფლებას, უკრაინის უპასუხისმგებლო ხელისუფლებისაგან განსხვავებით, კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ ქართველ და უკრაინელ ხალხებს შორის ურთიერთობა არ უნდა გაფუჭდეს!

ხშირად მიწევს სიარული საქართველოს რეგიონებში და თითქმის ყველგან ვაწყდები დიდი რაოდენობით რუსებსა და უკრაინელებს — ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე მამაკაცებს, რომლებიც ქუჩაში სეირნობენ, რესტორნებსა და ბარებში ატარებენ დროს... **გასაგებია, რომ რუსეთის მოქალაქეები პუტინის მიერ გამოცხადებულ მობილიზაციას გამოექცნენ, მაგრამ, საინტერესოა, ვის გამოექცნენ უკრაინელები, რომლებიც, წესით, ფრონტის ხაზზე უნდა იცავდნენ თავიანთ ქვეყანას?** ზელენსკის, არახამიას, არესტოვიჩსა და დანილოვს გამოექცნენ თუ ადეიშვილსა და ლორთქიფანიძეს დააღწიეს თავი? **რას ითხოვს ჩვენგან უკრაინის ხელისუფლება — უკრაინელმა ახალგაზრდებმა საქართველოში მწვადი ჭამონ და ბარებში ითუხთუხონ, ქართველი ახალგაზრდობა კი ომში დაიხოცოს? არ გამოვა, ბატონებო, ეს ამბავი!**

**— უკრაინელი დეპუტატებისა და ნაცების მონდომებით ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციაში სააკაშვილი პუტინის პოლიტპატიმრად რომ იქნა მოხსენიებული, ამ ფაქტს რა შეფასებას მისცემთ?**

— ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციაში **სააკაშვილის „პუტინის პოლიტპატიმრად“ ჩაწერა ისეთივე ტრაგიკომედიაა, როგორც ადეიშვილის ვიზიტი იმავე ევროსაბჭოში!**

სააკაშვილმა და ნაცმოძრაობამ ყველაზე მეტად შეუწყვეს ხელი რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციას, მათვე გადასცეს რუსეთს საქართველოს სტრატეგიული ობიექტები 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ და ევროსაბჭოს იმ რეზოლუციასაც მოაწერეს ხელი, რომელშიც საქართველო ომის დამწყებად იყო დასახელებული!

## ამდენად, პასუხი კითხვაზე – სააკაშვილი პუტინის პოლიტპატიმარია თუ პუტინის ინტერესების მსახური? – დიდი ხანია, გაცემულია!

*ესაუბრა* ***ჯაბა ხუბუა***

# ნაცლიბერასტების ორწლიანი კამპანია კრახით დასრულდა: ნიკოლოზ ბასილაშვილის უდანაშაულობა დამტკიცებულია!



***იყო და არა იყო რა, იყო ერთი მეოცნებე გოგო, თანაც გულუბრყვილო. ერთ დღესაც შეუყვარდა ბიჭი — ისიც მეოცნებე და მიამიტი, რომელიც მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, როგორმე წარმატებული ჩოგბურთელი გამხდარიყო. გოგომ საერთოდ არ იცოდა, რას წარმოადგენდა ის ბიჭი, სად ცხოვრობდა, რას საქმიანობდა და, საერთოდ, ვის მიჰყვებოდა.***

წელიწადნახევარი უყვარდათ ერთმანეთი, ამ დროის განმავლობაში შესცქეროდა გოგო ვარსკვლავებს და ოცნებობდა ნათელ მომავალზე. არადა, როგორც თავად ნეკა დოროყაშვილი ამბობს, ნათელ მომავალზე და აურაცხელ სიმდიდრეზე არ უოცნებია, უბრალოდ, რაღაცა სურდა... მეტიც, ვერასოდეს წარმოიდგენდა, რომ დადგებოდა დრო და იმ მეოცნებე ბიჭისაგან მოითხოვდა 500 ათას დოლარს, ყოველთვიურად — 18 ათას ლარს, ვაკეში სახლს და კომერციულ ფართს.

მეოცნებე გოგოსათვის ვინმეს რომ ეთქვა, იმ ბიჭის წინააღმდეგ ოდესმე სასამართლოში საჩივარს შეიტან, ცემა-ტყეპაში დაადანაშაულებ, შენი გამოგონილი ზღაპრებით ქვეყანას შეაწუხებ, თავს საცინრად აიგდებ და სახელს წაიხდენო, იქით შეუტევდა — რას მიედმოედები, გიჟი ხომ არა ხარო?!

**სანამ მეოცნებე გოგოზე კიდევ რამეს ვიტყვი, უნდა მოგახსენოთ, რომ თხრობის „ზღაპრისეული“ სტილი ჩემი არ არის, ნეკა (ნელი) დოროყაშვილისეულია, იგი ერთ-ერთ გამოცემასთან სწორედ ასეთი ფორმით იხსენებს აწ უკვე წარმატებული ჩოგბურთელის ნიკოლოზ ბასილაშვილის გაცნობის პირველ დღეებს, შეყვარებულობის დიად მოვლენას, გულის ფანცქალს, განუმეორებელ ჟრუანტელს.** ეს იყო მაშინ, ქორწილამდე. შემდეგ კი საშინელება დაწყებულა... როგორც **ქალბატონი დოროყაშვილი** ყვება, **ნიკოლოზი** უცებ გადაიქცა მონსტრად, ამერიკულ ფილმებში როა ხოლმე, მირბიხარ — მოგდევს, იმალები — გპოულობს, თუ სახლში ხარ — იატაკზე გათრევს, თუ გარეთ ხარ — ასფალტზე გახოხიალებს, თუ ხევხუვის პირას დგახარ — ხელის კვრას ლამობს, თუ პარაშუტით გადმოხტომა გინდა — თოკის გადაჭრას ცდილობს, თუ ავტომობილით გარბიხარ — სამუხრუჭე მილს გიჭრის... თან გამცირებს, ყოველ დილით გეძახის — შე გონჯო მაიმუნოო, საღამოს — ღოროო. როგორც დოროყაშვილი მთელი რესპუბლიკის გასაგონად აცხადებს, **ნიკოლოზს ქორწილის მეორე დღესვე გამოუცხადებია — ამ ოჯახში მე ვარ მეფე, უსიტყვოდ უნდა დამემორჩილოო.** აქ, თურმე, გადარეულა ნეკა — **რას ჰქვია, მეფე, იმპერატორი მაინც გეთქვა და სენატის „უმფროსად“ დაგენიშნე, ეს რანაირი დემოკრატიულობა და პლურალისტობაა, ხომ არ გინდა, დაგამხოო?** როგორც ნიკოლოზის ძმა **თენგიზ ბასილაშვილი** ამბობს, დოროყაშვილი დაგვემუქრა, დედას გიტირებთ, დაგაჩოქებთო:

**„ნიკამ მითხრა, მემუქრებაო, სასამართლოში წაგიყვან, პასუხს გაგებინებო. 2017 წლიდან ნიკოლოზმა დაშორებაზე დაიწყო ლაპარაკი, ძალიან ბევრ რაღაცას მაბრალებს, ღალატს მაბრალებსო. ნელიმ მეც მომწერა — ნიკას ხელშემწყობი ხარ ჩემ ღალატშიო. ნიკამაც არ იცოდა, რაზე ემუქრებოდა ნელი, სასამართლოში წაგიყვანთ, პასუხს გაგებინებთ, დედას გიტირებთო“.**

რას ითხოვდა **ქალბატონი დოროყაშვილი** ნიკოლოზისგან? **თენგიზ ბასილაშვილის თქმით,** ის ითხოვდა ყველანაირი უძრავი ქონების გადაფორმებას. ნიკაც დათანხმდა, რომ პროვოკაციაა და რამე არ ყოფილიყო. ითხოვდა და მიიღო.



ნელი (ნეკა) დოროყაშვილი

## რა ღირს ნეკა დოროყაშვილის ღირსება – 500 ათასი დოლარი ერთჯერადად თუ 18 ათასი ლარი ყოველთვიურად?

სხვათაშორის, სანამ ამ წერილის წერას დავიწყებდი, არაერთი ვიდეო ვნახე და ე.წ. დაზარალებულის ნაამბობიც მოვისმინე. ყველაზე „შთამბეჭდავი“ მაინც „მთავარ არხზე“ გასული გადაცემა აღმოჩნდა, რომლის ავტორიც **ლელა წურწუმია** გახლავთ. მოკლედ, **ზის ქალბატონი მომღერალი** (რომელმაც ბოლო დროს ჟურნალისტობაც დაიწყო) **ტრაგიკული სახით, მოკუმული ტუჩებით, თანამოზიარე გამომეტყველებით და უსმენს. დოროყაშვილი ყვება, როგორ წაიყვანა ნიკოლოზმა ბავშვი, მერე იმან რაღაცა უთხრა ამას, ამან ვერ გაიგო, რას ეუბნებოდა ის და რაკი ვერ გაიგო, ნელი შეშფოთდა, გადაურეკა ნიკოლოზს, ამის გაკეთება სხვა ფორმით შეიძლებოდა, ახლა საჭირო არ იყოო.** დოროყაშვილის ნაამბობიდან ძალიან ძნელია შინაარსის გამოტანა... შინაარსი კი არა, საერთოდაც რა ხდება და რა უნდა, ალბათ, ექსპერტიზის ბიუროც ვერ გაარკვევს.

**მეგობრებო, ამ შემთხვევაში ამოცანა გვეკითხება: თუ ნიკოლოზ ბასილაშვილი ნელი თუ ნეკა დოროყაშვილის ყველა მოთხოვნას დააკმაყოფილებს, სასამართლოში დავას შეწყვეტს?** როგორც თვითონ ამბობს, თავის დროზე ნიკოლოზი გაუფრთხილებია — ძალადობას და ჩემ დამცირებას მოეშვი, თორემ სასამართლოს მივმართავო. თურმე, ჩოგბურთელი ცინიკურად პასუხობდა — მე ბევრი ფული მაქვს, ადვოკატებს ავიყვან და მაინც მოგიგებო... **თუ მომჩივანისთვის მთავარი ღირსებაა და ძალადობის შეჩერება, რატომ გადმოდის წინა პლანზე ქონებრივი მოთხოვნები და თანაც ძალიან მსუყე?** ფაქტია, ამ შემთხვევაში გამოგონილი და რეალური ამბები ერთმანეთშია აზელილი და ბოლოს სწორედ ქონებრივ ინტერესამდე მიდის. აი, აქ უკვე შურისძიება იკვეთება, მუქარის აღსრულების სურვილი! აკი, ამბობს კიდეც ნიკოლოზის ძმა — **დოროყაშვილი დაგვემუქრა, დედას გიტირებთ, დაგაჩოქებთო...** არადა, დოროყაშვილს ისეთი მადა აქვს, ყოფილი ქმრის დაჩოქება ნამდვილად არ აწყობს, **მაშინ ყოველთვიურად 18 ათას ლარს ვინ გაუგზავნის? 500 ათას დოლარს ვინ მიართმევს? უძრავ და მოძრავ ქონებას, კომერციულ ფართებს და ვაკეში ბინებს ვინ გადაუფორმებს? თუ ვინმემ უნდა ილოცოს ნიკოლოზ ბასილაშვილის ჯანმრთელობასა და კარიერაზე, ეს, უპირველესად, დოროყაშვილია.**

ზემოთ **ლელა წურწუმიას** გადაცემა ვახსენე... ქალი ზის ყალბად დაღვრემილ წამყვანთან და ყვება ისეთ რაღაცებს, რაზეც ყუდროზე მჯდომი ქალებიც კი არ ჭორაობენ. ნიკოლოზმა წაიყვანაო, მავანმა იმას რაღაცა უთხრაო, ამან განიცადაო, მე ვუსაყვედურეო... ამ მიეთ-მოეთს შესაძლოა, ისმენს მისივე ბავშვი, არადა, როდესაც ასეთი საკითხი იხილება, სასამართლო დახურული უნდა იყოს, ამან კი არ დაახურინა, ყველაფერი გააბაზრა, გაუტია და გაუტია... აშკარად ცდილობს, რაც შეიძლება ბევრი მოიხვეჭოს!

რა იქნება შემდეგ? არაფერი! **ბასილაშვილი ისედაც ყაბულს იყო ქონების გაცემაზე, დოროყაშვილი კაი მაყუთს აქამომდეც იღებდა, მაგრამ მეტი უნდა და ამ მეტსაც, ალბათ, მიიღებს.** აშკარად ჩანს, ბასილაშვილი ყველაფრის გამცემია შვილის გამო. ასევე აშკარად ჩანს — **დოროყაშვილი ბოროტად იყენებს ბასილაშვილთან „ნათესაურ“ ბმას. გავა დრო და რანაირი განაჩენიც არ უნდა გამოიტანოს მოსამართლემ, ეს პროცესი დარჩება ყველაზე მაზალო პროცესად საქართველოს მართლმსაჯულების ისტორიაში.** დოროყაშვილის ჯულაბას კი შეემატება მწვანე უზალთუნები, მაგრამ ვერ შეემატება ღირსება, **იგი, როგორც ადამიანი და როგორც მოქალაქე ორმაგად დაზარალდება და უკვე დაზარალდა კიდევაც — ჯერ ერთი, მან გარეთ უშნოდ გამოიტანა ათასი გამოგონილი წვრილმანი და მეორეც — ამ გამოგონილი ათასი წვრილმანით, თუნდაც მსხვილმანით, ვერ აღიდგინა „დაკარგული“ ღირსება, პირიქით, უფრო მეტი დაკარგა!**

და მაინც... **რა ღირს დოროყაშვილის ღირსება, 500 ათასი დოლარი ერთჯერადად, 18 ათასი ლარი ყოველთვიურად, სახლი ვაკეში და კომერციული ფართი სადღაც?** ეგ მისი ნებაა, შეეძლო, მეტიც მოეთხოვა და, ალბათ, მომავალში მოითხოვს კიდეც — ასეთები არასოდეს კმაყოფილდებიან და, შესაბამისად, არასოდეს ჩერდებიან. ეს ჩემი აზრია!

**შეიძლება ზოგიერთმა მამულიშვილმა მისაყვედუროს — ქალზე მოძალადე მამაკაცს იცავო...** არა, მამულიშვილნო, პატრიოტიზმით გამსჭვალულო თანამოქალაქეებო, **მე მოძალადე კაცს კი არა, ქალის ღირსებაზე ვსაუბრობ, რომელიც ამ „ისტორიული“ პროცესის გამო უფრო შელახულია და, რაც მთავარია, თვითონ ქალმა შელახა!**

***გელა ზედელაშვილი***



სახელოვანი ქართველი ჩოგბურთელის ნიკოლოზ ბასილაშვილის რეაქცია, როცა მოსამართლემ მისი უდანაშაულობა გამოაცხადა

### P.S.

**21 ოქტომბერს** თბილისის საქალაქო სასამართლოში განაჩენი გამოცხადდა. მოსამართლე **ხათუნა ხარჩილავამ მოსალოდნელი გადაწყვეტილება მიიღო — ნიკოლოზ ბასილაშვილი** უდანაშაულოა! **ნელი დოროყაშვილი პროცესზე არ გამოცხადდა, როგორც ჩანს, იგი მიხვდა, რომ ამ საქმეს წააგებდა.** სასამართლომ არ გაითვალისწინა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და **სახელოვანი ქართველი ჩოგბურთელი ამ ეტაპზე 3 წლამდე პატიმრობას ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომას გადაურჩა.** ამ ეტაპზე-მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ, დიდი ალბათობით, დოროყაშვილი საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას სააპელაციოში გაასაჩივრებს, **ნახევარი მილიონი დოლარის, ყოველთვიური 18 ათასი ლარის, ვაკეში სახლისა და კომერციული ფართის ამბავი ასე იოლად არ ჩაივლის. დოროყაშვილი რის დოროყაშვილი იქნება, ასეთი მსუყე ლუკმები რომ დათმოს და დაივიწყოს?** როგორც საქართველოს პრეზიდენტს უყვარს ხოლმე თქმა — **არა და არასოდეს!**

თუმცა... **„არა და არასოდეს“** ყოველთვის არ ჭრის, ამ შემთხვევაში მეორე ფრთიანი ფრაზით ჩაანაცვლებენ ხოლმე: **„ეგრე არ არი, თაყაო, შენ რო დოლარები, ლარები, სახლები და კომერციული ფართები გაჭყავო“!**

# «პათოლოგიური სიცრუეა, თითქოს უკრაინა ომს იგებს!»



***ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციაში სააკაშვილის „პუტინის პოლიტპატიმრად“ მოხსენიებას იმავე ევროსაბჭოში, უკრაინის დელეგაციის ეგიდით, ზურაბ ადეიშვილის ვიზიტი მოჰყვა, ხოლო პრეზიდენტ ზელენსკის განკარგულებით, ბიძინა ივანიშვილის ძმას, რძალს, დეიდაშვილსა და დეიდაშვილის შვილს სანქციები დაუწესეს. ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე კინორეჟისორ გოგა ხაინდრავას ვესაუბრებით:***

## გოგა ხაინდრავა:

## ტაკიმასხარა ზელენსკი იმის მაგივრად, რომ რუსეთს ებრძოლოს, საქართველოს ებრძვის!

— **ზელენსკის მასხარობამ** უკრაინა დაღუპვამდე მიიყვანა და ბიძინა ივანიშვილის ნათესავებისათვის სანქციების დაწესებაც მისი მორიგი მასხარაობაა. ყველაზე მეტად ის მიკვირს, რომ ამხელა უკრაინაში, რომელიც ვითომ მეგობრად გვთვლის, ერთი პოლიტიკოსი, ერთი საზოგადო მოღვაწე ან თუნდაც ერთი მოქალაქე არ აღმოჩნდა, რომელიც გამოვიდოდა და საქართველოს მიმართ ამ **უმსგავსობას,** ამ **ზელენსკობას,** ამ **არახამიობას** და **არესტოვიჩობას** დაგმობდა. როგორც ჩანს, ტაკიმასხარა ზელენსკის ვექტორი აერია და იმის მაგივრად, რომ რუსეთს ებრძოლოს, საქართველოს ებრძვის!

**— უკრაინის მიერ ბიძინა ივანიშვილის უახლოესი გარემოცვისათვის სანქციების დაწესება არის თუ არა კიდევ ერთი დასტური, რომ დღემდე სურთ საქართველოს ომში ჩათრევა?**

— რა თქმა უნდა! უკრაინაში ომის დაწყების დღიდან არ ყოფილა დროის მონაკვეთი, რომ უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლებისაგან ქართული სახელმწიფოსა და ქართველი ხალხის შეურაცხყოფა არ მოგვესმინა. არადა, თბილისიდან 30 კილომეტრში ზუსტად იმ არმიის ნაწილები დგანან, რომელიც დღეს უკრაინას ანადგურებს და ყველა, ვინც ცდილობს, საქართველო ამ სასტიკ სამხედრო მანქანას დაუპირისპიროს, საქართველოს მტერია! **დიახ, ეს არახამიები, არესტოვიჩები და პოდოლიაკები საქართველოს მტრები არიან! თავიანთ ქვეყანას — უკრაინას მტრობენ და ჩვენ დაგვინდობენ ესენი?!**

**— როგორ ფიქრობთ, უკრაინის ხელისუფლების მიერ ბიძინა ივანიშვილის ნათესავებისათვის დაწესებულ სანქციებს აშშ და ევროკავშირი შეუერთდებიან!**

— გამორიცხულია! **თუნდაც ერთი ფაქტი რომ გამოკვეთილიყო, რომელიც საქართველოს ხელისუფლების მხრიდან რუსეთთან თანამშრომლობაზე მიანიშნებდა, ხომ წარმოგიდგენიათ, ამერიკასა და ევროპას ამაზე როგორი მკაცრი რეაქცია ექნებოდათ!** პოლიტიკური კორუფციონერებისა და უგუნური ბეცების გარდა მსოფლიოში არავინ ლაპარაკობს იმაზე, რომ საქართველოს ხელისუფლება რუსეთს სანქციების გვერდის ავლაში ეხმარება.

**— როგორ აფასებთ იმ ფაქტს, რომ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ ახლახან მიღებულ რეზოლუციაში სააკაშვილი პუტინის პოლიტპატიმრად არის გამოცხადებული?**

— ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ევროპული სტრუქტურები აბსოლუტური დეგრადაციისა და თვითგანადგურების რეჟიმში არიან შესული. ევროპული ბიუროკრატიის სრულ გახრწნილებაზე მეტყველებს ისიც, რომ ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში შეხვედრა მოუწყვეს **მწვალებელ ადეიშვილს** — ძებნილ კრიმინალს, რომელიც ადამიანის უფლებების დარღვევის ცოცხალი სიმბოლოა!

### ჯერ იმ ქვეყანას რა ვუთხარი, ადეიშვილს ევროპაში საკუთარ წარმომადგენლად რომ მიავლენს და მერე იმ ევროსაბჭოსი რა ვთქვი, რომელიც მას კარს გაუღებს და ხელს ჩამოართმევს.

სადაც მიაჩნიათ, რომ ტაკიმასხარა სააკაშვილი პუტინთან მებრძოლი პოლიტპატიმარია, იქ სრული სიბნელე და უღირსობაა გამეფებული! ღმერთმა დაგვიფაროს, ასეთ ამორალურ და პოლიტიკურ კორუფციაში ჩაძირულ ევროპულ ბიუროკრატიაზე რამენაირად ვიყოთ დამოკიდებული.

**— ევროპული ინსტიტუტების მიერ ასეთი რეზოლუციების მიღება საქართველოს მოსახლეობაში დასავლეთისადმი უნდობლობას არ აღვივებს?**

— მარტო საქართველოს მოსახლეობაში? შეხედეთ, რა ხდება ევროპის ქალაქებში — **ათეულათასობით ადამიანი გამოდის ქუჩაში და დემონსტრანტებსა და პოლიციას შორის შეტაკებები ხდება.** დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა **ლიზ ტრასმა** თანამდებობაზე მხოლოდ 45 დღე გაძლო, რადგან აბსოლუტურად დაშორებული იყო საკუთარი საზოგადოების ინტერესებსა და რეალობას. **საერთოდ, ეს ქალი, რომელიც თავის საპრემიერო პროგრამაში აცხადებდა, რომ წუთითაც არ დაფიქრდებოდა, ისე დააჭერდა ხელს ბირთვულ ღილაკს, ბრიტანეთის იმპერიის არსებობის განმავლობაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი სირცხვილია.** მადლობა ღმერთს, ბრიტანეთის საზოგადოებას ეყო სიბრძნე და ეს სრული გაუგებრობა — **ლიზ ტრასი** დროზე მოაშორა ხელისუფლებას.




**— ისე, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციაში სააკაშვილთან დაკავშირებული ჩანაწერი რომც არ შეეტანათ, უნდა მიეცა თუ არა ხმა საქართველოს სახელისუფლო დელეგაციას რუსეთის ტერორისტულ სახელმწიფოდ გამოცხადებისთვის?**

— საქართველოს ხელისუფლების ყველა განცხადება თუ მოქმედება მოზომილი უნდა იყოს და ქართველი საზოგადოებისა და ქართული სახელმწიფოს ინტერესებიდან გამოდიოდეს, რადგან **ჩვენი დედაქალაქიდან 30 კილომეტრში სწორედ იმ ქვეყნის სამხედრო ბაზა დგას, რომელსაც ევროსაბჭოს რეზოლუციაში ტერორისტულ სახელმწიფოდ ნათლავენ. ვისაც ეს არ ესმის და ამ საფრთხეს არ ითვალისწინებს, შინაური იქნება თუ გარეული, ყველა საქართველოს მტერია!**

**— თუ რუსეთს ტერორისტულ სახელმწიფოდ ნათლავენ, მაშინ მისგან გაზს, ნავთობსა თუ ხორბალს რატომღა ყიდულობენ? ტერორისტთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაბმა შეიძლება?**

— სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ მსოფლიოში პოლიტიკური კულტურის საშინელი დეგრადაცია ხდება. **როცა თავიანთი კეთილდღეობისათვის სჭირდებათ, რუსეთისგან საწვავს, ხორბალს, რკინას, ალუმინს, თუთიას ყიდულობენ, ჩვენ კი იმის გამო გვერჩიან, რომ მხოლოდ საპირფარეშოში სახმარად გამოსადეგ ფურცელს არ მოვაწერეთ ხელი.**

### ევროპის ლიდერებმა რუსეთთან ქლურტული გააბეს იმის გამო, რომ უკრაინის პორტებიდან ხორბალი გაეტანათ, აქაოდა – აფრიკის ქვეყნებს შიმშილი ემუქრებათო, მაგრამ გაირკვა, რომ იმ ხორბლის 90 პროცენტი აფრიკაში კი არა, ევროპის მაძღარ ქვეყნებში წავიდა.

ერთი სიტყვით, ტოტალური სიყალბის ხანაში ვცხოვრობთ. **პათოლოგიური სიცრუეა, როცა მსოფლიოს ვითომ თავისუფალი მედია აცხადებს, რომ უკრაინა ომს იგებს!** როგორ შეიძლება, იმარჯვებდეს ქვეყანა, რომლის ერთი მესამედიც მიწასთან არის გასწორებული, რომლის ეკონომიკა და ენერგოსისტემა განადგურებულია, 27 მილიონი მოქალაქე კი იძულებით არის გადაადგილებული? **დღეს მსოფლიოში გამეფებული პოლიტიკური პროსტიტუციის ყველაზე დიდი მსხვერპლი უკრაინელი ხალხია.**

**— დაბოლოს: რატომ ვერ ვხედავთ ნაცოპოზიციის მიერ დიდი ამბით დაანონსებულ ცხელ შემოდგომას?**

— ამ ტაკიმასხარების თავყრილობას, რომელიც საკუთარ თავს ოპოზიციას ეძახის, არაფრის თავი არა აქვს! დღევანდელი საქართველოს ერთ-ერთი სერიოზული პრობლემა სწორედ ის არის, რომ ხელისუფლებას რეალური ოპონენტები არ ჰყავს და ოპოზიციური ფლანგი, რომელიც ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია, **ხაბეიშვილის, წითლიძის, სამადაშვილისა და კიკუ ვაშაძის** ამარაა დარჩენილი. ესენი პოლიტიკაში მხოლოდ პირადი კეთილდღეობისთვის არიან. რა უნდა პოლიტიკაში მამუკა ხაზარაძეს, რომელიც მხოლოდ თავის უკანალსა და ქონებას იცავს! **ეს ტაკიმასხარები მხოლოდ ტელესაროსკიპოების ეთერში აგრძელებენ პოლიტიკურ სიცოცხლეს, თორემ ქართველი ხალხისათვის დიდი ხანია, აღარ არსებობენ!**

*ესაუბრა*
**ჯაბა ხუბუა**








# არნო ხიდირბეგიშვილი: თეატრს ნუ

***თბილისის გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ რუსულ დრამატულ თეატრში 4 და 5 ოქტომბერს „თბილისის ინტერნაციონალურმა თეატრმა KOMLI“ წარმოადგინა არტურ სოლომონოვის პიესის მიხედვით დადგმული სპექტაკლი „როგორ ვასაფლავეთ იოსებ ბესარიონის-ძე“ — „Stalin 24“. „ყოველი სპექტაკლიდან შემოსული თანხები უკრაინის დასახმარებლად მიდის“ — მითითებულია აფიშაზე. ამ სპექტაკლის ჩვენება 20 ოქტომბერსაც გაგრძელდა. ამ ფაქტზე კომენტარი ვთხოვეთ „საქინფორმის“ მთავარ რედაქტორს, პოლიტოლოგსა და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა ექსპერტს არნო ხიდირბეგიშვილს:***




— როგორც დიპლომირებული ხელოვნებათმცოდნე, ამ უღიმღამო „ექშენის“ მხატვრულ ღირსებებზე კომენტარს არ გავაკეთებ. ეს ერთდღიანი ავანტიურაა. სხვათაშორის, ე.წ. „თბილისის ინტერნაციონალური თეატრი Komli“-ს გვერდები Instagramsa-სა და Telegram-ში უკვე წაშლილია. მაგრამ უფრო საინტერესოა, რომ **გრიბოედოვის თეატრის სახელწოდებიდან** ყველგან, თეატრის ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზეც კი, თანდათან გაქრა სიტყვები **„რუსული“** და **„სახელმწიფო“**, რაც შემთხვევითი როდია. **პოლიტიკამ აშკარად შეაღწია კულტურაში, ამიტომ ჰკითხეთ საქართველოს კულტურის სამინისტროს, რომლის ბიუჯეტზეც იმყოფება ეს თეატრი — ხომ არ აპირებენ მისთვის სახელის გადარქმევას „ძველ ტიფლისურ“ თეატრად, როგორც ვილნიუსში გადაარქვეს რუსული სახელმწიფო თეატრი „ძველ ვილნიუსურად“?** გრიბოედოვის თეატრის დირექტორი **ნიკოლაი სვენტიცკი** ხომ მჭიდრო ურთიერთობაშია თავის ლიეტუველ, ლატვიელ და ესტონელ კოლეგებთან.

**ასევე ჰკითხეთ კულტურის მინისტრს** — იუსტიციის ყოფილ მინისტრს **თეა წულუკიანს,** როგორ აფორმებს საქართველოს სახელმწიფო რეესტრში არარეგისტრირებული **„თბილისის ინტერნაციონალური თეატრი KOMLI“ ხელშეკრულებას სახელმწიფო ორგანიზაციასთან — გრიბოედოვის თეატრთან დარბაზის დაქირავებაზე?** ასევე ჰკითხეთ **ქალბატონ წულუკიანს,** რომელიც წმენდს კულტურის სამინისტროს სისტემას ნაცებისგან — **როგორ დაუშვა მან ნაცმოძრაობის ასეთი პროვოკაციული პროექტი „თეატრი KOMLI“-ს დირექტორის და ამავე დროს — სპექტაკლის „STALIN 24“ დამდგმელი რეჟისორის, „ПИК“-ის ყოფილი ტელეწამყვანის სერგო ყენიას ხელმძღვანელობით?** ასევე ჰკითხეთ ქალბატონ წულუკიანს, უკვე როგორც ვიცე-პრემიერს — **როგორ შემოაღწიეს საქართველოში რუსმა ოპოზიციონერებმა — ამ სპექტაკლის მსახიობებმა, რომელთაგან ბევრი, მაგალითად, სტალინის როლის შემსრულებელი, აღრიცხვაზე არიან აყვანილი რუსეთში, როგორც ბოლოტნაიას მოედანზე წარუმატებელი სახელმწიფო გადატრიალების აქტიური მონაწილეები?**

**განა საქართველოს მთავრობა არ ცდილობს, რომ საქართველო რუსეთის ოპოზიციის დასაყრდენად არ აქციოს?! მაშ, რისთვის გვჭირდება ქართველებს ამ დაძაბულ დროს თბილისში ეს ანტირუსული ფლეშმობი?**

და რატომ შემოუშვეს საზღვარზე პრემიერაზე ჩელიაბინსკიდან ჩამოქანებული პიესის ავტორი — **ვინმე სოლომონოვი და ცნობილი დისიდენტი შენდეროვიჩი,** რომელიც ასევე გამოდიოდა გრიბოედოვის სცენაზე?! აშკარაა, საქართველოში ვიღაცას ძალიან ენატრება ომი, რადგან აგერ უკვე მერამდენე წელია, ამჟამინდელი ხელისუფლების დროს საქართველო არ ომობს რუსეთთან და სურს ამის „გამოსწორება“!

**— დავესწარი სპექტაკლს და ვუყურე ვიდეოკლიპსაც, რომელშიც რუსეთიდან გამოქცეული ოპოზიციონერი მსახიობები ამბობენ, რომ „არც იქ და არც აქ საკუთარ თავს სახლში არ გრძნობენ“ და რომ „ქვეყანა, სადაც ისინი გაიზარდნენ, ჯოჯოხეთი აღმოჩნდა“...**

— თავიანთ სამშობლოზე რაც უნდათ, თქვან, ჩვენი საქმე არაა. მაგრამ **სტალინი** ქართველია, ამიტომ მისი პატივისცემა ან ძეგლების აღება საქართველოში მხოლოდ ქართველებისთვისაა დასაშვები! **სპექტაკლის მსახიობებს შორის ქართველები არ არიან, თუ არ ჩავთვლით გრიბოედოვის თეატრის რამდენიმე ნაცთანამშრომელს, რომლებიც ამ უბადრუკი სანახაობის დადგმაში დაეხმარნენ,** ხოლო რაც შეეხება მაყურებელს, სპექტაკლზე ყველა ბილეთი იყიდეს მათ, ვინც რუსეთში ყველა ავიაბილეთი იყიდა, როცა ომი დაიწყო. **ეს, ძირითადად, რუსი ნაცები იყვნენ, რომლებიც სამშობლოს დაცვის მოქალაქეობრივ მოვალეობას საქართველოში გამოექცნენ!**

მართალია, სპექტაკლის მსახიობები თავს ასაღებენ პაციფისტებად, რომლებიც ვითომდა უკრაინის ომის წინააღმდეგი არიან, მაგრამ, სინამდვილეში, **ეს არის სიცრუე სოლჟენიცინის სტილში! ისინი „არბატის შვილები“ კი არა, რუსეთის იდეოლოგიური მტრები არიან, რომლებიც საზღვარგარეთ გაქცეულები ლაფსასხამენ თავიანთ სამშობლოს,** ხოლო სტალინი ტირანად და ყველაზე მდაბიო ინსტინქტების მატარებლად გამოჰყავთ. **იმავეს აკეთებენ ქართული რადიკალური ოპოზიციის ლიდერები, როცა ევროპარლამენტსა და აშშ-ში, უკრაინაში, პოლონეთსა და ბალტიისპირეთის ქვეყნებში, სადაც ხშირად ჩადიან, ამბობენ, რომ „ქართულ ოცნებაში“ კრემლის აგენტები არიან, რომ საქართველოს გავლით რუსეთში აკრძალული ტვირთები მიემართება და ირანიდან დრონებით დატვირთული თვითმფრინავები მიფრინავენ,** ამიტომ სასწრაფოდ უნდა გამოცხადდეს სანქციები საქართველოსა და რუსი ოლიგარქი ივანიშვილის წინააღმდეგ!

**— გარდა ქართველების ეროვნული გრძნობების შეურაცხყოფისა, კიდევ რაში ხედავთ პროვოკაციას?**

— გახსოვთ, როგორ შექმნეს სააკაშვილის დავალებით **მერაბიშვილმა და ბოკერიამ რუსულენოვანი ინტერნეტ-დივერსანტების, ბლოგერების, ჰაკერების, ტელეწამყვანების და სხვა მავნებლების ბანდა** და ერთ ჭერქვეშ გააერთიანეს ისინი — ჯერ ტელეკომპანია **„ალანიას“,** შემდეგ კი ტელეკომპანია „ПИК“-ის **(„პირველი საინფორმაციო კავკასიური“) „ჟოპ“**-ის, ანუ **ჟურნალისტ ოლეგ პანფილოვის** თამადობით? მოგვიანებით მათ შეუერთდნენ **მატვეი განაპოლსკი,** თბილისელებმა **გავნოპოლკი** რომ დაარქვეს, და დუდაევის ქვრივი — ჩეჩნეთზე და პანკისის ხეობაზე სამუშაოდ, სადაც ჩრდილოკავკასიელი ბოევიკების ბანაკი იყო. **მიზანი იყო ანტირუსული პროპაგანდა, რომელიც მიმართული იყო საქართველოს არაქართველ მოსახლეობაზე,** ეს კი მოსახლეობის მესამედზე მეტია, ასევე აფხაზეთზე, ცხინვალის რეგიონზე და მთელ ჩრდილოეთ კავკასიაზე.

**შსს-ში მერაბიშვილმა** ფარულად შექმნა ჩრდილოეთ კავკასიასთან მუშაობის დეპარტამენტი, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ დივერსიებით უნდა დაკავებულიყო, ხოლო **„ჟოპ“**-ის ჯგუფს უნდა აღმოეჩინა მედია-მხარდაჭერა და განეხორციელებინა იდეოლოგიური დივერსიები — გაევრცელებინა დეზინფორმაცია, ფეიკები, კიბერშეტევები და **მოეწყო ანტირუსული ფლეშმობები, ეწარმოებინა ანტირუსული პროპაგანდა და აგიტაცია, დაეპატიჟებინა თბილისში ცნობილი მოღალატეები და ჯაშუშები, როგორც ილარიონოვი, ბუკოვსკი და სხვ.**

**— ყველას კარგად ახსოვს, როგორ ამხილეთ მაშინ ეს ჯგუფი, რომელსაც მერაბიშვილის ინტერნეტ-დივერსანტები უწოდეთ. ეს ყველაფერი ლაფანყურის ოპერაციით დასრულდა, როდესაც სააკაშვილმა საქმის მისაჩქმალად თავად გაანადგურა ჩატაევის ჯგუფი, ახალმა ხელისუფლებამ კი „ПИК“-ი დახურა, რომელსაც თქვენ „ПУК“-ი დაარქვით.**

— დღეს რუსულენოვანი ტელეკომპანია „ПИК“-ის იდეოლოგიური დატვირთვა — საქართველოში რუსულ ენაზე



გრიბოედოვის თეატრის დირექტორი
**ნიკოლაი სვენტიცკი**

# ათამაშებთ!

რუსოფობიისა და ანტირუსული პროპაგანდის დასაყრდენის — როგორც ჩანს, გრიბოედოვის თეატრს დაევალა. მე არაფერი მიკვირს მას შემდეგ, რაც ცალკალოშიანი გახარია, ივანიშვილმა პრემიერ-მინისტრი რომ გახადა, ფარულად სააკაშვილის მხარეს გადაბარგდა. გადაბირება დასავლურმა სპეცსამსახურებმა კარგად იციან, და თუ ამას დოლარებიც ემატება, ეს სერიოზული ძალაა... **„უოპ“**-ის საგველეთი, რომელიც სააკაშვილს კიევშიც ეწვია, ისევ ფაფხურობს, მათ დაემატა ახალი ძალები, მაგალითად, ამერიკული ფონდის **„თავისუფალი რუსეთი“** ადგილობრივი ფილიალის ხელმძღვანელი **კუროპტევი,** მისი მეგობარი **ლიფშიცი** და სხვა **თეატრშიპეროშერჟობილები.** აქედან მათ წასასვლელი არსად აქვთ, რუსეთში დასაბრუნებელი გზა მათთვის დაკეტილია, **ბებერი ЖОП** კვლავაც ცხოვრობს საგარეო საქმეთა სამინისტროს მოპირდაპირე ელიტურ კორპუსში მდებარე ბინაში, რომელიც სააკაშვილმა უყიდა.

ჰოდა, **თეატრს ნუ ათამაშებთ,** ბატონებო! რა სპექტაკლებს დგამთ, რას სპეკულირებთ რუსული ოკუპაციით?! არსად არავინ მოატყუოთ — დადგმა „Stalin 24“ პროვოკაციების ერთი ჯაჭვის ნაწილია: **ჯერ ასაფეთქებელი ნივთიერებით დატვირთული სატვირთო მანქანა, რომელმაც ყირიმის ხიდი ააფეთქა, რატომღაც, ქართული ნომრით მოძრაობს საქართველოს გავლით, თუმცა, რაც მეტ საზღვრებს კვეთს, მით მეტია ფეთქებადი ტვირთის აღმოჩენის ალბათობა;** შემდეგ რუსეთის ტელევიზიის პირველი არხი მრავალჯერ იმეორებს ტელესიუჟეტს ქართველი დაქირავებულების შესახებ — „ყველაზე დაუნდობლების, რომლებიც ტყვედ ჩავარდნილ რუს ჯარისკაცებს თვალებს თხრიან და ცოცხლად წვავენ“; დაბოლოს — **სპექტაკლი საქართველოს დედაქალაქის ცენტრში, რუსულ სახელმწიფო თეატრში, რომელსაც რუსეთიდან გამოქცეული რადიკალური ოპოზიციონერები თამაშობენ, ხოლო სპექტაკლებიდან მიღებული მთელი შემოსავალი უკრაინაში ირიცხება მისი შეიარაღებული ძალების დასახმარებლად.** ამდენი შემთხვევითი დამთხვევა შეუძლებელია!

საქმე კი ძალიან მარტივად არის: თავდაპირველად, ნაცოპოზიციამ ვერ აიძულა ხელისუფლება, გაეხსნა **„მეორე ფრონტი“ საქართველოში** უკრაინის დასახმარებლად. ეს რომ მოეხერხებინათ, მაშინ აფხაზეთიდან და ცხინვალიდან შემოსული რუსული არმია წამში დაამყარებდა კონტროლს საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე რუსეთის ფედერაციის სამხედრო დოქტრინის დებულების შესაბამისად რუსეთის შეიარაღებული ძალების საზღვარგარეთ გამოყენების შესახებ ანტიტერორისტული ოპერაციის ფარგლებში, თუ საფრთხე რუსეთს ემუქრება.

**ამას მოჰყვა აშშ-ისა და ევროკავშირის იძულების მცდელობა, გამოეცხადებინათ სანქციები საქართველოს წინააღმდეგ, რომელიც ვითომდა სანქციების გვერდის ავლით ვაჭრობს რუსული ნავთობით, რუსი ბიზნესმენები თითქოს დიდ ფინანსურ ოპერაციებს ახორციელებენ ქართულ ბანკებში და ა.შ.**

საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭების საბაბით, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას ახლა აიძულებენ, მიიღოს კანონი, თითქოსდა **„საქართველოს ჩრდილოვანი ერთპიროვნული მმართველის — რუსი ოლიგარქის ბიძინა ივანიშვილის დეოლიგარქიზაციის შესახებ“.**

**გრიბოედოვის თეატრი კი, რომელსაც თანამედროვე შენობა ივანიშვილმა აჩუქა, უკრაინის არმიას რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ეხმარება. წერტილი!**

აი, ოპოზიციამ უკვე ინსინუაციები დაიწყო — **აქაოდა, უკრაინის მიერ სანქციების სიაში შეყვანილმა ივანიშვილმა სპეციალურად მის მიერ გულუხვად დაფინანსებულ გრიბოედოვის თეატრს ამ ანტირუსული სპექტაკლის დადგმა მოსკოვთან კავშირებში ბრალდებების გასაბათილებლად უბრძანა, სანქციების და დეოლიგარქიზაციის თავიდან ასაცილებლად და ნახევარ მილიარდდოლარიანი სასამართლო დავის მოსაგებად შვეიცარიულ ბანკ „CREDIT SUISSE“-თან!** ჰოდა, ვის სჭირდება ასეთი თეატრი — პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით?! განა ივანიშვილმა 3 მილიარდ დოლარზე მეტი არ დახარჯა საქართველოში კულტურასა და ქველმოქმედებაში? რატომ აირჩიეს პროვოკაციისთვის მაინცდამაინც რუსული თეატრი?

**— მაშასადამე, არის მხოლოდ ერთი ფუგურა, რომელმაც სრული სიმართლე იცის და რომელმაც ოფიციალურად გასცა ნებართვა სპექტაკლის დადგმაზე — ესაა საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე და რუსეთის ფედერაციის დამსახურებული არტისტი, გრიბოედოვის სახ. თბილისის სახელმწიფო აკადემიური რუსული დრამატული თეატრის დირექტორი ნიკოლაი სვენტიცკი?**

— **ნიკოლაი სვენტიცკი** ასევე არის **რუსული კლუბის პრეზიდენტი** და საქართველოში **რუს თანამემამულეთა ორგანიზაციის საკოორდინაციო საბჭოს** (КСОРСГ) **თავმჯდომარე,** დაჯილდოებულია ნეტარი თავადი დანიელ მოსკოველის რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის III ხარისხის ორდენით, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სამკერდე ნიშნით „საერთაშორისო თანამშრომლობაში წვლილისთვის“, ასევე დაჯილდოებულია რუსეთის თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის უმაღლესი ჯილდოთი „რფ-ის



**სერგო ყენია,**
**რეჟისორი სპექტაკლისა „სტალინი-24. როგორ ვასაფლავეთ იოსებ ბესარიონის-ძე“**

თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის ოქროს სამკერდე ნიშანი“; არის რუსეთის „მეგობრობის ორდენის“ კავალერი, საზღვარგარეთ რუსეთის თეატრის მოღვაწეთა ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე, რუსი თანამემამულეების მსოფლიო საკოორდინაციო საბჭოს წევრი.

**— მსუყე ჩამონათვალია!**

— გეთანხმებით, რადგან **სვენტიცკიმ, საკუთარი და თეატრალური კოლექტივის სახელით, ღიად დაუჭირა მხარი უკრაინას და დაგმო რუსეთის პრეზიდენტი:** „დიდი სისულელეა, რომ პუტინმა დაიწყო ეს ომი!“, განაცხადა მან ომის დაწყებისთანავე. არა, სვენტიცკის არ უთამაშია არცერთ სპექტაკლში და წოდებები მას სხვა დამსახურებებისთვის მიანიჭეს, სამაგიეროდ, სვენტიცკი ყოველთვის ამბობს იმას, რასაც ფიქრობს და აკეთებს იმას, რასაც ამბობს! აი, სვენტიცკი აცხადებს, რომ **„რუსეთიდან ჩამოსულებს ყველას უნდა მოვეფეროთ, რადგან ისინი ტერორისტები კი არა, პუტინის რეჟიმს გამოქცეული ხალხია“.** თქვა და მოეფერა კიდეც, თავის თეატრში სპექტაკლის დადგმის ნება დართო!

სვენტიცკი მანამდეც არ მალავდა თავის დამოკიდებულებას რუსეთისა და პუტინის მიმართ — ფოტოებს იღებდა კიევში პლაკატის ფონზე „Путин – х...ло!“, ხაზგასმით ულოცავს უკრაინას დამოუკიდებლობას. „ყოველ ღამე ოცზე მეტ წერილს ვწერ უკრაინაში. ვეკითხები ხალხს — რა შემიძლია გავაკეთო, რით დავეხმარო“, — განუცხადა **სვენტიცკიმ** პრესას. თქვა და გააკეთა — **სპექტაკლებიდან მიღებული შემოსავალი, ეს კი საკმაოდ სოლიდური თანხებია, კიევის რეჟიმის დასახმარებლად ირიცხება!** დანარჩენი ჰკითხეთ სვენტიცკის რუს სპონსორებს — რუსეთის საგარეო საქმეთა და კულტურის სამინისტროებს, ფონდ „Русский мир“-ს, „Россотрудничество“-ს და **რუსეთის ფედერაციის ინტერესების სექციას საქართველოში,** რომლის ხელმძღვანელიც ახლაც და ყოველთვის, როგორც წესი, სვენტიცკის ძმაკაცია.

**— როგორც მერაბიშვილმა ერთხელ განაცხადა, „ფულს სუნი არ უდის“... საინტერესოა, რა დამოკიდებულება აქვს ამ ყველაფრის მიმართ რუსეთის ინტერესების სექციას საქართველოში, რომლის განსაკუთრებული პატრონაჟის ქვეშაც იმყოფება გრიბოედოვის თეატრი და თავად სვენტიცკი? როგორ მოხდა, რომ საქართველოში რუსეთის ინტერესების სექციასთან არსებული საქართველოს რუსეთის ფედერაციის თანამემამულეთა საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე სვენტიცკი — რუსული დიასპორის ლიდერი, რუსული კულტურის კერის ხელმძღვანელი და „რუსული კლუბის“ პრეზიდენტი — გახარიას გზას გაჰყვა? იციან თუ არა რუსმა დიპლომატებმა, რომ სპექტაკლის მონაწილეთა შორის არის კომიკოსი იდრაკ მირზალი-ზადე, რომელმაც თავისებურად გაიმეორა სააკაშვილის რეჟიმის ყოფილი თავდაცვის მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის სიტყვები ფეკალიების შესახებ? „მე და ჩემმა ძმამ გადავაგდეთ გასვრილი მატრასი, წინა მოიჯარეები რუსები იყვნენ. რუსები, ალბათ, ძილის წინ ფეკალიებში ამოისვრებიან!“ — თქვა მირზალი-ზადემ, ხოლო ოქრუაშვილმა პარლამენტის ტრიბუნიდან განაცხადა, რომ რუსულ ბაზარზე ფეკალური მასებიც რომ გაიგზავნოს, მაინც გაიყიდება, რადგან „რუსები ყველაფერს შეჭამენ“!**

— მიუღებელია ნებისმიერი ერის შეურაცხყოფა ისევე, როგორც მიუტევებელია მიცვალებულთა შეურაცხყოფა, რომლებიც სტალინის სახელით იბრძოდნენ! **ნაცოპოზიციას, როგორც ჩანს, ავიწყდება, რომ ყოველ ჯერზე, როცა კი გმირების ხსოვნას შეეხნენ, საქართველოში უბედურება ხდებოდა!** დიახ, როდესაც მათმა ბელადმა სააკაშვილმა ქუთაისში დიდი სამამულო ომის გმირთა მემორიალი ააფეთქა, ქვის ქანდაკების უზარმაზარმა ნატეხმა უმანკო დედაშვილი შეიწირა. უფრო მეტიც, სააკაშვილმა **გამარჯვების პარკი ვაკის პარკად გადანათლა და დიდების მემორიალზე ქართველი გმირების სახელები წაშალა.** იქნებ ამიტომ არ წყდება უბედურებათა სერია შერყვნილ **გამარჯვების პარკში?** და, საერთოდ, **სანამ სააკაშვილის პარტიული დროშა დიდების მემორიალს დასჩხავის, ქვეყანა არ დალაგდება!** არადა, ეს შადრევნების კასკადი ხომ დედის ცრემლების სიმბოლოა დაღუპული შვილების გამო. **1975 წლიდან აქ რუსეთიდან ჩამოსვენებული უცნობი ქართველი ჯარისკაცის ნეშტი განისვენებს,** რომელმაც სიცოცხლე დიადი გამარჯვებისათვის, მომავალი თაობის ბედნიერებისათვის გაიღო **და არა მათი დაღუპვისათვის უკრაინაში თუ სულელური სპექტაკლებისათვის საქართველოში.** ასე რომ, უპატივსაცემო ბატონებო, **თეატრს ნუ ათამაშებთ!**

*ესაუბრა*
***ქეთევან ხამიცაშვილი***





**სცენები სპექტაკლიდან „სტალინი-24. როგორ ვასაფლავეთ იოსებ ბესარიონის-ძე“**

# „ერთადერთი, ვინც უკრაინის ომით სარგებელს ნახულობს და ძლიერდება, თურქეთი და ჩინეთია!“






## თემურ შაშიაშვილი:

# საქართველოს ხსნა არის საქართველოში!

***„მეცნიერთა კონგრესის“ დამფუძნებელი და მოძრაობა „თეთრების“ ლიდერი თეიმურაზ შაშიაშვილი საქართველოში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას მიმოიხილავს და იმ პერსპექტივაზე საუბრობს, რომელიც „მეცნიერთა კონგრესის“ გეგმების რეალიზებას მოჰყვება, რადგან გამოსავალი ეროვნულ თანხმობასა და ინტელექტუალურ რევოლუციაშია და არა ქუჩის რევოლუციაში:***

— ამ თხუთმეტი წლის წინათ ცხონებულმა **მერაბ ბერძენიშვილმა** ყველაზე დიდი და სწორი რჩევა მოგვცა — **ტელევიზიები დალუკავენ ქვეყანას და თუ გვინდა, საქართველო გადავარჩინოთ, ინტელიგენციამ ერთი ძლიერი, ეროვნული ცნობიერების ტელევიზია შევქმნათო!** დღეს, როცა საქართველოს სატელევიზო სივრცე, ფაქტობრივად, ჩაკეტილია და ერთსა და იმავე მოვლენას ხელისუფლებისა და ოპოზიციის კუთვნილი ტელეარხები სხვადასხვა სარკიდან გვიჩვენებენ, საბოლოოდ ვრწმუნდები, როგორი ბრძენი ყოფილა მერაბ ბერძენიშვილი... ახლა სიტუაცია ასეთია —

**მართალიც რომ იყო, შედიხარ თუ არა ვინმესთან პოლიტიკურ დაპირისპირებაში, უკვე დამანგრეველი ძალა ხდები! ამ ქვეყანას კი დანგრევა აღარ უნდა!**

**— ბატონო თემურ, მაშ, რა არის ამ სიტუაციიდან გამოსავალი, ნაცების ხროვას, რომელიც რევანშისთვის ემზადება, არ უნდა დავუპირისპირდეთ?**

— **დღეს გამოსავალი ქვეყნის მმართველობიდან გარედან მართული პოლიტიკოსების ჩამოშორებაა!** დიახ, მიმაჩნია, რომ ხელისუფლებაც და ოპოზიციაც გარედან იმართება, ხოლო სიტუაცია იმდენად გასულია კონტროლიდან, რომ საქართველოში ქალი პოლიტიკოსი აღარ დარჩა, რომელიც დედას არ იგინება.

**ოტია იოსელიანი ამბობდა** — თუ გინდა, საქართველოში რამეს მიაღწიო, ან ხელიდან უნდა წახვიდე, ან — ქვეყნიდანო! **საქართველოში პოლიტიკოსები ხელიდან არიან წასული, ამიტომ ქვეყნის გადარჩენის ერთადერთი გზა ხელისუფლების სათავეში მეცნიერთა მოსვლაა!** „ქართულმა ოცნებამ“ დღეს რომ გამოაცხადოს, მომდევნო არჩევნებში მონაწილეობას არ მივიღებო, ამის შემდეგ ნაცმოძრაობამ კენჭი რომც იყაროს, ხალხი ხმას არავითარ შემთხვევაში არ მისცემს!

**— ხალხს ნაცებისთვის ხმა ბევრჯერ არ მიუცია, მაგრამ ისინი არჩევნების შედეგებს უსინდისოდ აყალბებდნენ და მაინც ხელისუფლებაში რჩებოდნენ! ასე რომ, სააკაშვილის გუნდი ქვეყნის სათავეში არჩევნებით არ მოსულა და არც აწი აპირებს არჩევნებით მოსვლას!**

## „ნაცმოძრაობას სურდა, საქართველო რუსეთის წინააღმდეგ სანქციებს შეერთებოდა, რათა ქვეყანაში ხორბალი არ შემოსულიყო და დამშეულ ხალხს ხელისუფლება დაემხო!“

— დღეს საქართველოში გადატრიალებას ვერავინ მოაწყობს, რადგან ავტორიტეტი არცერთ პარტიას არა აქვს!

**ახლა ყველაზე მართებულია „მეცნიერთა კონგრესის“ მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც საქართველოში უნდა შეიკრიბოს არა პარტიული, არამედ პიროვნებათა და პროფესიონალთა პარლამენტი.**

დღეს საქართველოში ხელისუფალს სჭირდება ინტელექტი, გამოცდილება და წესიერება. ამ სამიდან თუ წესიერებას გამორიცხავ, მაშინ ინტელექტი და გამოცდილება აზრს კარგავს. **ჩვენ ვირჩევთ უწესო ხალხს და გვინდა, ქვეყანაში წესიერება დავამკვიდროთ!**

**— ეხება თუ არა დღეს საქართველოს დასავლეთი უკრაინის ომში?**

— დიახ, ეხება! ჩვენი კვების პროდუქტების 95 პროცენტი და ხორბლის 80 პროცენტი რუსეთიდან შემოდის! ის კი არ არის კატასტროფა, საქართველო რომ სანქციებს არ შეუერთდა, უბედურება ის გახლავთ, საქართველოს საკუთარი ხალხის გამოკვება რომ არ შეუძლია! ნაცმოძრაობას სურდა, საქართველო რუსეთის წინააღმდეგ სანქციებს შეერთებოდა, რათა ქვეყანაში ხორბალი არ შემოსულიყო და დამშეულ ხალხს ხელისუფლება დაემხო! **უკვე აშკარაა, რომ სააკაშვილის საქართველოში შემოსვლა გათვლილი იყო საქართველოს ამბოხებაზე.** საერთოდ, ამბოხებული ქვეყნების სიმრავლე მავანის გეგმებში შედის... **უკრაინის ომით სლავები ერთმანეთს ხოცავენ და ინგრევიან, ევროპა ნადგურდება, ამერიკაშიც არ არის მთლად სახარბიელო ვითარება... ერთადერთი, ვინც უკრაინის ომით სარგებელს ნახულობს და ძლიერდება, თურქეთი და ჩინეთია!** დამერწმუნეთ, უახლოეს მომავალში ევროპის ყველა ხელისუფალი შეიცვლება... ალბათ, ხედავთ, რა ხდება ინგლისში, სადაც პრემიერ-მინისტრი ლიზ ტრასი 45 დღეში გადადგა.




**— როგორ შეაფასებთ იმ ფაქტს, რომ ზურაბ ადეიშვილი ევროსაბჭოში უკრაინას წარმოადგენს და ომის დანაშაულებს არჩევს?**

— ვისაც დასავლეთის სპეცსამსახურები დაიმორჩილებენ, მერე აღარ წირავენ და საგანგებოდ უვლიან. **ამერიკელები მეუბნებიან, რომ უფრო კორუმპირებული, ვიდრე კეზერაშვილია, არავინ ეგულებათ!** აი, ასეთი კაცი ჰყავს დაცვის ქვეშ ამერიკას, რომელიც გამუდმებით წესიერებაზე გველაპარაკება. რაც შეეხება **ზურაბ ადეიშვილს,** იგი **კეზერაშვილთან** შედარებით „კაროლია“... მაგრამ მათი ლანძღვა-გინებით ჩვენც ვემსგავსებით ამ უგვან და ყველაფრის მკადრებელ ხალხს. ასე რომ, **გამოსავალი ეროვნულ თანხმობასა და ინტელექტუალურ რევოლუციაშია და არა ქუჩის რევოლუციაში!**

გარდა ამისა, როგორც კი ხელისუფლება ითანამშრომლებს კონსტრუქციულ ძალასთან და ყურადღებას არ მიაქცევს დესტრუქციულ ნაცმოძრაობას, ყველაფერი თავის ადგილზე დალაგდება. **დღეს კონსტრუქციული ძალაა „მეცნიერთა კონგრესი“, რომელსაც სამი თვეა, თავისი წინადადებები შეტანილი აქვს პრემიერ-მინისტრთან, მაგრამ ჯერჯერობით არავითარი პასუხი არ ჩანს.** „პირველ არხზეც“ კი დაგვბლოკეს, რათა „მეცნიერთა კონგრესის“ 21 პუნქტი არ გავაჟღეროთ!

**— მაინც რას წარმოადგენს ეს პუნქტები?**

— მაგალითად,

**„მეცნიერთა კონგრესი“ ითხოვს ლუსტრაციის კანონს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან პარტიების დაფინანსების აკრძალვას, კორუფციისა და ნეპოტიზმის სახელმწიფო ღალატად**

## „დღეს გამოსავალი ქვეყნის მმართველობიდან გარედან მართული პოლიტიკოსების ჩამოშორებაა!“

### კვირგვინოსნები



**ალეკო ელისაშვილი**
*„მოქალაქეების“ ლიდერი, პარლამენტარი*

თუ გვინდა, ომი თავიდან ავიცილოთ, **კარგად უნდა მოვემზადოთ ომისთვის.** მარტო კაცები კი არა, ქალებიც უნდა მოვამზადოთ ომისთვის. **სახელმწიფომ უნდა აღადგინოს საყოველთაო გაწვევა,** ოღონდ ყარაულებად კი არ უნდა მიჰყავდეს ჯან-ღონით სავსე 18 წლის ახალგაზრდები, საბრძოლო მომზადების კურსებზე უნდა ატარებდეს. **მე რომ ხელისუფლებაში ვიყო, ჩემი შვილებით დავიწყებდი.**

„კვირის პალიტრა“



**ამირან სალუქვაძე**
*სამხედრო ექსპერტი*

რატომ 2008 წელს არ ატეხეს ერთი ამბავი, როდესაც **არამარტო შემოუშვეს რუსები, არამარტო საბაყოზე დახვდა მათ პრეზიდენტი სააკაშვილი და გაუმარტივა სავიზო რეჟიმი, არამედ მესაზღვრის ჯიხურშიც კი დაჯდა და საკუთარი ხელით ჩაურტყა შტამპები პასპორტებში.** რიგითი მესაზღვრის ფუნქცია შეასრულა მთავარსარდალმა. მიკვირს, როგორ არ რცხვენიათ ხმის ამოღების მის მხარდამჭერებს. უტიფრობის დოღი აქვთ გამართული.

„კვირის პალიტრა“



**სოსო ცინცაძე**
*ექსპერტი*

**პუტინმა** თუ უკრაინაში მოიგო ომი, სხვა ქვეყნების დაპყრობას დააპირებს და რიგში პირველები ჩვენ ვიქნებით. ახლა **ზელენსკიმ** მართლა რაიმე კაპიტულანტურ ზავს ხელი რომ მოაწეროს, თავისი ჯარი შემოუბრუნდება და დაამხობს მის ხელისუფლებას.

„ალია“

# „ვირჩევთ უწესო ხალხს და გვინდა, ქვეყანაში წესიერება დავამკვიდროთ!“

### გამოცხადებას, მიწის გაყიდვის აკრძალვას!

გაყიდული და გარედან მართული პარტიები როგორც ხელისუფლებაში, ისე ოპოზიციაში, ამ მუხლების წინააღმდეგი არიან. სწორედ ამიტომაც ვეუბნებით და მოვუწოდებთ მათ — **გავიდეთ ხალხში და ხალხმა გაარკვიოს, ვის ენდობა — ჩვენ თუ თქვენ!**

### პარტია, რომელიც ხალხთან ვერ გადის, მოსყიდული და მართულია და უნდა გაუქმდეს!

ქუთაისში ლენინის ორი ძეგლი იდგა... ერთი ძეგლი აღმასკომის დადგენილებით ავიღე. მაშინ ქალაქში ძალიან აქტიურობდა **ირაკლი წერეთლის** პარტიის წევრი, წესიერი კაცი **ვალერი კალანდარიშვილი**, რომელმაც ჩემზე თქვა — შაშიაშვილი ავტორიტეტული კაცია და ლენინის მეორე ძეგლიც რომ მაგან აიღოს, დავიღუპებითო! მივედი მასთან და ვუთხარი — ძეგლის ავტორია მოსული, რომელიც მზად არის, მოახდინოს მისი დემონტაჟი-მეთქი! — არა, მაინცდამაინც უნდა ჩამოვაგდოთო! — მიპასუხა კალანდარიშვილმა. — თქვენ მიდიხართ დაპირისპირების გზით, ამიტომ მე გადავდგები და თანამდებობიდან მივდივარ-მეთქი! ასეც მოვიქეცი... **ეს მოხდა გუმბარიძის დროს და მთელი ორი დღის განმავლობაში ნუგზარ საჯაიათი დაწყებული, რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელებით დამთავრებული, ჩემს სახლთან იდგნენ, რათა დავბრუნებულიყავი!**

**— და მაინც, გცემთ თუ არა ომის სუნი?**

— მე ახლაც ვგრძნობ დაპირისპირების საფრთხეს, რადგან საქართველო სავსეა რუსეთისა და ამერიკის მხარდამჭერებით. ვინც ამბობს, რომ საქართველოს ხსნა რუსეთში ან ამერიკაშია, ყველა ქვეყნის მტერია! **საქართველოს ხსნა არის საქართველოში!**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***








*ქართველი ემიგრანტი* ***მაია კალანდაძე-ზაპერტოვა*** *2009 წლიდან იტალიაში ცხოვრობს, მაგრამ საქართველოს უკეთესი მომავლის იმედით ეწევა ჭაპანს, ხოლო სააკაშვილსა და ნაცხროვას ანგარიშსწორებას ჰპირდება.*

„ვარდების რევოლუციამ“ ჩემ თვალწინ ჩაიარა. საგადასახადო დეპარტამენტიდან ლეონიძის ქუჩაზე რომ ჩამოვდიოდი, კილომეტრიანი რიგი იდგა ხორავას სახლთან — ნაციონალები ხალხს ფულს ურიგებდნენ, ქრთამავდნენ აქციაზე მისასვლელად. ესენი ახლა იძახიან — ხახვი და კარტოფილიო. არადა, ხახვსაც არიგებდნენ, ფქვილსაც, შაქარსაც და ასე ყიდულობდნენ ხალხს!

სამსახურიდან გამოგდებულს, როგორ უნდა მიმეხედა ოჯახისათვის? ამიტომაც წავედი ქვეყნიდან და მაგათაც ეს უნდოდათ! ხომ ყველამ ნახა, მოსვლისთანავე განათლების სისტემა დაანგრიეს, რადგან უცოდინარებსა და შტერებს უკეთ მართავდნენ!

**— ეს ყველაფერი მწარე წარსულია, მაგრამ ახლა, როინაში?**

— პირდაპირ ვიტყვი: **ყველა ქვეყანა დაინგრა, რომელიც ამერიკას ჩაუვარდა ფეხებში.** გაიწირა საქართველო და ახლა უკრაინა ინგრევა. არ დათმობს რუსეთი, რადგან კარგად იცის თავისი ისტორია, სამაგიეროდ, ქართველ ხალხს დაავიწყდა თავისი წარსული და სხვას შესციცინებს თვალებში. იქნებ იმიტომ, რომ წიგნის კითხვა ეზარება ხალხს!

**— ბევრია ემიგრანტებში ნაცმოძრაობის მომხრე?**

— კი, ბევრია ტვინგამორეცხილი და ასეთ ხალხს ვერაფერს შეაგნებინებ. არადა, თუ დღევანდელი მთავრობა ნაციონალებს ვერ ერევა, ჩვენ ძალიან დიდი ძალა ვართ, ავიღებთ ერთ დღეს ბარგს, ჩამოვალთ საქართველოში და ვნახოთ, სად გაიქცევიან ნაცები! მერე ნახეთ ნამდვილი ანგარიშსწორება! იმას მოვითმენთ, თავზე რომ დაგვჩხავიან — 2003 წელს სააკაშვილმა შექმნა საქართველოს სახელმწიფოო... სად ეყარნენ ნაცები, საქართველოს მსოფლიო რომ იცნობდა!

2013 წელს იტალიაში ოპერაცია გამიკეთეს. ქირურგმა მეორე დღეს მომინახულა, თან თავისი კოლეგები ახლდა, ჩემი ჯანმრთელობის ამბები რომ განიხილეს, იგი კოლეგებს მიუბრუნდა და უთხრა: — **ეს ქალბატონი არის ქვეყნიდან, რომლის ჯანმრთელობისა და განათლების სისტემას მსოფლიოში ანალოგი არ ჰყავდაო...** მერე მე მომიბრუნდა: **გილირდათ ამერიკის სიყვარული იმად, რომ ასე დაქცეულიყო თქვენი ქვეყანა?**

შემოვევლე ირაკლი ღარიბაშვილს, ამ უმძიმეს სიტუაციაში მაგრად რომ დგას და ქვეყანას სისხლისღვრა აარიდა. სააკაშვილი კი, ახლა ციხეში რომ იპრანჭება, იმ კუტუსკაში უნდა ჩალპეს და თავისუფლება არ ეღირსოს!

## *მაია კალანდაძე-ზაპერტოვა:*

# ავიღებთ ერთ დღეს ბარგს, ჩამოვალთ საქართველოში და ვნახოთ, სად გაიქცევიან ნაცები!

**— ქალბატონო მაია, მოგვიყევით, როგორ ცხოვრობთ იტალიის ქართველები?!**

— რადგან იტალიაში ვმუშაობ, შეიძლება ვინმეს ეგონოს, რომ უკვე შევეჩვიე აქაურობას, მაგრამ ასე არ არის — არნახული ნოსტალგია მკლავს, ოჯახის, ახლობლების მონატრება ყელში მიჭერს და სუნთქვა მიჭირს!

სამუშაოც უმძიმესია, ოღონდ ანაზღაურება იყოსო და ზოგიერთისთვის შეიძლება სულერთია, მაგრამ პირადად მე ძალიან მეძნელება, როცა არ გვაძლევენ დაბანის საშუალებას, აქაოდა, წყალზე დიდძალი გადასახადები მოდისო... მოკლედ, უნდა იმუშაო უპრეტენზიოდ და უენოდ, თანაც, სამსახურის დაკარგვის შიშით ყველაფერზე თვალები დახუჭო. განსაკუთრებით მძიმე ალცჰაიმერით დაავადებული მოხუცების მოვლაა, არადა, იტალიაში ასაკოვანთა უმრავლესობა სწორედ ამ ავადმყოფობით იხოცება.

**— როდის წახვედით საზღვარგარეთ?**

— 2009 წელს, როცა საგადასახადო სისტემაში რეორგანიზაცია ჩატარდა, 40 წელს გადაცილებულების პირადი საქმეები ცალკე გადააწყვეს და შედარებით ახალგაზრდების — ცალკე. „ხანდაზმულებმა“ უკვე ვიცოდით, საკვალიფიკაციო გამოცდები უშეცდომოდაც რომ ჩაგვებარებინა, მაინც გაგვყრიდნენ სამსახურიდან. იმ ხანებში **გოგა ხაჩიძე** იყო გარემოს დაცვის მინისტრი და მწარედ მახსოვს მისი სიტყვები: **40 წელს გადაცილებული ხე არ მინდა ეზოშიო!**

ახლა 50-ს რომ გადასცილდნენ ნაცმოძრაობის ბობოლები, რატომ იბრძვიან ისევ ხელისუფლებაში დასაბრუნებლად? აკი, ხეც არ უნდოდათ თავისი წლოვანების?

**— როგორ ჩანს, მანდედან საომარი მოქმედებები უკრაცა ამბობენ, სააკაშვილი ავად არის და კვდებაო, რა აზრის ხართ ამაზე?**

**– არაფერი ქირს მაგას სასიკვდილო, ხარივით ჯანმრთელია ეგ ნაძირალა.**

რა უნდოდა, რომ ჩამოეხეტა, ხომ ნებივრობდა ჩვენთვის წაღლეტილი ბიუჯეტის ფულით ეგ ნაძირალა?

*ესაუბრა*
***ირანდა კალანდაძე***



# „საქართველოში პოლიტიკოსები ხელიდან არიან წასული, ამიტომ ქვეყნის გადარჩენის ერთადერთი გზა ხელისუფლების სათავეში მეცნიერთა მოსვლაა!“



**გიორგი გაჩეჩილაძე**
*პარლამენტარი*



მივმართავ ხელისუფლებას, **დაანებონ თავი სტრატეგიულ პარტნიორებთან ჩხიკინს.** იმდენად სერიოზული პრობლემების წინაშე ვდგავართ, რომ **ახლა ჩვენი დამცველი მხოლოდ და მხოლოდ ნატო და ევროკავშირია.** სისულელეების გამო ქვეყანას დაცვის გარეშე ნუ დატოვებენ.

„ახალი თაობა“

**კახა კახიშვილი**
*პარლამენტარი*



მაქვს შიში იმისა, რომ კვალიფიციური უმრავლესობით **გენერალური პროკურორის კანდიდატურაზე შეთანხმება ვერ მოხდება და ამით სამართალდამცავი სისტემა ჩამოიშლება.** ჩვენ იმ უწყებას ვეხებით, რომელიც არის მაკოორდინირებული უწყება კრიმინალთან ბრძოლაში.

„ახალი თაობა“

**დავით უსუფაშვილი**
*პოლიტიკოსი*



უცხოეთში ჩვენგან წასული ხალხის უდიდესი უმრავლესობა აბარებს საბუთებს, რომ პოლიტიკური დევნილია. რატომ აკეთებენ ამას? იმიტომ, რომ **სახელი აქვს გატეხილი ამ ქვეყანას ბევრჯერ პოლიტიკური დევნის გამო.** აბა, ჩეხეთიდან წავიდეს ვინმე სადმე და პოლიტიკურად მდევნიანო თქვას, მოუსმენენ ამისთვის?

„ახალი თაობა“

**ლევან ქარუმიძე**
*ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე*



მსჯავრდებულის და **ცნობილი სადისტის მასპინძლობა იმ დაწესებულებაში, რომელიც ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის გარანტია,** რბილად რომ თქვათ, შეუფერებელია. **ადეიშვილმა** ჯერ პასუხი უნდა აგოს საკუთარ დანაშაულებზე, სანამ სხვის დანაშაულებს გამოიძიებს.

„საქართველოს რესპუბლიკა“




**გია ხუხაშვილის პირდაპირი ჩართვა ბნელი ოთახიდან „მთავარი არხის“ ეთერში**

## ბიძინა ივანიშვილს ხუხაშვილის ჭკუაზე რომ ევლო, დღეს „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში აღარ იქნებოდა!

# მშფოთვარე ხუხა!



***ამ დღეებში ბატონი ხუხა სხვანაირ სატელევიზიო „ამპულაში“ წარმოგვიდგა — ბიძინა ივანიშვილის ნაჩუქარ ბინაში შუქი ჩააქრო, სანთელი აანთო და ჩაბნელებულ ფონზე ეგრევე დაიწყო. დაიწყო რა, ძველი დემაგოგია განაგრძო, გიგახუხაშვილისეული, ოღონდ ქსენოფობიურ ჭრილში:***

> *„თბილისი ფაქტობრივად მოსკოვი გახდა, გუშინ ბავშვი მყავდა გასართობ ცენტრში, სადაც შეხვალ, 10 რუსი და 1 ქართველი დგას. ჩემი შვილიშვილი კომუნიკაბელური ბავშვია, უნდა სხვა ბავშვების გაცნობა, მეგობრობა, იქ ერთი ქართველი არ იყო, ვისაც ხმას გასცემდა და დაელაპარაკებოდა, აბსოლუტურად სუ რუსები. დაიბნა ბავშვი და გამოვიდა, წამოვიყვანე სახლში“.*

ხედავთ? — მავნებლობასა და სიშტერეს რომ თავი დავანებოთ, ბატონი ხუხა ახლა მომავალი თაობის აღზრდაშიც ერევა და ტელევიზორში სირინოზობს და ბავშვებს ბავშვობიდანვე აბოროტებს.

განსწავლული ადამიანების მტკიცებით, **„ქსენოფობია“** ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს შიშს უცხოელის მიმართ. თურმე, ეს არის პათოლოგიური შფოთვა, რაც ყოველივე უცხოს მიმართ ნეგატიური სტერეოტიპული დამოკიდებულებით ხასიათდება. მეტიც, ეს შიში განსხვავებული ადამიანების მიუღებლობასა და მათ მიმართ მტრულ დამოკიდებულებაში გამოიხატება. **ქსენოფობია** უფრო საშიშია მაშინ, როცა საქმე გვაქვს პოლიტიკურ მანიპულაციასთან. **ნახეთ, რის გაკეთებას ცდილობს ხუხაშვილი — საკუთარი შვილიშვილის გასეირნებას იყენებს ამ ხელისუფლების დისკრედიტაციისთვის. თურმე, საქართველოში უკვე იმდენი რუსია შემოსული, გასართობ ცენტრებში ქართველ ბავშვებს საერთოდ ვეღარ ნახავთ, წაგვლეკეს, ბავშვს თანატოლებთან გამოლაპარაკება უნდოდა და ვერ გამოელაპარაკა, დაიჩაგრა, უკმაყოფილო პაპამ თუ ბაბუამ სახლში წაიყვანა...**

ბიჭოოოო... ეგეთი სიჩლუნგე გინახავთ? მე არ მინახავს! **ჯერ ერთი, სად იყო, რომელ გასართობ ცენტრში მიიყვანა ბავშვი, ასერიგად რომ გარუსებულა, ქართულად გამომლაპარაკებელი სულიერიც რომ აღარ დარჩენილა?** ხოხ, ვაკეში? საბურთალოზე? **აბერ, გლდანის რომელიმე გასართობში შეევლო, ერთ რუსსაც ვერ ნახავდა, მარტო ქართველებთან, სომხებთან და აზერბაიჯანელებთან ექნებოდა საქმე.**

რა ვქნათ ახლა, როგორ გამოვასწოროთ ამ ხელისუფლების მიერ დაშვებული შეცდომა, ამოდენა რუსი ბავშვები რომ შემოყარა ლარსის შემომშვები პუნქტიდან? ჰა, რა გავაკეთოთ, როგორ მოვიქცეთ? **მშფოთვარე ხუხას** აღქმების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ჩვენი ბავშვები უნდა მივუსიოთ რუს ბავშვებს და აქედან გავაყრევინოთ. აბა, ახლა უფროსები ხომ არ ჩავერევით უმცროსების საქმეში? **სამწუხაროდ, აქ ჩნდება ერთი პრობლემა, ვინაიდან რუსი ბავშვები ომებში გამოწრთობილები არიან, ჩვენ მოგვიწევს ჩვენი ბავშვების წამეცადინება „ლაგარტკების“ სროლაში.** როგორც **მშფოთვარე ხუხა** ამბობს, იგი მზადაა, თვითონვე უმეთაუროს საგანგებო ბატალიონს, თუნდაც დივიზიონს და მცირეწლოვანი ოკუპანტები დაიფრინოს ყველა გასართობი ცენტრიდან, უპირობოდ განდევნოს ვაკე-საბურთალოს მიდამოებიდან.

ხუმრობა კარგია, ჩემო მეგობრებო, მაგრამ **ეს ის შემთხვევაა, როცა ცალი თვალით უნდა ვიცინოთ, ცალი თვალით კიდევ უნდა ვიტიროთ...** როგორც ცხონებული **რეზო ჭეიშვილი** ამბობდა, საქმე გვაქვს **სასაცილოდან სასატირლომდე** და პირიქით, **სასატირლოდან სასაცილომდე.**

დიახ, დღეს შეიძლება **ამორტიზებულ ხუხას** გამონათქვამებზე ვიცინოთ, **მაგრამ, როგორც კი გვახსენდება, რომ ის რამდენიმე წლის წინათ ქვეყნის ბედს წყვეტდა, პირველ პირს ლამის პირველ მრჩევლად ეჯდა, ეგრევე ტირილი გვინდება.** მერე ის პირველი პირი მიხვდა, **ხუხა** რა **ბერმუხაც** იყო და სანამ მეტს **გადახუხავდა,** ეგრევე **დააჩვევინა.** გინდათ, გითხრათ, ძირითადად, რატომ დააჩვევინა ასე თვალისდაუხამხამებლად? საამისოდ არაერთი მიზეზი არსებობდა, მაგრამ ერთხანს შეუჩნდა — **ყველა ნაცი თუ არ დავიჭირეთ, ეგენი თავებს ისევ წამოყოფენო.** გაიგონეთ? დღეს ნაცებში გადამძვრალი **(მგონი, ბოლომდე ვერც გადაძვრა, მოღალატეს იქაც არ ენდობიან) ხუხა** გუშინ ნაცების დაპატიმრებას ითხოვდა. **ბიძინა ივანიშვილის** პოზიცია იყო ასეთი: **კი ბატონო, დამნაშავეები უნდა დაისაჯონ, მაგრამ ადამიანს იმის გამო ვერ დავიჭერთ, რომ ვილაცის მომხრეა, ნაცია თუ სხვა რამეა, სახლში მიშა სააკაშვილის სურათი უკიდია თუ სენიორ რობინზონისა.** ამ თემაზე მეც მიკამათია მასთან და დროთა სრბოლამ გვაჩვენა, რომ აბსოლუტურად მართალი იყო — **ბიძინა ივანიშვილს ხუხაშვილის ჭკუაზე რომ ევლო, დღეს „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში აღარ იქნებოდა,** მასობრივ დაპატიმრებებთან ერთად იგეგმებოდა უამრავი პროვოკაცია და გაუგებრობა. ბატონმა ბიძინამ პირდაპირ მიახალა **ხუხას** — **უკაცრავად, მაგრამ შენ მოგზავნილი მგონიხარ!** სწორად ამოუცნია, როცა ადამიანი სადმე მიგზავნილი არ არის, ის მტრების ბანაკში არ გარბის... ამის საუკეთესო ნიმუშად **ირაკლი ღარიბაშვილის** წარსულიც გამოდგება — **კაცი პრემიერ-მინისტრი იყო, წავიდა, გული ეტკინა, შემდეგ რთული დღეებიც ჰქონდა, ათასნაირი ჭორი აუგორეს, რაღა არ დააბრალეს, მაგრამ არსად გადაბარგებულა, ღალატი გულშიც არ გაუვლია, გავიდა სამიოდე წელიწადი და ყველა დარწმუნდა მის ერთგულებაში, ადრეც დარწმუნებულები იყვნენ, მაგრამ მისი სახელით ბევრმა იხეირა და ბევრმა საქმეც გაუფუჭა.**

მას შემდეგ, რაც **მშფოთვარე ხუხამ** რუს ბავშვებს თავზე ეროვნული რისხვა დაატეხა და ჩვენი მომავალი თაობა დაიცვა, გადაჭრით განაცხადა — **ვისაც ღირსება ჰქონდა, ყველა წავიდა „ოცნებიდანო“...** აი, მაგალითად, **ბუბაზა, მურმანა, უსუფა, ეკუნა, გედეონა და მეო.** ჰა, ჰა, ჰა! გეყურებათ? **ვისაც ღირსება ჰქონდა, ყველა წავიდაო, განა „დააპაშოლესო“?**

მოკლედ, ასეა თუ ისე, **მშფოთვარე ხუხა** იმაზე საშიში მოვლენა ყოფილა, ვიდრე გვეგონა, მაგას ბავშვები და ორსული ქალები მოარიდეთ, თქვენი ჯანმრთელობისთვის საზიანოა! თანაც, ბოლო დროს ხმა გავარდა, საკუთარი ძაღლიც კი ვეღარ იტანსო...

***გელა ზედელაშვილი***

# საწყალი ილონ მასკი ამათ ხელში!

***ამერიკელი მილიარდერი ილონ მასკი გაქოცებულა! — ამის თქმა მხოლოდ საქართველოში შეუძლიათ, თანაც, გადაჭრით და მტკიცებულებითი ფორმით. მეტიც, ამ ქვეყანაში საზოგადოების ერთ ნაწილს ისიც კი შეუძლია, მსოფლიოს უმდიდრეს ადამიანს აგრესიული ტონით ჭკუა დაარიგოს და საჭიროების შემთხვევაში სარზე გასმითაც დაემუქროს.***



**რატომ ემუქრებიან საქართველოს მოქალაქეები მისტერ ილონს ან რა დააშავა „სპეის-იქსისა“ და „ტესლას“ დამფუძნებელმა?** თქვენ წარმოიდგინეთ, მან გაბედა და ასეთი რეალური სამშვიდობო გეგმა წარმოადგინა: **გაეროს ზედამხედველობით ჩატარდეს არჩევნები ანექსირებულ რეგიონებში. რუსეთი დატოვებს ამ რეგიონებს, თუკი იქნება ხალხის ნება. ყირიმი ოფიციალურად რუსეთის ნაწილია, როგორც იყო 1783 წლიდან** (ხრუშჩოვის მიერ შეცდომის დაშვებამდე). **უკრაინა რჩება ნეიტრალური.**

არავინ იცის, რამდენად შეიძლება განხორციელდეს **ილონ მასკის გეგმა,** მაგრამ განა რამე არის მის ნათქვამში გაუგებარი? არც არაფერი! კაცი იძახის — **მოდით, მეგობრებო, რაღაცა მოვიფიქროთ, როგორმე მშვიდობა დავამყაროთ.** მგონი, ის ერთადერთი გავლენიანი ამერიკელია, რომელმაც სიტყვა **„მშვიდობა“** ახსენა. დიახ, ახსენა და ეგრევე აუმხედრდა ქართველი „მოაზროვნე ელიტა“. აი, დავწერე **„ელიტა“** და თან მეცინება — საზოგადოების ნაწილის აზროვნება ასე თუ დაეცემოდა, ვერასდროს წარმოვიდგენდი. **ამ შემთხვევაში ის კი არ მაინტერესებს, რა თქვა და რა წარმოადგინა მისტერ ილონმა, მე ის მაინტერესებს, რატომ დაბლაგვდა და გაფარჩაკდა ქართულად მოლაპარაკე ადამიანების მსოფლმხედველობა, რატომ მოწყდნენ ისინი რეალობას და რატომ ჩაიხარშა მათი ტვინები თავის დროზე სააკაშვილის მიერ ცეცხლზე შემოდგმულ ჭუჭყიან ქვაბში?**

მოდით, სასაუბრო თემა უფრო ხელშესახები რომ გახდეს, საკუთარი თვალით ვნახოთ, როგორ ემუქრებიან უმდიდრეს ადამიანს და როგორ მსჯელობენ მიმდინარე მოვლენებზე:

> *„**ელისო კილაძე:** — ელონ მასკი გაქოცდა!*
>
> ***დავით ოდნიმ:** — მოარჯულებენ არაა პრობლემა ჩაარტყავენ პატარაზე ძაან აიშვა და ამ კრიტიკულ მომენტში, სახემწიფო ბევრ რამეზე უხუჭავს თვალებს, მიუჩენენ ადგილს.*
>
> ***ნათია კუხალაშვილი:** — ამიტომაა აუცილებელი ფულთან ერთად წიგნის კითხვაც.*
>
> ***ოქრო დარციმელიძე:** — კი არ გაქოცდა, გაპუტინდა.*
>
> ***ზურა ქევხიშვილი:** — ეს იმას ნიშნავს, რომ პოლიტიკაში საერთოდ ვერ ერკვევა. სამწუხაროდ.*
>
> ***თინა თამასიძე:** — ივან მასკი.*
>
> ***გიორგი რუსიტაშვილი:** — რაც მაგან გააკეთა, ეხლა ამ ომიანობის პერიოდში მაგას უნდა ეწოდოს ცოცორა.*
>
> ***ზურაბ ჟორჟოლიანი:** — ზუსტად! ჩვენებურად სხვა ქვია, მარა იყოს ქოცი.*
>
> ***სერგო ლონენაშვილი:** — ეტყობა, ქოცებმა ქრთამი გადაუხადეს.*
>
> ***ლაშა:** — ისე ეგ ყველაზე საშიშია, რადგან მაგას ისეთი იარაღი აქვს, მეტეორს დაადო და მიმართულება შეუცვალა და ეს რო გააბრაზონ, რას გვესვრის კოსმოსიდან, კაცმა არ იცის! მარსი-მარსიო, რო იძახის, ესე იგი, რაღაცა აქვს განძრახული.*
>
> ***ჰამლეტ პაქსაძე:** — უფრო გაპუტინდა... თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს, ერთი და იგივეა.*
>
> ***მალხაზ კვამლაძე:** — რა ჭირთ ამ დიდი ფულის პატრონებს, რავა ყველა სირია.*
>
> ***ნანა ჯინჭარაძე:** — დიდი ხანია, ეგ რომ ქოცია და კიდევ — ცუკერბერბიც.*
>
> ***ლელა ბეჟუაშვილი:** — უკრაინა მაინც გაიმარჯვებს, მაგან იკითხოს, მსოფლიოს წარმოდგენა რომ დააკარგვინა თავზე.*
>
> ***ლუკას ილიას:** — ძალით უნდა წაართვას ვინმემ საკუთარი სახლი და მერე გამოჭკვიანდება“!*

ვიმეორებ — **ამ შემთხვევაში, მე და თქვენ გვაინტერესებს არა ილონ მასკის „დანაშაული“, არამედ ე.წ. ქართველთა აზროვნების დონე.** ალბათ, გეცნოთ, ზოგიერთ მათგანს პრეტენზიებიც კი აქვს ექსპერტობაზე, „ჭკვიანურობაზე“, ლამის პოლიტიკოსობაზე, ჟურნალისტობაზე... **ზოგიერთი მათგანი გაზეთსაც კი გამოსცემს — თავისი ჭკუით, მამხილებელ წერილებსაცა „სწერამს“, რედაქტორობს კიდევაც...** რომელი ერთი და რამდენი ერთი ჩამოვთვალო? არ დაიჯერებთ, ზოგიერთი მათგანი ზოგიერთებს ტელესტუდიებშიც დაუდით და ამ ქვეყნის სვე-ბედზე ალაპარაკებენ, მსოფლიო მოვლენებზე ამსჯელებენ, მოსახლეობას ასმენინებენ და ამავე მოსახლეობის ნაწილს აყეყერებენ.

**თურმე, მასკი დიდი ხანია, ქოცია, მაგრამ მოარჯულებენ, თავში ჩაარტყამენ და აზრზე მოიყვანენ.** ეგრე სადაა? ბოლო დროს ძაან გამოპუტინდაო... რაც მთავარია, უკრაინა მაინც გაიმარჯვებს და მაგან იკითხოსო...

ამათი ბლანტე ჭკუით, **ვისაც უკრაინის გამარჯვებისა არ სჯერა, ყველა ქოცია... ვისაც არ სჯერა, რომ 2008 წელს რუსეთს საქართველომ ომი მოუგო, ისიც ქოცია... მეტიც, ვისაც სჯერა, რომ გარეჯი საქართველოა, ყველა ბიძინა ივანიშვილის მონაა, პუტინის ხელქვეითია, ლავროვის ხელისბიჭია.**

ეჰ, საწყალი ილონ მასკი ამათ ხელში!

***დედამიწაზე უმდიდრეს ადამიანს გამოესარჩლა***

***გელა ზედელაშვილი***

# ილონ მასკი გაქოცებულა?!

# ჯენერალისიმუსი

№31-32 (155-156) ★ 2022 წლის 24 ოქტომბერი ★ გამოდის 2003 წლიდან



# ტროას მტრედი

**პრეზიდენტი ზელენსკი ამერიკელების მიერ სწორედ უკანალში „პეროგარჭობილი“ მტრედი-ბომბია!**




**ხვალ იყო გუშინ... ★**

***თქვენს წინაშეა საბჭოთა პროპაგანდისტული პლაკატი, რომელსაც აქტუალობა დღემდე არ დაუკარგავს. მასზე გამოსახულია ატომური ბომბი, რომელსაც ამერიკელი ძიები უწინდელივით „მშვიდობის მტრედის“ ნიღაბს არგებენ და ქათქათა ბუმბულებით მოსავენ. განსაკუთრებით ეფექტურია პლაკატის ის ნაწილი, სადაც მტრედ-ბომბს ამერიკელი ძია უკანალში „პეროს“ ურჭობს...***

ათეული წლების წინათ საბჭოთა პრესა მსგავსი პროპაგანდისტული სიმბოლიკით იყო გადაჭედილი, მაგრამ დღეს მთელი მსოფლიო და განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა სივრცე გადავსებულია **იმ მოსიარულე ბომბებით,** რომლებმაც სხვადასხვა ქვეყნები უნდა ააფეთქონ და რომლებსაც ამერიკელებმა **მშვიდობის მტრედის** ფორმაც მისცეს და უკანალში **„პეროც“** გაურჭეს!

მაგალითად, სწორედ ასეთი ტროას **მტრედის ფუნქცია** შეასრულა თავის დროზე **ედუარდ შევარდნაძემ,** რომელმაც ზვიად გამსახურდიას თავისუფალ საქართველოს ყელი გამოჭრა და ყელზე საბჭოთა გეი-მაფიით დაწყებული, „გაიშნიკ“ სიმონიანით დამთავრებული ყველა მამაძაღლი და ხელიდან წასული ჩამოიკიდა.

**ამერიკელების მიერ უკანალში სწორედ მშვიდობის მტრედის ბუმბული აქვს გარჭობილი მიხეილ სააკაშვილს,** რომელიც, როგორც **მტრედი-ბომბი,** 2008 წლის აგვისტოში აფეთქდა, საქართველო დაშალა და ქსნისა და კოდორის ხეობები პუტინის რუსეთს ტყვიის გასროლის გარეშე ჩააბარა. **სხვათაშორის, ეს ბუმბული სააკაშვილს დღემდე მოსვენებას არ აძლევს და წალმა-უკუღმა დაარბენინებს. ასე, მაგალითად, ბუმბულის ზემოქმედების შედეგად ჩაჯდა სააკაშვილი არაყნის კონტეინერში და საქართველოში გამოქანდა; ბუმბული** უღიტინებს მას კლინიკა **„ვივამედშიც“,** სადაც დედამისს, **სუტ-კნეინა გიული ალასანიას** პირდაპირ განუცხადა — **„მექანავებაო!“**

ამერიკული წარმოების **ადამიანი-ბომბის** ფუნქციას ასრულებენ „ცერეუს“ ღია და გაცხადებული აგენტები საქართველოში — **გიგა ბოკერია, ირაკლი ალასანია, თინა ხიდაშელი, ზურაბ-გირჩი ჯაფარიძე, ეკა ბიბაური და ნინო ლომჯარია,** რომელმაც უსირცხვილოდ განაცხადა — **ამ სირცხვილს მირჩევნია, პუტინის ბომბები გვაცვიოდეს თავზეო!** ამათგან ზოგი უკანალში „პეროგარჭობილია“ და ზოგი — არა. მაგალითად, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ **პარლამენტარი იაგო ხვიჩია,** შესაძლოა, მთლად მოსიარულე ბომბი არ არის, მაგრამ უკანალში „პეროგარჭობილს“, **სანამ საბჭოთა გეი-მაფიის ბინძურ ინსტრუქციებს შეასრულებინებენ,** სულ უფრო და უფრო მეტი „პერო“ გაერჭობა უკანალში!

**პრეზიდენტი ზელენსკიც** ამერიკელების მიერ სწორედ უკანალში **„პეროგარჭობილი“ მტრედი-ბომბია,** რომელმაც ევროპის უდიდესი ქვეყანა — უკრაინა, თავისი უგუნური პოლიტიკის წყალობით, ააფეთქა და მიწასთან გაასწორა. მის შესაფუთად ამერიკამ დიდი სამუშაო ჩაატარა. **ზელენსკის, რომელიც სცენაზე ტიტლიკანა დარბოდა, ცოცხით ფორტეპიანოზე უკრავდა და 2008 წელს რუსეთის მიერ აოხრებულ საქართველოსა და ქართველებზე ღლიცინებდა, ამერიკელებმა ჯერ ჩააცვეს, მერე პოპულარულ სერიალში უკრაინის პრეზიდენტის როლი ათამაშეს, ხოლო ბოლოს ნამდვილი პრეზიდენტიც გახადეს და აყვავებული და უზარმაზარი შესაძლებლობების ქვეყანა ააფეთქებინეს!** ახლა ამერიკას გადასადგმელი დარჩა უკანასკნელი ნაბიჯი — თავისი გოლიათი ტანკერები უკრაინის ტერიტორიულ წყლებში შეიყვანოს, **რათა ფიქალისგან წარმოებული უძვირესი გაზი მამასისხლად მიაწოდოს უბედურ დღეში ჩავარდნილ ქვეყანას, რომელსაც რუსეთმა ბუნებრივი გაზი გადაუკეტა.**

თავის მხრივ, ზელენსკის ნაზირ-ვეზირებიც — აფერისტი **მიხეილო პოდოლიაკიც,** მესაჯდომე **ოლექსი არესტოვიჩიც,** უსამშობლო **დავით არახამიაც** და თხაწვერა **დანილოვიც ამერიკელების მიერ უკანალში „პეროგარჭობილი“ ტროას მტრედები არიან,** რომელთა პირითაც პენტაგონელი ძიები ჩვენ, სომხეთსა და მოლდოვას გვემუქრებიან — **მალე თქვენთვისაც მოვიცლითო!**

ასეთია **ტროას მტრედის** ისტორია, რომელსაც ამდენი თრევისაგან ბუმბული გასცვივდა, მაგრამ აქტუალობა დღემდე არ დაუკარგავს ისევე, როგორც გენიალური **შტეფან ცვაიგის** ნოველას **„მესამე მტრედის ლეგენდა“,** რომელმაც **ნოეს კიდობნიდან გამოშვების შემდეგ** ომის ქარცეცხლში გახვეულ დედამიწაზე მშვიდობიანი ადგილი ვერა და ვერ იპოვა!

***დიტო ჩუბინიძე***

## ნაწყვეტი შტეფან ცვაიგის ნოველიდან „ მესამე მტრედის ლეგენდა “



Die Legende der dritten Taube.

Von

Stefan Zweig.

In dem Buche vom Anfang der Zeit ist die Geschichte der ersten Taube erzählt und die der zweiten, die Urvater Noah aus der Arche um Botschaft sandte, als die Schleusen des Himmels sich schlossen und die Gewässer der Tiefe versiegten, doch die Reise und das Schicksal der dritten Taube, wer hat sie gekündet? Auf dem Gipfel des Berges Ararat war das rettende Schiff gestrandet, das in seinem Schoß das Überleben der Sintflut barg, Menschheit und Getier, und als des Urvaters Blick vom Maste nur Woge und Welle sah, unendliches Gewässer, da sandte er eine Taube, die erste, aus, daß sie ihm Botschaft brächte, ob irgendwo schon Land zu schauen sei unter dem entwölkten Himmel.

Die erste Taube, so ist dort erzählt, hob sich auf und spannte die Schwingen. Sie flog gen Osten und gen

gesunken. Von der Taube aber, der dritten, hat er niemals wieder vernommen und auch die Menschheit nicht, nie ward ihre Legende gekündet bis in unsere Tage.

Dies aber war der dritten Taube Reise und Geschick. Des Morgens war sie von der dumpfen Kammer des Schiffes aufgeflogen, darin im Dunkel die gepreßten Tiere murrten vor Ungeduld, und ein Gedränge war von Hufen und Klauen, ein wüstes Getön von Brüllen und Pfeifen und Zischen und Bellen, sie war aufgeflogen aus der Enge in die unendliche Weite, aus dem Dunkel in das Licht. Da sie aber die Schwinge nun hob in die lichtklare, vom Regen süß gewürzte Luft, wogte mit einem Male Freiheit um sie und die Gnade des Unbegrenzten. Von der Tiefe schimmerten die Wasser, wie feuchtes Moos leuchteten grün die Wälder, von den Wiesen stieg




ნოემ კიდევ 7 დღით დაახანა და გამოუშვა მესამე მტრედი კიდობნიდან. და გადაუფრინა მტრედმა ქვეყნიერებას. ელოდა ნოე, მაგრამ არ დაბრუნებულა მტრედი უკან, და თუმცა, შეიტყო, რომ გადიღვარა წყალი პირისაგან მიწისა, მესამე მტრედის ამბავი არც ნოეს და არც ადამიანთა მოდგმას აქამომდე აღარ სმენია.

**აღარავის უნახავს იდუმალებით მოცული გზააბნეული მტრედი, რომელიც დაეძებს მშვიდობას, შეშინებული და დაღლილი კრავს კამარას ჩვენს თავზე. მაგრამ საითაც არ უნდა გაეშუროს, ოდენ ადამიანთა მიერ ნატყორცნი ელვა და ჭექა-ქუხილი აკრთობს, ყველგან ომია და ზღვა ცეცხლისა და სისხლისა ნთქავს დედამიწას, კვლავ საყოველთაო წარღვნას მოუცავს არემარე... დაეძებს მტრედი მშვიდ ნავსაყუდელს, დაფრინავს ქვეყანათა ზედა, რათა კვლავ მიეახლოს წინაპარს ზეთისხილის რტოთი, იმედის მომცემით.**

# ჩამოწერილები და ჩაწერილები, ანუ

# ფრთხილად, ლექციიდან «ვავამედში» არ გიკრან თავი!

***„ჩამოწერილები“ იმ პოლიტიკური სექტის წევრები არიან, რომელიც 2012 წლის 1 ოქტომბერს ქართველმა ხალხმა პოლიტიკურ სანაგვეზე მოისროლა, ხოლო „ჩაწერილები“ — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ის ღვაწლმოსილი და პატივცემული პროფესორები, რომლებიც საკოვის სექტის წევრებმა ყოვლად უღირსი მეთოდებით ლექციის მსვლელობის დროს ფარულად ჩაწერეს:***

*წინა კვირას სააკაშვილის ნაცტელევიზიებმა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ერთ-ერთი ნაცსექტანტი სტუდენტის მიერ ლაბორატორიულ მეცადინეობაზე ფარულად გადაღებული ვიდეოკადრები გაავრცელეს და ღრიანცელი ატეხეს — ფიზიკის პროფესორები — **ზურაბ ჩარხიანი** და **ვახტანგ მელაძე** სტუდენტებს ლექციის დროს პოლიტიკაზე ეკამათებიან, ჩვენს მესამე პრეზიდენტს — **დიად მიხეილს** შეურაცხყოფენ, ხოლო **სტალინს,** რომელმაც იმდენი უდანაშაულო მოუსავლეთში გაგზავნა, მორწმუნედ და ღვთის მადიდებელ მოღვაწედ სახავენო!*

***სტალინი რომ ღრმად რელიგიური პერსონა გახლდათ, ამას მოსკოვის გარეუბანში მდებარე ერთ პატარა ეკლესიაში შობის ღამეს ბელადის მოულოდნელი სტუმრობა და მისი უკანასკნელი აღსარებაც ადასტურებს, რის შესახებაც „ხანდაზმული თაღლითის“ — ჭუტა წერეთლის ტელესაროსკიპოში, ცხადია, არაფერი გაუგიათ!** მეორე და მთავარი — სააკაშვილის, როგორც ქვეყნის ამომგდებისა და ტერიტორიების გამყიდველი რეზიდენტის ლანძღვა-გინება ლექციაზეც უნდა ისმოდეს, მატარებელშიც, თვითმფრინავშიც და გემბანზეც. ცხადია, ამ მხრივ არც ტექნიკური უნივერსიტეტი უნდა იყოს გამონაკლისი და განსაკუთრებით მაშინ, როცა სააკაშვილის წივილ-კივილის აქციიდან ლექციაზე დაგვიანებით მოსული სტუდენტი პროფესორს პოლიტიკაზე პროვოკაციულად ჩამოუგდებს სიტყვას და მერე ამ ყველაფერს ჩუმად ჩაწერს!*

***ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე მრავალი სამეცნიერო მონოგრაფიის, წიგნი-***





## ზურაბ ჩარხიანი:

# მე ვუთხარი – შვილო, მაგ დორბლიანი სააკაშვილის გამო ცხოვრებას ნუ გაიფუჭებ, დაჯექი, ისწავლე-მეთქი!

***სა და ნაშრომის ავტორი, პროფესორი ზურაბ ჩარხიანი,** რომელიც ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას თანაკლასელია, მომხდარის გამო გაოგნებას ვერ მალავს და აცხადებს, რომ, თუკი ვინმე ეთიკის კომისიამ უნდა დასაჯოს, უპირველეს ყოვლისა, სტუდენტ-პროვოკატორი და ნაცსექტანტი, **ვინმე სონან სადიკოვი,** რომელმაც პროფესორი სწორედ სააკაშვილისა და „კაგებეს“ მეთოდებით ჩაწერა...*

**ზურაბ ჩარხიანი:** — ეს ამბავი, რომელიც სააკაშვილის ტელევიზიებმა აიტაცეს და ერთი ამბავი ატეხეს, დაახლოებით მარტის ბოლოს ან აპრილის დასაწყისში მოხდა. თუ გახსოვთ, მაშინ ლექციები ონლაინ ტარდებოდა, მაგრამ მერე ბოლოში უფლება მოგვცეს, რამდენიმე ლექცია აუდიტორიებშიც ჩაგვეტარებინა. იმ დღეს პრაქტიკული მეცადინეობა გვქონდა... სტუდენტმა, **სავარაუდოდ, სონან სადიკოვმა,** დააგვიანა და ვიღაც გოგონასთან ერთად შემოვიდა. ცხადია, შემოვუშვი... მასალის გამოკითხვაზე რომ მიდგა საქმე, სადიკოვმა მიპასუხა — არ ვიციო! — რატომ არ იცი, შვილო, ელემენტარული რაღაცის წაკითხვა რა პრობლემა იყო-მეთქი? — იმიტომ არ ვიცი, რომ გუშინ ჩვენი პრეზიდენტის **მიხეილ სააკაშვილის** მხარდასაჭერ მიტინგზე ვიყავიო! მე ვუთხარი — შვილო, მაგ დორბლიანი **სააკაშვილის გამო ცხოვრებას ნუ გაიფუჭებ, დაჯექი, ისწავლე, შენი საქმე გააკეთე-მეთქი!**

თურმე, ეს ბიჭიც და გოგოც, რომელიც მას შემოჰყვა, ამ ყველაფერს იწერდნენ... ამასობაში შემოვიდა ჩემი მეწყვილე, **ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ფიზიკოსი ვახტანგ მელაძე,** რომელსაც იმავე სადიკოვმა ჰკითხა — **რუსეთსა და უკრაინას შორის ვინ გაიმარჯვებსო?** მელაძემ უპასუხა, რომ ომში გაიმარჯვებდა რუსეთი! მერე სტალინზე დააყარა შეკითხვები... ამ დროს მე ხელებს ვიქნევდი — გაჩერდით-მეთქი! მერე **სადიკოვი** ისევ მე მომიტრიალდა და მკითხა — **ეს მთავრობა მოგწონთ?** — როგორ არ მომწონს, სიმშვიდეა, ომი არ არის-მეთქი! — **კობახიძეც მოგწონთ?** — დიახ, მომწონს, ტვინით გაპენტილი ახალგაზრდაა... შენი საქმე გააკეთე და ამ ლაპარაკს შეეშვი-მეთქი! მოკლედ, ეს საუბარი დასვენებაზეც გაგრძელდა... მერე ბავშვებიც ჩაერივნენ ამ პოლემიკაში — ზოგი ამას ამბობდა, ზოგი — იმას! სადიკოვმა ბავშვებს უთხრა — თქვენ მე არ გელაპარაკებითო! აი, სულ ეს იყო...

**— ბატონო ზურაბ, საიდან გაიგეთ, რომ სონან სადიკოვმა ეს ყველაფერი ჩუმად გადაიღო და ჩაწერა?**

— შვილი მყავს პატიმარი, რომელთანაც ოცდაოთხსაათიან პაემანზე ვიყავი შესული. მოკლედ, სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში ჩემი ბიჭი ტელევიზორს უყურებდა, რომ უცბად აყვირდა — მამა, შენზე ლაპარაკობენო! აი, ასე გავიგე, რომ, თურმე, სტუდენტმა ჩუმად ჩაგვწერა...

**— მომხდარს როგორ შეაფასებთ?**

— ჩემი შეფასება ასეთია: **საქართველოს სიყვარულს ვერავინ მასწავლის, რადგან ცხონებული ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა და მე ერთ კლასში ვსწავლობდით!** დედაჩემი, რომელიც თელიას ქალი იყო და მინისტრთა საბჭოში მუშაობდა, **„მეზრელთა საქმეზე“** დაიჭირეს, ხოლო მამით ისედაც ობოლი ვიყავი, რადგან ომში დაიღუპა. დედა ახალი დაჭერილი იყო, სკოლაში არ მიშვებდნენ... მე და ცხონებული ბებიაჩემი ე.წ. გადახურულ ბაზარში ვიყავით, როცა ზვიადის დედა — ულამაზესი და უსათნოესი ქალბატონი **მირანდა ფალავანდიშვილი** შემოვიდა და რომ დამინახა, იკივლა — ზურიკო, შვილო, შენ აქ რა გინდა, სკოლაში რატომ არ ხარო?! მე ტირილი დავიწყე... ბებიამ **ქალბატონ მირანდას** უთხრა, რომ დედა დააპატიმრეს. ეს რომ გაიგონა, ქალბატონი მირანდა არც დაფიქრებულა, მაშინვე ხელი მომხვია და ბებიაჩემს უთხრა — **ზურიკოს მე წავიყვან, ზვიადისთან ერთად იცხოვრებსო!** აი, ასე აღმოვჩნდი გრიბოედოვის ქუჩაზე, დიდი კონსტანტინე გამსახურდიას ოჯახში, სადაც ორი წელი გავატარე. მე და სულგანათლებულ ზვიად გამსახურდიას ერთ პატარა ოთახში გვეძინა... აი, ეს მაქვს ნანახი და განცდილი, ასეთ ხალხთან ერთად ვცხოვრობდი და ვიზრდებოდი და ეს მართლაცდა დორბლიანი სააკაშვილი და მისი სექტა მასწავლიან საქართველოს სიყვარულს?!

**— უნივერსიტეტში ამ ინციდენტს გაგრძელება ხომ არ მოჰყვა? ამბობდნენ, თითქოს ეთიკის კომისიას უნდა განეხილა ეს საქმე?**

— **ეთიკის კომისიამ იმ სტუდენტის საქმე განიხილოს, რომელიც არ სწავლობს, ლექციაზე დაგვიანებით შემოდის და პროფესორს ზუსტად იმ ფარული მეთოდებით უღებს და იწერს, როგორც ამას სააკაშვილი და მისი ხროვა სჩადიოდნენ!**

●





## ვახტანგ მელაძე:

# ვეკითხები ამ უწიგნურებსა და პროვოკატორებს, ამის გამკეთებელი სტალინი მორწმუნე არ იქნებოდა?

***ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ცხადია, დავუკავშირდით ინციდენტში მონაწილე მეორე ფიგურანტს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მოწვეულ ლექტორს, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორს, ფიზიკოს ვახტანგ მელაძეს, რომელსაც სააკაშვილის ხროვა სტალინისტობას ედავება!***

**ვახტანგ მელაძე:** — ზურაბ ჩარხიანთან სასაუბროდ რომ შევედი, ერთი სტუდენტი ცოტა უცნაურად იჯდა ზურგით, თურმე, ჩუმად გვწერდა. სულ აუდიტორიაში სამი-ოთხი სტუდენტი იქნებოდა. ერთ-ერთი მათგანი — ძალიან მაღალი ბიჭი, წამოხტა და შუაში ჩახტა, ზურაბისკენ არ გამიშვა. სწორედ მან დამიწყო ლაპარაკი — უკრაინა გაიმარჯვებსო! მას ვუპასუხე — **უკრაინა როგორ გაიმარჯვებს, ეს გამორიცხულია-მეთქი!**

**— ბატონო ვახტანგ, სტალინი რა კონტექსტში იქნა ნახსენები და ვინ დაიწყო სტალინზე ლაპარაკი?**

— სტალინზე ზურაბსაც ელაპარაკებოდნენ და მერე ამ ლაპარაკში მეც ჩავერიე... სტალინი ვინ იყო, მაგათ წარმოდგენა არა აქვთ. რა იციან მაგათ სტალინი? ამ უწიგნურებს ჰგონიათ, რომ სტალინს ხელში ნაჯახი ეჭირა და ხალხს თავებს აჭრიდა. სადღაც ამზადებენ მაგათ, ეგ სტუდენტები სპეციალურად მომზადებული ბავშვების შთაბეჭდილებას ტოვებდნენ. ვერ წარმოვიდგენდი, თუ ამ ყველაფერს ჩუმად იწერდნენ და მერე სადღაც გამოაქვეყნებდნენ, მაგრამ ეს ხომ სააკაშვილის მეთოდია? სააკაშვილის მომხრე ხომ სხვანაირად ვერ მოიქცეოდა? **ბანა სააკაშვილი არ იყო, საძინებლებში რომ უთვალთვალებდა ხალხს და ფარულად უღებდა?** რაც შეეხება სტალინს, სტალინი ჯერ მეცნიერულად შესწავლილი არ არის — აქეთ არის პოლიტიკა, ხოლო იქით — ისტორია! რაც გააკეთა, იმაში ისტორიულად სტალინს ვინ შეედავება? სტალინმა შექმნა უდიდესი და უძლიერესი იმპერია, რომელსაც მთელი მსოფლიო ებრძვის და ჯერჯერობით ვერაფერს უშვრება! პოლიტიკა სხვა საქმეა, სტალინის მოღვაწეობას პოლიტიკურ შეფასებას ვერ მივცემ, რადგან პოლიტიკოსი არ ვარ...

**— ფარულ ვიდეოში თქვენ ამბობთ, რომ სტალინი მორწმუნე იყო!**

— დიახ, ვიცი და წაკითხული მაქვს, რომ სტალინი მორწმუნე იყო! **როცა საბჭოთა კავშირს ჰიტლერთან ბრძოლა განსაკუთრებით გაუჭირდა, სტალინის ბრძანებით, მოსკოვს, ლენინგრადსა და სტალინგრადს თვითმფრინავებით ღვთისმშობლის ხატი შემოატარეს, ხოლო თვითმფრინავებში ბერები ისხდნენ და საგალობლებს აღავლენდნენ.** ვეკითხები ამ უწიგნურებსა და პროვოკატორებს, ამის გამკეთებელი სტალინი მორწმუნე არ იქნებოდა? დღეს რუსეთის ბევრ ეკლესიაში სტალინის სურათები კიდია... ამიტომაც ვთქვი, რომ სტალინი მორწმუნე იყო! მამაჩემი გენეტიკოსი გახლდათ და 1948 წელს ის ცეკას პლენუმზე „დაამუშავეს“, მაგრამ მერე, როცა სიმართლე გაირკვა, ყველანაირ პატივში აღადგინეს და უნივერსიტეტში კათედრის გამგედაც დანიშნეს! სიმართლე უნდა ითქვას — სტალინი უდიდესი ისტორიული ფიგურა გახლავთ, რომლის სახელსაც პროვოკატორები ვერაფერს დააკლებენ!

## P.S.

ჩვენი მხრივ ისღა დაგვრჩენია, ღვაწლმოსილ პროფესორებს — **ზურაბ ჩარხიანსა** და **ვახტანგ მელაძეს** ხანგრძლივი სიცოცხლე ვუსურვოთ. რაც შეეხებათ, უზნეო ჩამწერ-პროვოკატორებს— ბიჭებო, თქვენი უსტაბაში, გარყვნილი სააკაშვილი, სწორედ ფარულ ჩაწერასა და თვალთვალს გადაჰყვა! ამიტომ ფრთხილად, ლექციიდან „ვავამედში“ არ გიკრან თავი!

***ესაუბრა***
***დიტო ჩუბინიძე***

*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ედიშერ გვენეტაძე რეგიონსა და მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს ეხმიანება და აცხადებს, რომ ისრაელს, რომელსაც უკრაინის ხელისუფლება ომში ჩასათრევად ექაჩება, ჩვენზე უკეთესი მეხსიერება აქვს. ანალიტიკოსი, რომელმაც სააკაშვილის რეჟიმის მძვინვარება საკუთარ თავზე გამოსცადა, დარწმუნებულია, რომ ის, რაც ზელენსკიმ წინა კვირას ბიძინა ივანიშვილის უახლოესი ნათესავებისა და ახლობლების მისამართით გაბედა, ამერიკის ხელისუფლებაში მოკალათებული ბნელი ძალების გარეშე ვერ მოხდებოდა:*

**პროფესორის პოლიტიკა ★**



## ედიშერ გვენეტაძე:

# მთელი ევროპა ჰიტლერის გვერდით იდგა!



ადოლფ ჰიტლერი და იოზეფ გებელსი

— მასხარა ზელენსკის მიერ ბიძინა ივანიშვილის უახლოესი ნათესავებისა და ახლობლების დასანქცირებით კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ უკრაინის ხელისუფლება, რომელიც დასავლეთისა და, უპირველეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებული შტატების ბნელი ძალების მარიონეტია, საქართველოს სახელმწიფოს დაუძინებელი მტერია და ჩვენს ქვეყანას უკრაინის გამანადგურებელი ომისკენ ექაჩება. სწორედ ამ მარიონეტების მფარველმა ძალებმა მოათრიეს ხელისუფლებაში სააკაშვილი და მისი ბანდა, რომლებსაც დააქცევინეს საქართველო და მერე ეს ბანდა წაათრიეს უკრაინაში, რომელსაც ახლა აქცევენ.

მითხარით ერთი, **თუ არა ამერიკის შეერთებული შტატების ბნელი ძალების პოლიტიკური მხარდაჭერა, როგორ გაბედავდა უკრაინის ხელისუფლება ივანიშვილის უახლოესი ნათესავებისა და ახლობლების დასანქცირებას და როგორ გაბედავდა იმას, როცა დამნაშავე და ძებნილი ზურაბ ადეიშვილი, რომელიც სააკაშვილის ფაშისტური რეჟიმის გებელსი იყო, ევროსაბჭოში ჩაათრიეს და ომის დანაშაულზე დააწყებინეს მსჯელობა?** უკრაინის მიერ ზურაბ ადეიშვილის ევროსაბჭოში გაგზავნა იმას ჰგავს, ჰიტლერს გაეროში ადამიანის უფლებების დასაცავად გებელსი რომ გაეგზავნა!

**— ბატონო ედიშერ, თქვენც ფიქრობთ, რომ ამ ყველაფრის უკან ამერიკა დგას?**

— დიახ, ამას ამერიკის დღევანდელ ადმინისტრაციაში ჩაბუდებული ბნელი ძალები სჩადიან, მაგრამ დიდი იმედი მაქვს, რომ ამ ბნელეთზე აუცილებლად გაიმარჯვებს კეთილი ამერიკა, ღირსებისა და სიმართლის ამერიკა, რომელსაც დღეს წარმოადგენენ **დონალდ ტრამპი და მისი მხარდამჭერები.** მითხარით, სად ქვეყნდება ცნობები უკრაინაში დაღუპული უკრაინელი ჯარისკაცებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის რაოდენობის შესახებ? **მხოლოდ ახლა, როცა პუტინის რაკეტებმა და ირანისგან მიღებულმა დრონებმა ევროპის უზარმაზარი ქვეყნის კრიტიკული ინფრასტრუქტურა დაანგრია, ცნობილი გახდა, რომ, თურმე, უკრაინის ელექტროსადგურების 40 პროცენტზე მეტი განადგურებულია.** მოკლედ,

**ქვეყანა მიწასთან არის გასწორებული და**



უკრაინის გენერალური პროკურორი ანდრეი კოსტინი და მისი მრჩეველი ზურაბ ადეიშვილი ევროსაბჭოში



**„უკრაინის მიერ ზურაბ ადეიშვილის ევროსაბჭოში გაგზავნა იმას ჰგავს,ჰიტლერს გაეროში ადამიანის უფლებების დასაცავად გებელსი რომ გაეგზავნა!“**







**„მსოფლიოს ტრაგედიაა, რომ ჩერჩილის, დე გოლისა და ტეტჩერის ევროპა დღეს სამარცხვინო კუბილიუსის, გინეკოლოგ ურსულა ფონ დერ ლაიენისა და მასხარა ზელენსკის ამარა დარჩა!“**

**ამ დროს დასავლეთის პროპაგანდა ხალხს აჯერებს – პუტინს რაკეტებისთვის ჩიპები შემოაკლდა, რომელსაც სარეცხი მანქანებიდან და მაცივრებიდან იღებენ, მაგრამ უკვე ისიც გაუთავდათო!**

ქვეყანას, რომელსაც თავისი არსებობის მანძილზე ბომბის, ზარბაზნის, რაკეტისა და ტანკის მეტი არაფერი უკეთებია, რაკეტა შემოაკლდება?

**— უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა რამდენჯერმე დაურეკა ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრს, მაგრამ უშედეგოდ... უკრაინა ისრაელს იარაღს სთხოვს, მაგრამ ისრაელი ამ საქმეში არ ერევა, რატომ?**

— იმიტომ, რომ ჩვენგან განსხვავებით, **ებრაელებს ძალიან კარგი მეხსიერება აქვთ და ახსოვთ, რომ, თუ არა სტალინი, რუსეთი და საბჭოთა კავშირი, ისრაელის სახელმწიფო არ აღდგებოდა! კრიტიკულ მომენტში სწორედ სტალინი დაეხმარა ისრაელს იარაღით და გაგზავნა სამხედრო ინსტრუქტორები მაშინ, როცა დიდი ბრიტანეთი და თვით ამერიკის შეერთებული შტატებიც კი მაინცდამაინც არ ემხრობოდნენ ისრაელის სახელმწიფოს შექმნის იდეას.**

**ისრაელს ისიც კარგად ახსოვს, რომ მაშინ, როცა ჰიტლერს მთელი დაპყრობილი ევროპა გვერდში ედგა და ცოცხალი ძალითა და ტექნიკით ამარაგებდა, ერთადერთი ქვეყანა სწორედ საბჭოთა კავშირი იყო, რომელსაც ებრაელების ამწიოკებელი და ამომჟლეტი**

**ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლა არ შეუწყვეტია.**

დიახ, **მთელი ევროპა ჰიტლერის გვერდით იდგა და არავითარი წინააღმდეგობის მოძრაობა საფრანგეთში არ ყოფილა.** მსოფლიოს ისტორია თავიდან არის დასაწერი, რადგან დიდი ბრიტანეთი მეორე მსოფლიო ომში სინამდვილეში დამარცხდა! ასე რომ არ ყოფილიყო, მისი კოლონიური იმპერია არ დაინგრეოდა და დაიშლებოდა.

**— მაინც ვინ როგორ ეხმარებოდა ჰიტლერს მეორე მსოფლიო ომში და ომის წინ?**

— 1933 წელს ჰიტლერი ხელისუფლების სათავეში უოლსტრიტმა მოიყვანა! **კრუპის, სიმენსისა და უმდიდრესი მაგნატების წინაშე, რომლებიც დასავლეთის კაპიტალს განასახიერებდნენ, ადოლფ ჰიტლერმა წმინდა ფიცი დადო, რომ საქმეს თავს შესწირავდა და კომუნისტების პარპაშს მთელ მსოფლიოში წერტილს დაუსვამდა!**

ბულგარეთის, იტალიის, უნგრეთის, რუმინეთის, ნორვეგიის, საფრანგეთის, მთელი ოკუპირებული ევროპის ქარხნები სწორედ ფაშისტური გერმანიის სამხედრო ძლიერების სამსახურში იდგნენ. ჰუგო ბოსი საუკეთესო სამხედრო უნიფორმას სწორედ ფაშისტი ჯარისკაცებისა და ოფიცრებისთვის კერავდა.

**მსოფლიოს ტრაგედიაა, რომ ჩერჩილის, დე გოლისა და ტეტჩერის ევროპა დღეს სამარცხვინო კუბილიუსის, გინეკოლოგ ურსულა ფონ დერ ლაიენისა და მასხარა ზელენსკის ამარა დარჩა!** ისიც საკითხავია, პუტინს რომ აგინებენ, **ელცინს** რატომ არ ახსენებენ? ჩვენ ხომ აფხაზეთი და სამაჩაბლო რეალურად **ელცინის** დროს დავკარგეთ? **მაგრამ ელცინს რატომ არ ახსენებენ, იცით? ელცინი დასავლეთის სწორედ იმ ბნელი ძალების აგენტი და მონა იყო, რომლებიც დღეს საქართველოს უკრაინის ომისკენ ექაჩებიან!** ქალბატონმა **ხათუნა ხოფერიამ** ზუსტად შეაფასა — ევროპა ამერიკის ბნელი ძალების „ენჯეოდ“ იქცა! ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბევრი ევროპა ჩვენ თვალწინ იღუპება!

*ესაუბრა*
*დიტო ჩუბინიძე*

# თუ სიმართლეზე ვდებთ თავს,

***დასაწყისი იხილეთ „გენერალისიმუსი" №26-27, 28-29, 30***

*გაზეთი **„გენერალისიმუსი"** აგრძელებს ახლახან გარდაცვლილი ცნობილი ქართველი პუბლიცისტისა და პოეტის, სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე „საერთო გაზეთის" მთავარი რედაქტორის **ვახტანგ ხარჩილავას** პუბლიცისტური ნაშრომის **„სისხლიანი ქრონიკების"** ბეჭდვას, რომელიც საქართველოს უახლესი ისტორიის ყველაზე ავბედით პერიოდს — მე-20 საუკუნის 30-იან წლებს ეხება და მუდმივად შეგვახსენებს, რომ **ბოლშევიკური რეპრესიები არამხოლოდ უმძიმესი წარსულია, არამედ შეიძლება, უმძიმეს მომავლადაც იქცეს,** თუ ქართველი ერი მოწოდების სიმაღლეზე არ დადგება, სიფხიზლეს მოადუნებს და მორალურ კომპრომისებზე წავა **1937 წლის ჯალათთა სულიერ და იდეოლოგიურ გადმონაშთებთან,** რომლებიც საქართველოში, სამწუხაროდ, დღესაც ბოგინობენ.*



*შაობას, საბჭოთა ხალხის მოსისხლე მტრებთან უშუალო კავშირს და მათ შავბნელ საქმიანობაში მონაწილეობას, ზიზღითა და აღშფოთებით აღნიშნავდა **პ. იაშვილის** მიერ მწერალთა სასახლეში ჩადენილ პროვოკაციულ აქტს — თვითმკვლელობას.*

***... იგი მჭიდროდ იყო დაკავშირებული საბჭოთა ხალხის მოსისხლე მტრებთან ტროცკისტ-ბუხარინელ ბანდიტებთან და უშუალოდ მონაწილეობდა მათს დივერსანტულ-მავნებლურ მუშაობაში სისხლიანი ფაშიზმის სასარგებლოდ.***

***... მისი თვითმკვლელობა მწერალთა სასახლეში, მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომის მიმდინარეობის დროს წარმოადგენს პროვოკაციულ აქტს, რომელიც ზიზღსა და აღშფოთებას იწვევს ყოველი პატიოსანი საბჭოთა მწერლის შეგნებაში".***

**საბჭოთა მწერლობა თავის რიგებში არ მოითმენს არცერთ ისეთ მწერალს, რომელიც საქმით არ დაამტკიცებს თავის ერთგულებასო".** და მართლაც დაამტკიცეს — ყრილობის შემდეგ სხდომა არ ჩატარებულა ისე, რომ ან **პ. იაშვილი** არ **„დაემუშავებინათ",** ან **ჯავახიშვილი,** ან **ტაბიძე,** ან **გამსახურდია.** როგორც ზემოთ ვთქვით, **საქართველოს ბოლშევიკების მე-10 ყრილობის შედეგების განსახილველად მოწვეული მწერალთა კრება სამი დღე გრძელდებოდა. კრება კი არა, ეს ფაქტიურად საჯარო დაკითხვა იყო.** კრების მონაწილენი კატეგორიულად მოითხოვდნენ ეჭვმიტანილი მწერლებისგან, სახალხოდ ეღიარებინათ თავიანთი კავშირის შესახებ **„ხალხის საზიზღარ მტრებთან".**

არცერთი არ **„გამოტყდა",** არცერთმა არ **„აღიარა"** ან რაში უნდა გამომტყდარიყვნენ, რა უნდა ეღიარებინათ — ხალხის მტრები ვართ, ფაშიზმის აგენტები, დივერსანტები და ჯაშუშებიო?

**რებთ შეხედულებას, რომ ტანსაცმელი ზუსტად გამოხატავს მისი პატრონის ზნესა და ხასიათს, ერთისა და მეორის ჩაცმულობის მანერაში მნიშვნელოვანი რაღაც იმალება.**

და მე მახსენდება ერთი ასაკოვანი კაცის ნაამბობი: — არ ვიცი, რატომ, მაგრამ იმ წლებში ინტელიგენტურად ჩაცმულ ხალხს ამრეზით, ეჭვის თვალით უყურებდნენ, ჰალსტუხიანები აშკარად არ მოსდიოდათ თვალში, „ინტელიგენტიკებს" ეძახდნენ...

**„ინტელექტი"** — ვკითხულობთ ლექსიკონში — ადამიანის აზროვნების უნარი, გონება, ჭკუა, გონებრივი განვითარების დონე.

**და თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ რეპრესიების მთავარი დარტყმა ინტელიგენციას დაატყდა თავს, მაშინ სრულებითაც არ მოგეჩვენებათ უმნიშვნელოდ ეს კიტელი და არც ეს ორ ღილზე შეკრული უბრალო ხალათი.**

და იწყება დიდი ინკვიზიცია, დიდი შეთქმულება აზროვნების წინააღმ-

## ვახტანგ ხარჩილავა

# სისხლიანი

იწყება სამზადისი „ცისფერყანწელების" და, უპირველეს ყოვლისა, **პაოლო იაშვილისა** და **ტიციან ტაბიძის** დასამუშავებლად. უთუოდ ამ სამზადისის გამოძახილია **ვ.წ.**-ს წერილი „ოქროპირების ნამოღვაწარი", რომელიც 1937 წლის 20 ივლისს გამოქვეყნდა:

***„საქართველოში არ გაუვლია არცერთს ცოტად თუ ბევრად ცნობილ რუს მწერალს, რომელსაც წინ „ცისფერყანწელები" არ მიგებებოდნენ. გააბრუებდნენ რა ხოტბით, შემდეგ მოჰყვებოდნენ თავიანთი თავის წრეგადასულ ქებას და ყველა დანარჩენი ცოცხალი ქართველი მწერლის ძაგებას.***

*ეს „ყანწური" ტრადიცია იწყება ჯერ კიდევ **ბალმონტიდან.** ბალმონტს მოსდევს **ესენინი,** ესენინს — **ანდრეი ბელი,** ბელის — **პილნიაკი,** პილნიაკს — **პასტერნაკი** და ასე დაუსრულებლად.*

*... რუსი მწერლების ჩვენში დაწყებული გადაბირება გრძელდებოდა მოსკოვსა და ლენინგრადში. ამას ის მოჰყვა, რომ მთელი მთარგმნელობითი საქმიანობა ხელთ იგდო **პ.იაშვილმა და ტ. ტაბიძემ.** იდეა ხელშეკრულებები, რომლის ძალით **პ. იაშვილი** კისრულობს **„ვეფხისტყაოსნის"** რუსულად თარგმნას, ხოლო **ტ. ტაბიძე** ხელს ჰკიდებს პუშკინის ქართულად ნათარგმნი ლექსების რედაქტორობას, პუშკინის საიუბილეო კომიტეტის მდივნობას, ქართველ რომანტიკოსთა ლექსების თარგმნის ორგანიზაციას, რედაქტორობას და კომენტარების შედგენას, მის რუსულად თარგმნას და რედაქტორობას, ქართული კლასიკური ლიტერატურიდან საბავშვო საყმაწვილო სერიის შედგენას... და ა.შ.*

***ვერ ასწრებს რა (ეს შეუძლებელიცაა!) ყველაფრის თავად გაკეთებას, ტ. ტაბიძე „პოდრიადჩიკობს". ამის გამო მახინჯდება ვაჟა-ფშაველას, ილიას, ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები.***

*... ის, ვინც თავისი ვიწრო-პირადი ინტერესების კარნახით აკეთებს ამ საქმეს, იგი ნებსით თუ უნებლიეთ ძირს უთხრის მოძმე ხალხთა სულიერ დაკავშირებას".*

**ამ წერილის გამოქვეყნებიდან კვირის თავზე ისედაც აფორიაქებულ და ღელვაში მოყოლილ ხომალდივით ატორტმანებულ მწერალთა სასახლეს გასროლის ხმა შეაზანზარებს...**

**აი, რას გვაუწყებს ამის შესახებ ოქმის ძუნწი, კანცელარიული სტილით ნაწერი სტრიქონები:**

***„ინფორმაცია პ. იაშვილის მიერ ჩადენილი პროვოკაციული აქტის შესახებ".***

*აზრი გამოთქვეს: **(ჩამოთვლილია 17 კაცი).***

*ყველა ორატორი ერთსულოვნად, სასტიკად გმობდა და კიცხავდა პ. იაშვილის მოღალატურ მუ-*



ლიტერატურული საქა...

მწერალთა რიგების იდეურ სიწმინდისათვის



შეჰვეითი რევოლუციური სიფხიზლის გაძლიერებისათვის

საქართველოს კ.პ.(ბ) X ყრილობის შედეგების განხილვა მწერალთა საერთო კრებაზე

„ლიტერატურული საქართველო".
1937 წლის 10 ივნისი

**აგერ სტალინისა და ბერიას პორტრეტებიც.**

**სტალინის გამჭოლი, მშვიდი, მკაცრი მზერა. ის პირდაპირ იცქირება, სადღაც შორს, სივრცეში, ბერია კი პროფილშია გადაღებული და სტალინს უყურებს. ბერიას პორტრეტი ოდნავ ქვემოთაა დაწეულია და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს**

## გვახსოვდეს, რათა არასოდეს განმეორდეს!

გახსოვთ **ბერიას** სიტყვები, პარტიის მე-10 ყრილობაზე რომ თქვა პ. იაშვილის შესახებ: **სიკეთე არ მოჰყვება მის ნავარდს ლომინაძიდან ჯიქიასკენ, ჯიქიადან აღნიაშვილისკენ, ღოღობერიძიდან ლომინაძისკენ. პ. იაშვილი უკვე ორმოცი წლისაა და დროა, ჭკუა ისწავლოსო.**

იმ საბედისწერო დღეს კიდევ რამდენიმე მწერლის სახელი ახსენა ბერიამ: **„ზედმეტი არ იქნება, სერიოზულად ჩაუფიქრდნენ თავიანთ მოქმედებას აგრეთვე გამსახურდია, ჯავახიშვილი, მიწიშვილი და კიდევ ზოგიერთები".**

ეს უკვე პირდაპირი მითითება იყო მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობისადმი. მათაც არ დაუყოვნებიათ. აკი, შეჰპირდნენ კიდეც ყრილობის მეორე დღესვე ბერიას — **ყველაფერს ვიღონებთ ჩვენი რიგების მოღალატეთაგან გასაწმენდადო: „სიტყვას გაძლევთ ამხანაგო ლავრენტი, რომ ქვემოდან შეჰყურებდეს ბელადს.**

ეს გაზეთის მაკეტის შემდგენლის „უწყინარი" ეშმაკობაა, რომელსაც გამოუცდელი თვალი ვერც შეამჩნევს და არც არავითარ მნიშვნელობას არ მიანიჭებს, მაგრამ ამ თითქოსდა უმნიშვნელო დეტალშიც ნათლად იკვეთება დროის პათოსი: **ყველანი სტალინს უნდა შევყურებდეთ, ისაა ჩვენი მანათობელი მზე, სწორება სტალინისკენ!**

სტალინის გვარ-სახელი ყველგან შავი, გამორჩეული შრიფტითაა აწყობილი. ესეც შორს გამიზნული ხერხია — ამითაც უნდა გაესვას ხაზი მის რჩეულობას და ერთადერთობას.

**სტალინი თავის კიტელშია გამოწყობილი, ბერიას უბრალო, კისერზე გვერდულად ორ ღილზე შეკრული ხალათი აცვია. თავდაპირველად შეიძლება არც ამას მივაქციოთ ყურადღება, მაგრამ, თუ გავიზია-**

დეგ... და იწყება ინკვიზიტორთა ხოტბა-დიდებაც.

●

**მოსკოვი. დიდი თეატრი. ამომრჩეველთა წინაშე სიტყვით გამოდის სტალინი. სიტყვის შემდეგ „მქუხარე, ხანგრძლივი ტაში, რომელიც ოვაციაში გადადის. ყველანი ფეხზე დგებიან და თვალს აპყრობენ ლოჟას, საითკენაც მიდის ამხანაგი სტალინი".**

**ლავრენტი ბერია** — დაიბადა 1899 წელს, სოხუმთან ახლოს, მერხეულში, 18 წლის ასაკში პარტიის წევრია. 1921-31 წლებში საბჭოთა დაზვერვის ხელმძღვანელ ორგანოებშია.

**32 წლის ასაკში** საქართველოს კ.პ.(ბ) ცეკას პირველი მდივანია.

**33 წლის ასაკში** — ამიერკავკასიის პარტიის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი.

**39 წლისა** — სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი.

**46 წლისა** — საბჭოთა კავშირის მარშალი.

**54 წლისა დახვრიტეს...** 1953 წელს.

თუ ამ სავალალო ფინალს არ მივიღებთ მხედველობაში, თავბრუდამხვევი კარიერაა!

მიუხედავად იმისა, რომ ბერიას შესახებ ბევრი რამ დაწერილა, ჩვენ მაინც ცოტა ვიცით ამ ურთულეს პიროვნებაზე, არადა, დროა, ადამიანებმა სრული სიმართლე იცოდნენ მისი საქმიანობის შესახებ. სიტყვა ჩვენს მკვლევარებს და ისტორიკოსებს ეკუთვნით და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მალე მოვა ის დღეც, როცა სრული, ამომწურავი, ობიექტური ინფორმაცია გვექნება მის შესახებ. **მანამდე კი ერთი რამ მინდა ვთქვა: ზოგიერთ პუბლიცისტს ავიწყდება, რომ ბერია 1938 წლამდე საქართველოშია და იმ ცოდვებსაც მას მიაწერს, რომლებიც 1938 წლამდე ხდებოდა საბჭოთა კავშირის მასშტაბით. თითქოს იაგოდა და ეჟოვი არც ყოფილან.**

**ადვილი გასაგებია, საითაც ხრიან ჯოხს ამ ბრალდების ავტორები: — ორმა ქართველმა დალუპა ქვეყანა! კი მაგრამ, 1938 წლამდე იაგოდას და ეჟოვის მიერ დაღვრილი სისხლის ოკეანე სხვა ფერისა იყო?**

**მასობრივმა რეპრესიებმა სწორედ 1938 წლამდე გადაუარა საბჭოთა კავშირს...**



# იმ საბედისწერო დღეს ბერიამ

# ბოლომდე ვთქვათ ეს სიმართლე!

**ასე რომ, თუ სიმართლეზე ვდებთ თავს, ბოლომდე ვთქვათ ეს სიმართლე.**

ამასწინათ ერთი დოკუმენტური ფილმი გადიოდა საკავშირო ტელევიზიით. ბერიას პორტრეტიც აჩვენეს — ჩვენ უნდა ვიცნობდით მას, კარგად დაიმახსოვრეთ ეს სახეო, — რიხიანად აცხადებდა წამყვანი. კი მაგრამ, **იაგოდას, მერკულოვს, ეჟოვს და სხვებს** რად ჩავუყარეთ წყალში „ამაგი"? მათ რა, ნაკლები „დამსახურება" მიუძღვით? იმათ რატომ არ უნდა ვიცნობდეთ სახეზე?

ლევ რაზგონის წერილში: **„პრეზიდენტის ცოლი"** ვკითხულობთ: **„სტალინის უახლოეს გარემოცვაში არ მოიძებნებოდა ადამიანი, რომელსაც ნათესავი არ ჰყოლოდა დაპატიმრებული, ზოგი ახლობელი, ზოგიც შორეული, კაგანოვიჩს ერთი ძმა დაუხვრიტეს, მეორემ თვითმკვლელობა ირჩია. დააპატიმრეს და დახვრიტეს შვერნიკის სიძე, მისი ერთადერთი ქალიშვილის ქმარი, რომელიც შვერნიკის სახლში ცხოვრობდა — სტახა განეცკი. დააპატიმრეს ვოროშილოვის რძლის მშობლები. სცადეს, დაეპატიმრებინათ ვოროშილოვის ცოლიც — ეკატერინე დავითის ასული. დააპატიმრეს მოლოტოვის მეუღლე — პარტიული ხელმძღვანელი მუშაკი".**

ყოველივე ამას ისიც დავუმატოთ, რომ 8 წელი (1937-45 წ.წ.) საპატიმროებსა და გადასახლებაში გაატარა **კალინინის ცოლმა.**

მე მგონი, კომენტარები ზედმეტია. ერთი რამ კი მაინც მინდა, გავიკვირვო და გავიოცო: **რამდენად უნდა ყოფილიყო დაჯერებული სტალინი ამ პიროვნებების უსუსურობაში, რომ მიუხედავად ყველაფრისა, მაინც ენდობოდა მათ, მტკიცედ დარწმუნებული, რომ მათ სამაგიეროს გადახდის, შურისძიების, ბოლოს და ბოლოს, ადამიანური ღირსებისა და თავმოყვარეობის დაცვის უნარი არ შესწევდათ.**

ერთადერთი მიხეილ კალინინი დაუცხრომლად ზრუნავდა ცოლის განთავისუფლებისათვის და, როგორც იქნა, დასტყუა პირობა სტალინს — **მის ცოლს ომის დამთავრების შემდეგ გაათავისუფლებდნენ.**

სტალინმა აბეზარ მოხუცს დაპირებული სიტყვა შეუსრულა...

იმ წლების ტრაგედიის თეორიულ წინამძღვრად ითვლება სტალინის ცნობილი ფორმულა: **რაც უფრო ვუახლოვდებით სოციალიზმს, მით უფრო ძლიერდება წინააღმდეგობა კლასობრივი მტრების მხრიდან...**

იმდროინდელ პრესას თუ დავუჯერებთ, სოციალიზმი თითქმის აშენებულია, ქვეყანა აყვავდა, გაიფურჩქნა, შრომის ფერხულში ჩაბმული მშრომლები ბედნიერად და უზრუნველად ცხოვრობენ. სოციალიზმი სულ უფრო და უფრო ღონიერდება და თუ ეს ასეა, აქვე უნდა იყვნენ გამარჯვებული სოციალიზმის კლასობრივი მტრებიც, რომელთა მხრიდან წინააღმდეგობა ძლიერდება და ძლიერდება.

**ფორმულა ნასროლია, თეორიული ბალავერი ჩაყრილია. ახლა საჭიროა ამ თეორიის ცხოვრებაში განხორციელება და იწყება გააფთრებული ძებნა და „გამომჟღავნება" კლასობრივი მტრისა.**

და მას მართლაც სულ მალე აღმოაჩენენ მისი ერთგული მსახურნი, აღმოაჩენენ იმდენს, რომ ციხეები არ ეყოფათ მათ დასატევად, აღმოაჩენენ უბრალო ადამიანებიც და ამისათვის შორს წასვლა არ დასჭირდებათ — თავიანთ მეგობრებში, თანამშრომლებში, მეზობლებში, ნაცნობებში აღმოაჩენენ. **ერთმანეთს აღმოაჩენენ მტრებად, დივერსანტებად, ჯაშუშებად, მავნებლებად და ბელადის სიტყვების სიმართლე, მისი შორსმჭვრეტელობა და სიბრძნე კიდევ ერთხელ დამტკიცდება „ფაქტებით" და ამ ფაქტების გასამდიდრებლად ბევრი მოიტანს ახალ-ახალ არგუმენტს — გვამს მოყვასისას.**

•

***„ბერიას სიტყვა ქ. თბილისის საბჭოთა მშრომელი ინტელიგენციის" საერთო-საქალაქო წინაასარჩევნო კრებაზე. 1937 წ. 10 დეკემბერი.***

*... ფაშისტური ოხრანკის აგენტები, მოღალატეები და გამცემლები აღმოჩნდნენ პროფესორები **გ. ელიავა, გრ. წერეთელი, ჯანდიერი, ცქიტიშვილი, ა. წერეთელი, ლეონიძე, ინჟინერი ჭიჭინაძე,** რუსთაველის თეატრის ყოფილი დირექტორი **ს. ახმეტელი,** მწერლები **მ. ჯავახიშვილი, ტ. ტაბიძე...***

# ქრონიკები

*საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებმა ყველა ისინი შეიპყრეს, გაანადგურეს და მოსპეს **(ხანგრძლივი ტაში).***

***თავიანთ შავბნელ ძირგამომთხრელ მუშაობაში ისინი არ თაკილობდნენ არავითარ საშუალებას... ისინი ამზადებდნენ წყლის მოწამვლას ნატახტრის წყალსადენში. ამზადებდნენ ბაქტერიოლოგიურ დივერსიას.***

*... ჩვენ უნდა გვახსოვდეს და არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ დიდი სტალინის ბრძნული მითითებები, რომ ვიდრე არსებობს კაპიტალისტური გარემოცვა, ჩვენში გამოგზავნიან ჯაშუშებს, დივერსანტებს, მავნებლებს.*

***... უდიდესი მიღწევებით, ურყევი შინაგანი მორალური და პოლიტიკური ერთიანობით ეგებება საბჭოთა ხალხი ამ ისტორიულ დღეს. ჩვენს გამარჯვებებს უნდა ვუმადლოდეთ ბოლშევიკურ პარტიას, ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი სტალინის ბრძნულ ხელმძღვანელობას** (მქუხარე ოვაცია. დარბაზი დიდხანს უკრავს ტაშს. გაისმის შეძახილები ქართულ, რუსულ, სომხურ ენებზე: „გაუმარჯოს დიდ სტალინს", „ურა", „ვაშა ამხანაგ სტალინს", „მადლობა ამხანაგ სტალინს ბედნიერი, სასიხარულო ცხოვრებისთვის", ორკესტრი უკრავს „ინტერნაციონალს", ოვაცია ახლდება ახალი ძალით, ხელახლა გაისმის შეძახილები დიდი სტალინის პატივსაცემად)".*

**საქართველოს კ.პ. (ბ) მე-10 ყრილობის შედეგების განხილვა მწერალთა საერთო კრებაზე** (ამონაწერი 1937 წლის 10 ივნისის „ლიტ. საქართველოდან").

*„კრების ყურადღებისა და მსჯელობის ცენტრში მოექცა იმ მწერლების გამოსვლა, რომელთაც ამხანაგ **ლ. ბერიამ** მოუწოდა — **სერიოზულად ჩაუფიქრდნენ თავიანთ მოქმედებას, გადასინჯონ თავიანთი კავშირი ქართველი ხალხის მტრებთან — აღნიაშვილთან, ლომინაძესთან, ჯიქიასთან, ელიავასთან და სხვებთან.** მათი გამოსვლებიდან მწერალთა საზოგადოებრიობას სურდა გაეგო, გამოიტანეს თუ არა მათ ამხანაგ **ლ. ბერიას** გაფრთხილებიდან ყველა დასკვნა, კერძოდ, **პავლე იაშვილისგან** კრება მოელოდა, რომ იგი იტყოდა, თუ რატომ ნავარდობდა **ლომინაძისგან ჯიქიასკენ, ჯიქიასგან აღნიაშვილისკენ, ლოლობერიძისგან ლომინაძისაკენ,** როგორ მოხვდა იგი **ელიავას კლანჭებში. პ.** იაშვილმა ვერ გასცა გარკვეული პასუხი ამ კითხვებს, მიუხედავად იმისა, რომ მას ორჯერ მიეცა სიტყვის თქმის საშუალება.*

***... ყველასათვის ცხადი შეიქმნა პ. იაშვილის ამ სიტყვების შემდეგ, რომ მან უფრო მეტი იცის, ვიდრე ამბობს. პ. იაშვილი ცდილობს, მწერალთა საზოგადოებრიობას თავი დიდი საქმის კაცად მოაჩვენოს, რომელსაც თითქოს დასახმარებლად მიმართავდნენ ბ. ლომინაძე, ვ. ჯიქია და სხვები.** მე ვიყავი ის, რომელმაც წესრიგი დავამყარე მენშევიკების გაქცევის შემდეგო. **ვ. ჯიქიას** ხვეწნა-მუდარის შემდეგ მე მივეშველე რიონჰესს, მუშახელი შევუგროვეო. მე დამაკისრეს მოსკოვში სამგორის პრობლემების პრაქტიკული მოგვარებაო. საკითხავია, რატომ მაინცდამაინც **პ. იაშვილს** მიმართავდნენ ხალხის გამომჟღავნებული მტრები?..*



კონსტანტინე გამსახურდია

*როგორც სამართლიანად შენიშნეს კამათში გამოსულმა ამხანაგებმა **კ. მელაძემ, შ. რადიანმა, კ. ლორთქიფანიძემ, გ. ბუხნიკაშვილმა, ალ. არსენიშვილმა და სხვებმა, პ. იაშვილი** ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ ჩაჰკვირვებია ამხანაგ **ლ. ბერიას** გაფრთხილებას და ვერ გამოუტანია იქიდან საჭირო დასკვნები.*



პაოლო იაშვილი და ტიციან ტაბიძე

***... ნ. მიწიშვილის გამოსვლა სავსებით წამოადგენდა თვალთმაქცურ და ყალთაბანდურ ცდას, გვერდი აეხვია მის წინაშე პირდაპირ დასმული საკითხისათვის ხალხის სისხლიან მტრებთან კავშირის შესახებ.***

*ჩვეულებრივი დეკლარაციით გამოვიდა ამხანაგი **ტიციან ტაბიძე.** მან შემდეგი განცხადებით მოიხადა თავისი მოვალეობა: **„შეცდომად ვთვლი ჩემს ურთიერთობას ხალხის მტრებთან. ეს დიდი დანაშაულია, მაგრამ თავი ბედნიერად მიმაჩნია იმის გამო, რომ არასოდეს არ ყოფილა შემთხვევა, ისინი ჩემს საქმეში ჩარეულიყვნენ, რაიმე გავლენა მოეხდინათ ჩემს ლიტერატურულ კარიერაზე".***

იქვე **დ. დემეტრაძის** საბოლოო სიტყვა:

***„კამათში გამოსულ ამხანაგთა საერთო აზრი ის არის, რომ ამხანაგ ლ. ბერიას მიერ თავის ისტორიულ მოხსენებაში დასახელებულმა მწერლებმა ვერ მოგვცეს დამაკმაყოფილებული პასუხი მათ წინაშე დასმულ დიდ და სერიოზულ კითხვაზე. მათ ვერ გააგებინეს მწერალთა აქტივს, თუ რაში მდგომარეობდა მათი კავშირი ხალხის მტრებთან, ვერ გახსნეს მათთან თავიანთი ურთიერთობის შინაარსი. ცარიელი დეკლარაციებით დაკმაყოფილდნენ. მაგ. პ. იაშვილმა იცის, რომ ხალხის მტრები აწყობდნენ თათბირებს, ის მათ წრეში ტრიალებდა და ვფიქრობთ, რომ ანეკდოტების გარდა სხვა რამეებსაც ისმენდა; მან ბოლომდე უნდა თქვას თავისი კავშირის შესახებ ხალხის მტრებთან. მიკიბ-მოკიბული ლაპარაკი აქ არ გამოდგება.***

*... ასევე ნ. მიწიშვილს ხალხის მტრებთან უბრალო ნაცნობობა და შემთხვევითი მეგობრობა კი არ ჰქონია, როგორც მას სურს თვალთმაქცურად მოგვაჩვენოს, არამედ უფრო ღრმა და საფუძვლიანი ურთიერთობა. ნ. მიწიშვილის გამოსვლა ორჭოფული და სავსებით თვალთმაქცური იყო. ვერც ამხანაგმა **ლეონიძემ** გააკეთა დასკვნა იმ შენიშვნებიდან, რომელიც მისი მისამართით თქვა წინა კრებაზე ამხანაგმა ბ. გორდელაძემ. დეკლარაციების დრო წავიდა.*

***გასაოცარი იყო კ. გამსახურდიას გამოსვლა. იგი გადაჭყვა სხვების რეპლიკებს, ძალიან ბევრი ილაპარაკა და მაინც მოახერხა ის, რომ არაფერი თქვა დასმულ საკითხზე. ასეთი გამოსვლების შემდეგ პრეზიდიუმის სხდომაზე ჩვენ მოვთხოვეთ მ. ჯავახიშვილს — გულწრფელად და ამომწურავად მოგვითხროს თავის ურთიერთობაზე ხალხის მტრებთან".***

კ. გამსახურდია: **„თუ იდეოლოგიური შეცდომები მომდის, ამის მიზეზი ის არის, რომ ინდივიდუალისტური კულტურის ყანებში ვარ ნაბალახევი".**

**ამ კრებიდან თვენახევრის შემდეგ, სექტემბრის ბოლოს, ისევ მოიყრიან თავს მწერალთა სასახლეში — ამჯერად აჭარის საქმესთან დაკავშირებით** (როგორც გახსოვთ, **გიორგი ლეონიძეს და ტიციან ტაბიძეს** „აჭარის კონტრრევოლუციურ-დივერსიულ-საავჯანყებო ბანდის" წევრობაში სდებენ ბრალს).

ამ კრებაზე გამოსულნიც ერთსულოვნად მოითხოვენ **გ. ლეონიძისა და ტ. ტაბიძისაგან,** რომ **„გულწრფელად აღიარონ ყველა ის დანაშაული, რომელიც მათ ჩაადენინა ხალხის მტრებთან აშკარა მეგობრულმა ურთიერთობამ".**

არც ისინი გამოტყდებიან!

თუმცა, მოვლენებს ისევ გავუსწარით წინ... ჯერ მხოლოდ ივლისის მიწურულია. მწერალთა სასახლეში პრეზიდიუმის სხდომა მიმდინარეობს. და აი, ამ დროს თოფმა იქუხა — **პაოლო იაშვილმა** თავი მოიკლა!

ამ ამბის მომსწრენი იხსენებენ: — **გაოგნებული, გაფითრებული მიხეილ ჯავახიშვილი ფოიეში ბოლთას სცემს და ერთსა და იმავეს იმეორებს: — ვაჟკაცი ყოფილა! ვაჟკაცი ყოფილა!**

იმასაც იხსენებენ, რომ ერთს, ვინც განსაკუთრებით აქტიურობდა იმ წლებშიც და შემდგომშიც, ზიზღით ჩაულაპარაკია: — **სიამოვნებით დავლევდი სისხლს ამ თავის ქალიდანო.** ამის მთქმელი ყველა სხდომაზე, კრებაზე, „მფრინავ მიტინგზე" მგზნებარე სიტყვით გამოდის და ხალხის მტრების სასტიკ დასჯას მოითხოვს. **როგორც იტყვიან, ტყავიდან ძვრება, რომ თავისი ერთგულება დაამტკიცოს.**

*გაგრძელება იქნება*

# კიდევ რამდენიმე მწერალი ახსენა!

**დასაწყისი იხილეთ „გენერალისიმუსი“ №10-30**

**პროფესორ სვიმონ მასხარაშვილის განცხადებით, კენედების ოჯახს ერთი წამითაც არ უეჭვიანია, რომ პრეზიდენტის მკვლელობის უკან ნიკიტა ხრუშჩოვი და საბჭოთა სპეცსამსახურები იდგნენ. უფრო მეტიც, ჟაკლინ კენედი ხრუშჩოვის ცოლს ნინა კუხარჩუკს წერილებს სწერდა და თავის უიმედო მდგომარეობას უზიარებდა:**



# სვიმონ მასხარაშვილი:

# ჯონ კენედი გმირის შარავანდედით მკვლელობამ შემოსა, თორემ ეგეთი სუსტი პრეზიდენტი და ადმინისტრაცია ამერიკას არ ახსოვს!



ჯონ კენედის მკვლელობა, 1963 წლის 22 ნოემბერი



— 1963 წლის 22 ნოემბერს, ტეხასში, ქალაქ დალასში, ადგილობრივი დროით 12:30 საათზე, 24 წლის ყოფილმა საზღვაო ქვეითმა **ლი ჰარვი ოსვალდმა** მოკლა ამერიკის 35-ე პრეზიდენტი **ჯონ ფიტცჯერალდ კენედი.** მკვლელობამდე რამდენიმე დღით ადრე, კენედის რადიოგამოსვლის დროს, ეთერი გაწყდა და მოულოდნელად პრეზიდენტმა საუბარი დაიწყო **მსოფლიოს საიდუმლო მთავრობის** შესახებ, რომელიც, მისი განცხადებით, აკონტროლებდა უზარმაზარ ფინანსებს, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში აწყობდა სისხლიან გადატრიალებებს, კლავდა არჩეულ პრეზიდენტებს და იწყებდა ომებს... **კენედიმ ამერიკელ ახალგაზრდებს, სტუდენტობას მოუწოდა, რომ ყველაფერი გაეკეთებინათ და არ დაეშვათ ამ საშინელი ძალის ხელისუფლებაში მოსვლა, რომელიც არამარტო ქვეყანას, არამედ მთელ მსოფლიოს დანგრევასა და გაუბედურებას უქადდა.**

ეს არის ძალიან სერიოზული თემა... შორს რომ არ წავიდეთ, ფართო საზოგადოებამ „ლაღიძის წყლისა“ და „კოკაკოლას“ დამზადების რეცეპტიც კი არ იცის, მაგრამ, **როცა ამოდენა ქვეყნის პირველი პირი საიდუმლო ორგანიზაციაზე ლაპარაკობს, რომელიც მსოფლიოს აკონტროლებს, მაშინ კეთილი უნდა ინებოს და დაასახელოს ეს ორგანიზაცია.** ეს კენედიმ არ გააკეთა... საერთოდ, კენედის პრეზიდენტობა იყო ერთი დიდი გაუგებრობა და ზნეობრივი კრახი, რომელიც მაშინდელმა ამერიკულმა პოლიტიკურმა ელიტამ გამოავლინა!

**— ბატონო სვიმონ, პრეზიდენტ კენედის კაცობრიობის წინაშე ახალი სიტყვა არ უთქვამს? ის წარმატებული პრეზიდენტი არ ყოფილა?**

— არანაირად! **კენედი პასუხისმგებელია იმ სისხლსა და უბედურებაზე, რაც 1964 წლიდან ვიეტნამში დაიწყო!** მართალია, 1964 წელს ის უკვე ცოცხალი აღარ იყო და ქვეყანას მისი კაბინეტის წევრი, ვიცე-პრეზიდენტი **ლინდონ ჯონსონი** მართავდა, მაგრამ ვიეტნამის ომში შეერთებული შტატებისთვის ყველაზე უფრო ტრაგიკული პერიოდი, რომელიც 1964 წელს დაიწყო და 1968 წლამდე გაგრძელდა, სწორედ ჯონ კენედის პრეზიდენტობის ჟამს დაიგეგმა. **კენედი რომ არ მოეკლათ, პრეზიდენტობას სამარცხვინოდ დაასრულებდა, მაგრამ დალასში მომხდარმა გასროლამ მისი სახელი გმირის მანტიით შემოსა და სხვათაშორის, ამაში მას ძალიან დაეხმარა საბჭოთა პროპაგანდაც, რომელიც კენედის მკვლელობაზე გადაღებულ ფილმებსა და დაწერილ წიგნებს ყოველთვის ფართო ასპარეზს უთმობდა.**

რაც შეეხება ზნეობრივ კრახს, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, მიმაჩნია, რომ ეს ყველაზე რბილი შეფასებაა იმ დიდი სირცხვილისა და გარყვნილებისა, როცა **მერილინ მონროსთან** ჯერ **პრეზიდენტ კენედის** ჰქონდა სექსუალური ურთიერთობა, ხოლო შემდეგ მის ძმას, ამერიკის იუსტიციის მინისტრს **რობერტ კენედის.** აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ კენედის მეუღლეს **ჟაკლინ კენედის** სექსუალურ პარტნიორობას უწევდა ჰომოსექსუალობაში ეჭვმიტანილი **არისტოტელე ონასისი,** რომელმაც ეს ქალი ბოლოს ცოლადაც შეირთო.

**კენედის განცხადებამ საიდუმლო მთავრობის შესახებ დამიტოვა შთაბეჭდილება, რომ პრეზიდენტს კლავდნენ და სიკვდილის წინ რაღაცის თქმა მოასწრო.**

ანდა, როცა ამას ამბობდა, ის არაფხიზელ მდგომარეობაში იყო. თუ ის მართლა ასე ფიქრობდა და ქვეყნისა და მსოფლიოს უსაფრთხოებას ამოდენა საფრთხე ემუქრებოდა, მაშინ დალასში მისი ბოლო ვოიაჟი რით ავხსნათ?

**— უკაცრავად, რას გულისხმობთ?**

— დიახ, თუ ფიქრობ, რომ ამოდენა ბნელი ძალა გებრძვის და ამერიკელი გოგო-ბიჭების გარდა, რომლებსაც ქვეყნის გადასარჩენად მიმართე, მოკავშირე არავინ გეგულება, ტეხასში როგორ რისკავ და გადახდილი მანქანით, ანუ კაბრიოლეტით როგორ აწყობ ქუჩაში მსვლელობას? გარდა ამისა, როგორ უშვებ იმას, რომ დალასში შენი ვოიაჟის წინ პრესითა და ტელევიზიით ქვეყნდება შენი მარშრუტის დეტალებიც კი, კერძოდ, სად, რომელ საათზე, რომელ ქუჩაზე და რომელ შენობასთან უნდა ჩაიარო? ამით ხომ ყველა გარეწარს პირდაპირ უხმობ, რომ მიზანში ამოგიღონ?

დიახ, მთელმა ამერიკამ და მსოფლიომ კენედის მკვლელობამდე დაახლოებით ერთი კვირით ადრე იცოდა, რომელ საათზე უნდა ჩაევლო პრეზიდენტის კაბრიოლეტს იმ წიგნთსაცავთან, საიდანაც, სავარაუდოდ, გასროლა მოხდა. როგორც ირკვევა, ეს ინფორმაცია პრესამ და ტელევიზიამ სწორედ კენედისავე თანხმობით გაავრცელეს... აი, ასეთ სიტუაციაში, ცხადია, პრეზიდენტმა მიიზიდა ყველა პოტენციური ჰეროსტრატე და მანიაკი, რომლებიც „საუკუნო დიდებას“ ეძებდნენ. ცნობისათვის, 70-იან წლებში, როცა **ოსვალდის** ნეშტის ექსჰუმაცია მოახდინეს, კუბო, რომელშიც კენედის მკვლელი იწვა, აუქციონზე 87 ათას დოლარად გაიყიდა. ტეხასი მთელ ამერიკაში დღემდე გამორჩეულია იმით, რომ აქ ადამიანს აბსოლუტურად ანონიმურად შეუძლია იყიდოს ნებისმიერი კატეგორიის იარაღი. მაგალითად, **ლი ჰარვი ოსვალდს,** რომელმაც კენედი მოკლა, მკვლელობის იარაღი თავისი ცოლის **მარინა პრუსაკოვას** სახელზე ჰქონდა ნაყიდი. გარდა ამისა, საუკუნეზე მეტია, რაც ორ შტატში — ნიუ-იორკსა და ტეხასში არჩევნების შედეგები წინასწარვე ცნობილია — ნიუ-იორკში ყოველთვის იმარჯვებენ დემოკრატები, ხოლო ტეხასში — რესპუბლიკელები. **დემოკრატი პრეზიდენტი რესპუბლიკელების ბუდეში — ტეხასში დაუცველად, კაბრიოლეტით როგორ მიმოდიოდა, ჩემთვის ნამდვილი გამოცანაა!**

## ისტორიკოსის თვალით

**— თქვენი აზრით, რა იყო ამ გაუფრთხილებლობის მიზეზი?**

— პირდაპირ გეტყვით, ამის მიზეზი იყო „თავში ავარდნა!“ მას შემდეგ, რაც 1962 წლის ოქტომბერში, „კარიბის




ლი ჰარვი ოსვალდი



სტანისლავ შუშკევიჩი

**„საბჭოთა ბელორუსიაში პრეზიდენტ კენედის მკვლელის ლი ჰარვი ოსვალდის რუსული ენის მასწავლებელი ბელორუსიის პირველი პრეზიდენტი სტანისლავ შუშკევიჩი იყო, რომელმაც 1991 წელს ელცინთან ერთად ბელოვეჟში საბჭოთა კავშირის დაშლას მოაწერა ხელი!“**


ნიკიტა ხრუშჩოვი და ჯონ კენედი

**„კენედის, სულელი ხრუშჩოვის ნაცვლად, საპირწონედ სტალინი ან ბერია რომ ჰყოლოდა, კაცმა არ იცის, რომელი უფრო ადრე დაიშლებოდა – საბჭოთა კავშირი თუ აშშ!“**

კრიზისის“ დროს, კენედიმ ნიკიტა ხრუშჩოვი, ფაქტობრივად, პოლიტიკურად გაანადგურა და საბჭოთა კავშირს მთელ მსოფლიოში იმიჯი შეულახა, ამერიკის პრეზიდენტს „მანია გრანდიოზა“ შეეყარა.

**— იყო თუ არა კენედის მკვლელი ჰარვი ოსვალდი „კაგებეს“ აგენტი და იდგნენ თუ არა ამ მკვლელობის უკან ნიკიტა ხრუშჩოვი და საბჭოთა კავშირი?**

— როგორც ამერიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის **უორენის** ხელმძღვანელობით შექმნილმა კონგრესის კომისიამ დაადგინა, ოსვალდი საბჭოთა კავშირის ინსტრუქციებით არ მოქმედებდა! მართალია, ის ორჯერ იყო ჩამოსული საბჭოთა კავშირში, ცხოვრობდა მინსკში, სადაც ცოლად შეირთო **მარინა პრუსაკოვა,** მაგრამ არაფრით დადასტურდა, რომ ის საბჭოთა სპეცსამსახურებთან თანამშრომლობდა. სხვათაშორის, საბჭოთა ბელორუსიაში პრეზიდენტ კენედის მკვლელის **ლი ჰარვი ოსვალდის** რუსული ენის მასწავლებელი ბელორუსიის პირველი პრეზიდენტი **სტანისლავ შუშკევიჩი** იყო, რომელმაც 1991 წელს **ელცინთან** ერთად ბელოვეჟში საბჭოთა კავშირის დაშლას მოაწერა ხელი! **ოსვალდი** იყო შეშლილი ახალგაზრდა, ყოფილი საზღვაო ქვეითი, რომელმაც 1963 წლის 10 აპრილს გადამდგარი ამერიკელი გენერალ-მაიორის **უოკერის** მოკვლა სცადა, რომელსაც შაშხანიდან ესროლა, რადგან მიიჩნევდა, რომ მგზნებარე ანტიკომუნისტი უოკერი „ფაშისტური ორგანიზაციის“ წევრი იყო. უოკერი დაიჭრა, მაგრამ გადარჩა, რადგან შაშხანის ტყვია ჯერ ფანჯრის რაფას მოხვდა და ძალა დაკარგა... ჩვენება ამის შესახებ **მარინა პრუსაკოვამ** გამოძიებას პრეზიდენტ კენედის მკვლელობის შემდეგ მისცა და განაცხადა — 1963 წლის 10 აპრილის ღამეს ოსვალდმა მითხრა, რომ გენერალს ესროლა, მაგრამ მე ეს არ დავიჯერეო!

მოკლედ, მიუხედავად იმისა, რომ უორენის კომისიას ხელთ ჰქონდა უტყუარი მტკიცებულებები ოსვალდის პროკომუნისტური მისწრაფებების შესახებ; მიუხედავად იმისა, რომ ის ითხოვდა კუბის მოქალაქეობას, რაზეც უარი უთხრეს; მიუხედავად იმისა, რომ მან ესროლა **გენერალ უოკერს** და კენედის მოკვლის შემდეგ ასევე მოკლა პოლიციელი, რომელმაც ის ქუჩაში გაჩხერა, გამოძიებამ **ლი ჰარვი ოსვალდის** კავშირი საბჭოთა სპეცსამსახურებთან ერთმნიშვნელოვნად და კატეგორიულად დაუშვებლად ცნო და დაასკვნა, რომ 24 წლის მკვლელი შეპყრობილი იყო **„ჰეროსტრატეს სინდრომით“...** მოგეხსენებათ, ასეთი მკვლელები ისტორიაში ჩვენ ბევრი გვინახავს. მიუხედავად ამისა, ამერიკისა და მსოფლიოს მოსახლეობის 70 პროცენტს დღემდე სჯერა **„შეთქმულების თეორიის“.** ამას ხელს უწყობს ისიც, რომ პირველი ტყვია, რომელმაც კენედი მოკლა, არცერთ ტელეკამერასა და ფოტოობიექტივში არ ჩანს.

**— ხრუშჩოვი როგორ შეხვდა კენედის მკვლელობას?**

— სხვათაშორის, კენედების ოჯახს ერთი წამითაც არ უეჭვიანია, რომ პრეზიდენტის მკვლელობის უკან ნიკიტა ხრუშჩოვი იდგა. უფრო მეტიც, **ჟაკლინ კენედი** ხრუშჩოვის ცოლს **ნინა კუხარჩუკს** წერილებს სწერდა და თავის უიმედო მდგომარეობას უზიარებდა. ცნობისათვის, პრეზიდენტ კენედის რეიტინგი 1962 წლის „კარიბის კრიზისმა“ ასწია, თორემ 1961 წელს ვენაში მისი შეხვედრა ხრუშჩოვთან იყო პრეზიდენტის დიპლომატიის სრული კრახი. არადა,

**კენედის აფრთხილებდნენ, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეხვედროდა ხრუშჩოვს იმ ფონზე, როცა „ღორების ყურეში“ დაგეგმილი ოპერაცია ამერიკელებს სამარცხვინოდ ჩაეფუშათ, ხოლო გაგარინი კოსმოსში წარმატებით გაფრინდა და მსოფლიო ფურორი მოახდინა.**

მიუხედავად გაფრთხილებისა, კენედიმ არავის დაუჯერა და წააგო კიდეც...

კენედების დიდმა ოჯახმა, რომელიც ირლანდიური წარმოშობისაა და კათოლიკენი არიან, სახელმწიფო მოღვაწეობას, შოუმენობასა და „კაი ბიჭობას“ შორის ზღვარი ვერ გაავლო. გაუფრთხილებლობით დაიღუპა კენედის ვაჟი, 38 წლის **ჯონ კენედი უმცროსი,** რომლის თვითმფრინავმაც 1999 წლის 16 ივლისს კატასტროფა განიცადა... უმცროს ჯონს, რომელსაც „ამერიკის შვილს“ ეძახდნენ, არც ფრენის შესაბამისი კვალიფიკაცია ჰქონდა და ვერც სიბნელეში ხედავდა. მიუხედავად ამისა, თვითმფრინავის შტურვალთან მაინც დაჯდა და მთელი ოჯახი ამოწყვიტა. ის არც პოლიტიკოსი იყო და არც პრეზიდენტობას აპირებდა, მაგრამ ასე მოხდა. მოგეხსენებათ, **რობერტ კენედიც** მოკლეს... საერთოდ, ეს ძალიან ტრაგიკული ოჯახია.

**— ალბათ, რაღაც შეთქმულებას ადგილი მაინც ჰქონდა, რადგან თითქმის მთელი ოჯახი ამოწყვიტეს!**

— ყველა არ ამოუწყვეტიათ, მაგალითად, **ედუარდ კენედი** ბოლო დრომდე სენატორი იყო, ხოლო მათი სიძე **არნოლდ შვარცენეგერი** გუბერნატორი გახლდათ და კინაღამ ამერიკის პრეზიდენტობაზე იყარა კენჭი.

**— თუ პრეზიდენტის მკვლელობა შეთქმულება არ იყო, მაშინ ოსვალდი 1963 წლის 24 ნოემბერს, კენედის მკვლელობიდან ორი დღის შემდეგ, იაკობ რუბინშტაინმა როგორ მოკლა?**

— ეგეც ამერიკის მაშინდელი ადმინისტრაციის კრეტინიზმის შედეგია, როცა წინასწარ გამოაცხადეს, თუ როდის და რომელ საათზე გამოიყვანდნენ პრეზიდენტის მკვლელს პოლიციის განყოფილებიდან და გადაიყვანდნენ დალასის ციხეში! მთელ ამ პროცესს იღებდა ტელევიზია, ესწრებოდნენ აურაცხელი ჟურნალისტები და იყო ერთი ამბავი, ანუ დაუშვეს, რომ ოსვალდი ვიღაცას მოეკლა... ცხადია, **რუბინშტაინმაც** ამით ისარგებლა და როგორც თავად განაცხადა — **ჟაკლინ კენედი** სასამართლოებში სიარულისგან დაასვენა! სხვათაშორის, იმ პერიოდში ამერიკაში ძალიან ბევრი იყო ისეთი, ვისაც შურისძიების თუ თავის გამოჩენის მიზნით, ოსვლადის მოკვლა სურდა. **რუბინშტაინს** ამის შანსი მიეცა და პრეზიდენტის მკვლელი მოკლა, რისთვისაც ის არ დაუსჯიათ და რამდენიმე წლის შემდეგ სიმსივნით გარდაიცვალა.

**— ნიკიტა ხრუშჩოვს არ ჰქონდა სურვილი, რომ კენედის დასაფლავებას დასწრებოდა?**

— არა, ეს სურვილი მას ვერ ექნებოდა... **„კარიბის კრიზისის“ შემდეგ ხრუშჩოვი პოლიტიკურ კეთროვნად გახლდათ გამოცხადებული და მისი ამერიკაში ჩასვლა გამორიცხული იყო!** პრეზიდენტი ჯონ კენედი გმირის შარავანდედით მკვლელობამ შემოსა, თორემ ეგეთი სუსტი პრეზიდენტი და ადმინისტრაცია ამერიკას არ ახსოვს! ეს ის შემთხვევაა, როცა რეალური ისტორია და საზოგადოებრივი აზრი ერთმანეთს არ ემთხვევა. პრეზიდენტ კენედის ყველა გეგმა ჩაფლავდა... კენედის, სულელი ხრუშჩოვის ნაცვლად, საპირწონედ სტალინი ან თუნდაც ბერია რომ ჰყოლოდა, მერწმუნეთ, ამერიკა უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდებოდა და კაცმა არ იცის, რომელი უფრო ადრე დაიშლებოდა — საბჭოთა კავშირი თუ ამერიკის შეერთებული შტატები!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***
***გაგრძელება იქნება***

# სად მივდივართ?

***ნანა კაკაბაძე***



**უფლება-დამცველის სიტყვა**

***ევროკავშირი თანდათან აჩენს თავის ნამდვილ სახეს და რეალურ დამოკიდებულებას ქართველი ხალხის მიმართ. მიხეილ სააკაშვილს გიგი უგულავასა და ირაკლი ოქრუაშვილის მსგავსად პოლიტპატიმრად სახავს, ნიკა მელიას პოლიტიკური პატიმრობა კი ისე ეძვირფასა, რომ ევროკავშირმა თვითონ გადაუხადა გირაოს თანხა, თან ემუდარებოდა — შენი ჭირიმე, თანხმობა განაცხადე ციხიდან გამოსვლაზეო.***

**ზურაბ ადეიშვილი,** ვინც ჩვენთვის სისხლიანი რეჟიმის ჯალათი იყო, ევროკავშირისთვის ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მაღალი დონის ექსპერტი ყოფილა, ხოლო ჯარის ძარცვით გამდიდრებული **კეზერაშვილი,** დესპოტი **დათა ახალაია** და ბინძური დავალებების უპირობო შემსრულებელი **სოსო თოფურიძე** — მთლად ყინწვისის ანგელოზები და პოლიტიკური დევნილები!

**მოკლედ, პირდაპირ გვეუბნებიან — თქვენი არჩევანი არ გვაინტერესებს, დემოკრატია და ადამიანის უფლებების დაცვა მაშინაა აქტუალური, როცა ჩვენ გვინდაო...** ვაი, რომ თვალნათლივ ვხედავთ — **ჩვენი ევროპელი პარტნიორები აშკარა სიმპათიას ამჟღავნებენ ავტორიტარული რეჟიმის ყავლგასული პოლიტიკოსების მიმართ, რომლებიც ქართველმა ხალხმა მრავალი წლის თავგანწირული ბრძოლის შედეგად ძლივს მოიცილა.** უფრო მეტიც, ქართველი ხალხის უმრავლესობით არჩეულ ხელისუფლებას ისინი თავისიანად არ მიიჩნევენ და იმის გამო სჯიან, რომ თავისი ქვეყნის ინტერესებს გადამთიელთა ინტერესებზე მაღლა აყენებენ!

**და ამის შემდეგ ვილაცებს უკვირთ, საქართველოში ევროპული ღირებულებების დისკრედიტაცია რომ ხდება? ან იქნებ ანტიევროპული და პრორუსული განწყობების გაძლიერება აოცებთ?**

ჩვენ გვესმის, რომ თვითონ ევროპელები არ არიან დამოუკიდებლები თავიანთ გადაწყვეტილებებში და იძულებულნი არიან, შეასრულონ აშშ-ის მოთხოვნები. თუმცა, ეს ვერაფერი შეღავათია პროევროპულად განწყობილი ქართველებისათვის. სამწუხაროდ, ევროპელი პარტნიორების რეკომენდაციათა შესასრულებლად ხელისუფლება ხშირად ისეთ გადაწყვეტილებებსაც იღებს, რომლებსაც სამართლებრივ ან პოლიტიკურ ნონსენსამდე მივყავართ.

მაგალითად, **კოჰაბიტაცია, გენერალური პროკურორის ან ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის არჩევის წესი, სახალხო დამცველის პოსტის დათმობა ოპოზიციისთვის, შარლ მიშელის ანტიკონსტიტუციური შეთანხმება, პრეზიდენტის იძულება კრიმინალების შეწყალებაზე, ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება, გეი-აღლუმების ჩატარების სავალდებულობის მოთხოვნა, 12 არაადეკვატური რეკომენდაციის შესრულება, საქართველოში მეორე ფრონტის გახსნა, ჩვენი ქვეყნის საზიანოდ ყველა ანტირუსულ სანქციაზე მიერთების მოთხოვნები...**

ამ ყველაფრის ფონზე, ხომ არ დადგა დრო, ვიკითხოთ — **გვიღირს ისეთი გაერთიანებისაკენ თავქუდმოგლეჯილი სწრაფვა, რომელიც მხოლოდ მოთხოვნებს გვიყენებს? ნებაყოფლობით ხომ არ მივექანებით ისეთ გაერთიანებაში, რომელიც სერიოზულად შეზღუდავს ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს?**

და, საერთოდ, **რა გვესაქმება ისეთ ევროკავშირში, სადაც დემოკრატიული ღირებულებებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ეტალონად სააკაშვილსა და მის ხროვას მიიჩნევენ?**

**და ამის შემდეგ ვილაცებს უკვირთ, საქართველოში ევროპული ღირებულებების დისკრედიტაცია რომ ხდება? ან იქნებ ანტიევროპული და პრორუსული განწყობების გაძლიერება აოცებთ?**

# გიორგი ბეჟიტაშვილის პასუხები მკითხველს ★

## 30-იან წლებში, ეჟოვშჩინად სახელდებული ულმობელი რეპრესიების პერიოდში, გარდაუვალი დაპატიმრების შიშით ბევრმა თვალსაჩინო ბოლშევიკმა დაასრულა სიცოცხლე თვითმკვლელობით, მაგალითად, სერგო ორჯონიკიძემ. შეგიძლიათ, დაგვისახელოთ სხვა გვარები, მათ შორის, ჩვენი თანამემამულეებიც?

**ორჯონიკიძესთან** დაკავშირებით იმის დარწმუნებით თქმა, რომ მას დაპატიმრება ელოდა, არ შეიძლება. თუმცა, სერგოს თვითმკვლელობამდე მცირე ხნით ადრე დააპატიმრეს მისი ძმა — **პაპულია,** მაგრამ იმ მრისხანე დროში მსგავსი მოვლენები ხშირად ხდებოდა, პარტიის უმაღლესი ხელმძღვანელების ბევრი ნათესავი მოყვა რეპრესიებში, მაგრამ ამის გამო მათ მაღალი პოსტები არ დაუკარგავთ. **სერგო ორჯონიკიძე** იმ დროს საბჭოთა იერარქიით სტალინის შემდეგ მეორე კაცი იყო და არ არსებობს იმის დოკუმენტური მტკიცება, რომ მისი თვითმკვლელობა პოლიტიკურ აქტს წარმოადგენდა. **არსებობს ვერსია, რომ 1937 წლის 18 თებერვალს ორჯონიკიძემ საბედისწერო ტყვია გულის ასთმის მტანჯველი შეტევის დროს გაისროლა.** უეჭველია, მის ავადმყოფურ მდგომარეობაზე უფროსი ძმის — პაპულიას და უახლოესი თანაშემწის — მძიმე მრეწველობის სახკომის მოადგილის, ხალხის მტრად გამოცხადებული **იური პიატაკოვის** დაპატიმრებამაც იმოქმედა. ამასთან, ცნობილია, რომ პიატაკოვისა და აღნიშნული სახალხო კომისარიატის სხვა წამყვანი თანამშრომლების დაპატიმრებაზე სანქცია **პირადად ორჯონიკიძემ** გასცა. იმ მსხვილი საბჭოთა და პარტიული ხელმძღვანელების რიცხვში, რომლებიც ე.წ. „თვითმკვლელთა ბოლშევიკური კლუბის“ წევრები გახდნენ, შეიძლება დავასახელოთ პროფკავშირების საბჭოს თავმჯდომარე **მიხეილ ტომსკი,** თავდაცვის სახკომის პირველი მოადგილე **იან გამარნიკი,** თავდაცვის მრეწველობის სახკომი **მიხეილ კაგანოვიჩი (ლაზარ კაგანოვიჩის ძმა)** და პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ყოფილი პირველი მდივანი **ბესო ლომინაძე.**




1904 წლიდან პარტიის წევრმა, მრავალი წლის მანძილზე პოლიტბიუროს წევრმა **ტომსკიმ** (ნამდვილი გვარი — **ეფრემოვი**) 1936 წლის 22 აგვისტოს საკუთარ აგარაკზე მოიკლა თავი მას შემდეგ, რაც გაზეთებში გამოჩნდა ინფორმაცია **ტროცკისთან** მის კავშირზე და **ბუხარინთან და რიკოვთან** ერთად მემარჯვენეთა ორგანიზაციაში მონაწილეობაზე. **გამარნიკმა,** რომელსაც **ტუხაჩევსკის** მეთაურობით სამხედროთა შეთქმულებაში მონაწილეობა დასდეს ბრალად, ასევე ცეცხლსასროლი იარაღით მოიკლა თავი საკუთარ ბინაში. ეს **1937 წლის 31 მაისს** მოხდა, ტუხაჩევსკის დაპატიმრებიდან მცირე ხანში. **მიხეილ კაგანოვიჩმა,** რომელიც პოლიტბიუროს სხდომაზე მკაცრად გააკრიტიკეს და პარტიიდან გარიცხვით დაემუქრნენ, 1941 წლის თებერვალში **ანასტას მიქოიანის** კაბინეტში მოისწრაფა სიცოცხლე. თვითმხილველთა მოწმობით, კაგანოვიჩი პოლიტბიუროს წევრ მიქოიანთან რაღაც ახსნა-განმარტების მისაცემად დაიბარეს. საუბრისას მან ტუალეტში გასვლა ითხოვა და მალე იქიდან გასროლის ხმა გაისმა.

**ბესო ლომინაძეზე** უფრო დაწვრილებით მოგითხრობთ. იგი პარტიაში 1917 წლის მარტში პეტროგრადში შევიდა, მონაწილეობდა ოქტომბრის გადატრიალებაში. რევოლუციის შემდეგ ბრწყინვალე კარიერა დაესახა. საკმარისია ითქვას, რომ **25 წლის ასაკში იგი სათავეში ჩაუდგა საქართველოს კომპარტიის ცეკას, შემდეგ იყო ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ხოლო არასრული 30 წლისა — პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი, ანუ სამივე რესპუბლიკის — საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის მეთაური გახდა. ბესო ლომინაძე** სტალინის რჩეული იყო, მაგრამ 1930 წელს სკპ(ბ) ცეკას ერთ-ერთ პლენუმზე გამოსვლის შემდეგ, რომელიც სტალინის პოზიციას ეწინააღმდეგებოდა, ლომინაძე ცეკას შემადგენლობიდან გამოიყვანეს და გაათავისუფლეს სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელის თანამდებობიდან, ცოტა ხანს ცეკას რეზერვში იმყოფებოდა, შემდეგ კი პარტიის მაგნიტოგორსკის ქალაქკომის პირველ მდივნად დანიშნეს. 1934 წლის 19 დეკემბრის დილას **ბესო ლომინაძე** ჩელიაბინსკში, საოლქო კომიტეტის ბიუროს სხდომაზე გამოიძახეს. **მან გზაში, ავტომობილში სცადა თავის მოკვლა. მძიმედ დაჭრილი უკან, მაგნიტოგორსკში გადაიყვანეს და საოპერაციო მაგიდაზე გონს მოუსვლელად გარდაიცვალა.**

ელოდა თუ არა ლომინაძე დაპატიმრებას? ძნელი სათქმელია. ალბათ, არა. პარტიული მოღვაწეების მასობრივი დაპატიმრება მოგვიანებით დაიწყო. მას, ალბათ, მაინც არ ასცდებოდა 37 წლის სუსხი, რადგან სიკვდილის შემდეგ ხალხის მტრად გამოაცხადეს და 37-38 წლებში საქართველოში რეპრესირებულთა დიდი ნაწილი სწორედ ორპირ და ტროცკისტ ლომინაძესთან კავშირში დაადანაშაულეს. **ჩვენი აზრით, ეს თვითმკვლელობა ასე აიხსნება: 1934 წლის 1 დეკემბერს ლენინგრადში კიროვი მოკლეს. ქვეყანა დიდი ტერორის ზღურბლზე იდგა. ლომინაძემ ეს იწინასწარმეტყველა და საკუთარი მომავალიც ადვილად გამოითვალა.**

## სტალინის ქალიშვილი სვეტლანა ალილუევა გარკვეულ ხანს საქართველოში ცხოვრობდა, თანაც, მამის სამშობლო საკუთარი სურვილით აირჩია. მაგრამ მალე კვლავ საზღვარგარეთ ითხოვა თავშესაფარი. რატომ და როგორ მოხდა ეს და რა ბედი ეწია მას შემდგომში?

სვეტლანა ალილუევა მოულოდნელობებით აღსავსე ქალია. ამაზე ნათლად მეტყველებს მთელი მისი ცხოვრება მამის სიკვდილის შემდეგ. ცნობილია, რომ 1967 წელს იგი საზღვარგარეთ გაიქცა. მერე დაწერა რამდენიმე წიგნი, გვარიანი ფული იშოვა **(მარტო პირველ წიგნში — „20 წერილი მეგობარს“ — 122 ათასი დოლარი)** და თითქმის მთელი მსოფლიო მოიარა. 1984 წლის ნოემბერში მან საბჭოთა კავშირში დაბრუნება ითხოვა და უეცრად გამოჩნდა მოსკოვში უკანასკნელი ქმრისგან — ამერიკელი არქიტექტორისგან გაჩენილ შვილთან **ოლგა პიტერსთან** ერთად. საბჭოთა ხელმძღვანელობა სვეტლანას გაშლილი ხელით შეხვდა, მოქალაქეობაც დაუბრუნეს, თუმცა, პირად ფრონტზე დიდი იმედგაცრუება ელოდა. ვაჟიშვილმა **იოსებმა** (პირველი ქმრის — **გრიგორი მოროზისგან**) და ქალიშვილმა **ეკატერინემ** (მეორე ქმრის — **იური ჟდანოვისგან**) მის ნახვაზეც კი სასტიკი უარი განაცხადეს. მაშინ **სვეტლანამ** საქართველოში ითხოვა დაბინავება, სადაც არანაკლები ენთუზიაზმით შეეგებნენ. **მას ბინა ვაკეში, პრესტიჟულ სახლში გამოუყვეს, სადაც საქართველოს კპ ცკ-ის ბიუროს წევრები და მდივნები ცხოვრობდნენ. მისცეს ავტომანქანა, დაუნიშნეს პერსონალური პენსია 250 მანეთის ოდენობით.** მისი ქალიშვილი ოლგაც პრესტიჟულ სკოლაში სწავლობდა, ცხენოსნობას მისდევდა, მიმაგრებული მასწავლებლები რუსულ და ქართულ ენებს ასწავლიდნენ. საქართველოში ყოფნას დაემთხვა სვეტლანას 60 წლისთავი, რაც საზეიმოდ აღინიშნა გორში.



თუმცა ბელადის ქალიშვილის ცხოვრება ვერც მამის სამშობლოში აეწყო. **თბილისში 2 წლის გატარების შემდეგ, 1986 წლის ნოემბერში, ალილუევამ გორბაჩოვს საზღვარგარეთ გამგზავრების ნებართვა სთხოვა.** თბილისიდან წასვლისას კი განაცხადა, რომ **„მობეზრდა ველურებში ცხოვრება“.**

(რედაქციისაგან): შემდგომში **სვეტლანა ალილუევა** აშშ-ში, უისკონსინის შტატში დასახლდა. 1992 წელს კი კორესპონდენტებმა მას ლონდონის გარეუბანში, კენსინგტონ-ჩელსის მოხუცთა თავშესაფარში მიაგნეს. 2008 წელს იგი გადაღებულ იქნა დოკუმენტურ ფილმში **„სვეტლანა სვეტლანას შესახებ“.** სიცოცხლის უკანასკნელი წლები უისკონსინის შტატის ქალაქ მედისონის თავშესაფარში გაატარა **ლანა პიტერსის** გვარით. გარდაიცვალა 2011 წლის 22 ნოემბერს 85 წლის ასაკში მსხვილი ნაწლავის სიმსივნით.

## როდის დაარსდა გამარჯვების ორდენი და სტალინის გარდა ვინ იყო მისი მფლობელი?



უმაღლესი სამხედრო ორდენი „გამარჯვება“ სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით **1943 წლის 8 ნოემბერს** დაარსდა. იგი უმაღლეს მხედართმთავრებს ენიჭებოდა სამამულო ომის მსვლელობისას მსხვილი სტრატეგიული ოპერაციების ჩატარებისთვის, როგორიც იყო სტალინგრადის ბრძოლა, კურსკის რკალი, დნეპრის დალაშქვრა, კენიგსბერგის აღება, ბერლინის ოპერაცია და სხვა. **სულ ამ ორდენით 17 ადამიანი დაჯილდოვდა, მათ შორის, ორჯერ — იოსებ სტალინი,** მარშლები **გიორგი ჟუკოვი** და **ალექსანდრე ვასილევსკი.** ამ ორდენის კავალრები იყვნენ მარშლები **როკოსოვსკი, მალინოვსკი, კონევი...** ერთადერთი გენერალი, რომელსაც ორდენი მიანიჭეს — გენშტაბის მეთაური **ალექსეი ანტონოვი** გახლდათ. უცხოელთა შორის გამარჯვების ორდენს ფლობდნენ რუმინეთის მეფე მიხაი, მარშლები მონტგომერი, როლა-ჟიმერსკი, ტიტო და ეიზენჰაუერი. რაც შეეხება ლეონიდ ბრეჟნევს, 1989 წელს, გორბაჩოვის საგანგებო ბრძანებულებით, მას ეს ორდენი სიკვდილის შემდეგ ჩამოერთვა.










## ამბობენ, რომ ვასილი სტალინმა მამასთან თავის გამოსაჩენად მოსკოვის პრესტიჟულ გარეუბანში თავისი სახსრებით აგარაკი ააშენა და იოსებ სტალინს აჩვენა. ბელადმა დაათვალიერა და შეაქო: „კარგი საბავშვო ბაღია“. მართალია თუ არა ეს?

მართალია, ოღონდ ვასილი სტალინი არაფერ შუაშია. მოსკოვის სამხედრო ოლქის სამხედრო-საზღვაო ძალების სარდალი, გენერალ-ლეიტენანტი **ვასილი სტალინი** მხოლოდ სახელმწიფო აგარაკებით სარგებლობდა. დიდი სურვილის შემთხვევაშიც კი, მამის შიშით იგი ვერ გაბედავდა აგარაკის აშენებას. ვასილი სტალინმა მართლაც ააგო, ოღონდ სპორტული ნაგებობები, რომლებიც მოსკოვში დღემდე მოქმედებს. **სხვათაშორის, სტალინის სიკვდილის შემდეგ ერთ-ერთი ბრალდება, რის გამოც ვასილის 8 წლით პატიმრობა მიუსაჯეს, „სახსრების არამიზნობრივი გამოყენება“ გახლდათ.**

რაც შეეხება აგარაკს, ეს შემთხვევა ბევრ მოგონებაშია შეტანილი **(მოლოტოვის, კაგანოვიჩის, სტალინის მცველის რიბინის და სხვ.).** ერთხელ, მოსკოვის გარეუბნებში მგზავრობისას, სტალინმა გზის პირას ლამაზი ორსართულიანი შენობა შენიშნა, მანქანიდან გადმოვიდა, კარგად დაათვალიერა და თქვა: **„ხომ შეუძლიათ ლამაზად და მოხერხებულად აშენება, როცა მოინდომებენ? მშვენიერი საბავშვო ბაღია!“** „არა, ამხანაგო სტალინ, — შეეპასუხნენ ბელადს, — ეს **გენერალ ტელეგინის** აგარაკია“. სტალინმა არაფერი უპასუხა, მაგრამ მანქანაში ჩაჯდომისას გაიმეორა: **„მშვენიერი საბავშვო ბაღია“.** ბუნებრივია, გენერალ-ლეიტენანტ **კონსტანტინე ტელეგინის** (რომელიც იმ დროს გერმანიაში საბჭოთა ჯარების სამხედრო საბჭოს წევრი იყო) აგარაკი ექსპროპრიაყვეს და იქ საბავშვო ბაღი განათავსეს. **თავად ტელეგინი 1947 წელს არმიიდან დაითხოვეს, ხოლო 1948-ში დააპატიმრეს, რადგან გაირკვა, რომ მან გერმანიიდან აურაცხელი სიმდიდრე გამოზიდა.** ტელეგინს დახვრეტა 25-წლიანი პატიმრობით შეეცვალა, 1953 წელს კი ხრუშჩოვმა გაათავისუფლა, მთლიანი რეაბილიტაცია მისცა და წოდება აღუდგინა. ყველაზე საინტერესო კი ამ ისტორიაში ის არის, რომ ტელეგინის აგარაკის ამბის შემდეგ მსხვილმა სამხედრო მეთაურებმა (და სხვა ხელმძღვანელებმა) სასწრაფოდ დაიწყეს მოსკოვთან აშენებული ლამაზი აგარაკების სახელმწიფოსთვის ჩაბარება. იქ მაშინვე საბავშვო დაწესებულებები იხსნებოდა ხოლმე.




ასავალ-დასავალი
2022 წლის 24 ოქტომბერი, № 31-32 (155-156)

სარედაქციო კოლეგია
„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი. ვებ-გვერდი ინტერნეტში: www.asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com ფეისბუქი: www.facebook.com/Asavali.com გამოდის 2003 წლის 7 აპრილიდან.

# მერაბ რატიშვილი: მთავარზე კაციშვილი არ ლაპარაკობს!

*დასაწყისი იხ. „ა-დ“, 2022 წლის №43*

***საკაშვილის კვაზიფაშისტური და გარყვნილი რეჟიმის პოლიტპატიმარი, ქველმოქმედი და მწერალი მერაბ რატიშვილი საქართველოს უახლესი ისტორიის უმნიშვნელოვანეს დეტალებს იხსენებს და იმ ურთულეს საერთაშორისო პოლიტიკურ ვითარებას მიმოიხილავს, რომელიც რეგიონსა და მსოფლიოში უკრაინის ომმა შექმნა:***

— **სააკაშვილი** ბავშვობიდან ავადმყოფი ბიჭია და მასზე ლაპარაკი არც ღირს, რაც შეეხება ბიძამის **თემურ ალასანიას,** ვფიქრობ, მის როლს საქართველოში გადაჭარბებულად აფასებენ. კი ბატონო, ალასანია სპეცსამსახურია, სააკაშვილზე დიდი გავლენა აქვს, მაგრამ მაინც ჩვეულებრივი ჩარჩია და მეტი არავინ... მაგრამ აი, ის პიროვნება, რომელსაც მე საქართველოში სააკაშვილის დასაბალანსებლად შემოსვლა ვთხოვე, ძალიან სერიოზული და გავლენიანი კაცია და სწორედ მასთან კონტაქტს მოჰყვა ჩემი დაპატიმრება 2007 წლის 26 ოქტომბერს...

**— ბატონო მერაბ, ვისი შემოყვანა გინდოდათ საქართველოში და სააკაშვილმა რატომ დაგიჭირათ?**

— სააკაშვილმა იმიტომ დამიჭირა, რომ ოპოზიციას ფინანსურად და ინტელექტუალურად ვეხმარებოდი! მოგეხსენებათ, 2006 წელს სააკაშვილს **ჟვანიაც** მოშორებული ჰყავდა და ოპოზიციაც ვერაფერს უბედავდა. მართალია, ოპოზიციის „ეროვნული საბჭო“ არსებობდა, მაგრამ გაერთიანება შედეგს ვერ დებდა. ქვეყანას მართავდა და დღემდე მართავს **სოროსი,** რომლის გასანეიტრალებლად და დასაბალანსებლად ალტერნატიული ამერიკული ჯგუფი მჭირდებოდა. სწორედ ამ მიზნით ჩავედი პოლ **მანაფორტისთან**, რომელიც **დონალდ ტრამპის** საარჩევნო კამპანიის მენეჯერი და ძალიან გავლენიანი პიროვნება გახლდათ. მანაფორტის ევროპაში შევხვდი და მოვილაპარაკეთ, რომ ამ გიჟის — სააკაშვილის დასაბალანსებლად საქართველოში ოფისს გახსნიდა! მე მას ყველაფერი ვუამბე — აჭარის ამბები, ზურაბ ჟვანიას მკვლელობის ამბავი, და ვუთხარი — **იცოდეთ, თუ არ დაგვეხმარებით და ამ ველურს არ შეაჩერებთ, ეს აუცილებლად აიწყვეტს და საქართველოს დიდ უბედურებაში გახვევს-მეთქი!**

**მანაფორტი** ძალიან დაინტერესდა და გადაწყდა, რომ ოპოზიციის „ეროვნული საბჭოს“ ლიდერები სათითაოდ ჩამეყვანა ვენაში და მისთვის შემეხვედრებინა. მაგრამ პოლმა წამოაყენა ერთადერთი პირობა — ეს ყველაფერი აუცილებლად უნდა შეთანხმდეს ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტთანო! სხვათაშორის, **ვიქტორ იანუკოვიჩი** უკრაინის პრეზიდენტად სწორედ პოლ მანაფორტმა აქცია... ბევრმა შესაძლოა, არ იცის, რომ პირველი **არჩევნები** იანუკოვიჩმა **იუშჩენკოს** მოუგო, მაგრამ სწორედ **მანაფორტმა** დაათმობინა მას მოპოვებული გამარჯვება, იმდენად ენდობოდნენ ერთმანეთს.

**პოლ მანაფორტმა** მთხოვა, შემედგინა ოპოზიციის ე.წ. ლიდერების ფსიქოლოგიური პორტრეტები, რაც გავაკეთე და ჩემი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გავუგზავნე. პარალელურად კონსულტაციები მქონდა ბრიტანეთის მაშინდელ ელჩთან **მაკლარენთან,** რომელიც ჩემთან ოფისში დადიოდა... ასევე ჩავატარე დიდი კონფერენცია სეპარატიზმის, როგორც დანაშაულის უმაღლესი გამოვლინების შესახებ, სადაც მოვიწვიე: პრიშტინის უნივერსიტეტის პროფესორი, ქნესეთის წევრები, სერბი პოლიტიკოსები, აზერბაიჯანელები, სომხები, ჩვენი სამეცნიერო სკოლის წარმომადგენლები... **სააკაშვილი ამას მაპატიებდა?!**

**— კი მაგრამ, ბრიტანეთის ელჩი და სხვა ელჩები სააკაშვილზე რას გეუბნებოდნენ?**

— დიდი ბრიტანეთის ელჩს **მაკლარენს** სააკაშვილზე პირდაპირ ვეუბნებოდი, ამერიკის აგენტია-მეთქი! მაკლარენიც და სხვებიც ამაზე წინააღმდეგობას არ მიწევდნენ და მპასუხობდნენ — რა ვქნათ, დღევანდელი მოცემულობა ასეთიაო!

**— წინა ინტერვიუში ბრძანეთ, რომ ზურაბ ჟვანიას მოსკოვში უნდოდა წასვლა და ამისთვის დახმარება თქვენ გთხოვათ. რატომ მიდიოდა ჟვანია მოსკოვში?**

— ზურა ძალიან ჭკვიანი კაცი იყო და მიხვდა, რომ ამერიკელებმა ის „ჩახსნეს“ და მთლიანად სააკაშვილზე გააკეთეს არჩევანი. ჟვანია მოსკოვში აპირებდა წასვლას სწორედ იმ მიზნით, რომ საქართველოში ამერიკელები და მათი აგენტურა სააკაშვილის მეთაურობით დაებალანსებინა. ჟვანიამ შეერთებულ შტატებში პოზიციები დაკარგა... ზურა იყო ნამდვილი პოლიტიკოსი, ნიჭიერი კაცი, რომელიც შესანიშნავად აზროვნებდა, მაგრამ მას ვაშინგტონში საყრდენი გამოეცალა და ჩაანაცვლა მისმა მოყვანილმა მიშიკომ...

**— მაინც რით, როგორ ჩაანაცვლა სააკაშვილმა ჟვანია?**

**— ზურაბ ჟვანიამ ამერიკელებთან ურთიერთობაში დაარღვია „ლოიალობის პრინციპი“, წინააღმდეგობა გაუწია ამერიკელების გეგმებს და 2004 წლის ზაფხულში ცხინვალში ომი შეაჩერა.** აი, სწორედ ამას შეეწირა ზურაბ ჟვანია. სანამ ზურაბ ჟვანია ცოცხალი იყო, ამერიკელები და სააკაშვილი ცხინვალის ავანტიურას ვერ ახორციელებდნენ, ამიტომაც დაიგეგმა მისი მოშორება, რაც აღასრულეს კიდეც! **2004 წლის ზაფხულის ავანტიურის შემდეგ, როცა ჩვენები და ოსები ერთმანეთს აღარ ელაპარაკებოდნენ, მე ვიყავი ის კაცი, რომელმაც კოკოითს ტელეფონი მიაწოდა და გოგა ხაინდრავა დაალაპარაკა. შეგიძლიათ, ჰკითხოთ ხაინდრავას...**

**— ჟვანიას ამერიკელები რუსებით როგორ უნდა დაებალანსებინა, ვისზე აპირებდა გასვლას?**

— 2004 წლის თბილისობას საქართველოში სტუმრად ჩამოვიდა **ევგენი პრიმაკოვი.** სწორედ მაშინ გოლფის მოედნის პრეზენტაცია გავმართე, რასაც რუსეთის ელჩი საქართველოში **ჩხიკვიშვილი, ზურაბ ჟვანია, კოტე კემულარია** და სხვა მინისტრებიც დაესწრნენ. ერთადერთი, ვისაც ველოდებოდით, მაგრამ არ მოვიდა, **სააკაშვილი** იყო... სწორედ მაშინ მთხოვა ზურამ — პრიმაკოვს შემახვედრეო!

პრიმაკოვი ჩემს სიმამრთან მეგობრობდა, გარდა ამისა, მეტრომშენებელი ვიყავი და პრიმაკოვი ძალიან ახლოს იყო ლეგენდარულ **ვიქტორ გოცირიძესთან...** ერთი სიტყვით, პრიმაკოვს ვთხოვე — ზურას ვახშამი აქვს და თან თქვენთან შეხვედრა უნდა-მეთქი! პრიმაკოვს უარი არ უთქვამს, რუსეთის ელჩი ჩხიკვიშვილი იახლა და ზურაბ ჟვანიასთან კანცელარიაში წამყვა. კაბინეტში რომ შევედით, ოთახი გაჭვარტლული იყო... ჟვანია ისე ღელავდა, სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა. **ერთხანს ზურამ ცალი ფეხი სავარძელზე გადასდო, რაც პრიმაკოვს, ცხადია, შეუმჩნეველი არ დარჩენია, მაგრამ ჩხიკვიშვილისკენ მიტრიალდა და საუბარი გაუბა, ვითომ ვერაფერი დაინახა. ჟვანიას უმალ შევხედე და ვანიშნე — სავარძლიდან ფეხი ჩამოიღე-მეთქი! ჟვანია მაშინვე გასწორდა და სიგარეტის მოწევა გააგრძელა.**

**— რაზე ილაპარაკეს?**

— არაფერზე და ყველაფერზე... ყოველ შემთხვევში იქ კონკრეტული საუბარი არაფერზე ყოფილა. ამ შეხვედრიდან ძალიან მალე ზურაბ ჟვანია მოკლეს...

**— ბადრი პატარკაციშვილი რას შეეწირა?**

— ბადრიც ხელისუფლებისთვის ბრძოლას შეეწირა. ბადრის ძალიან კარგად ვიცნობდი... როცა **ბერეზოვსკი** დსთ-ს აღმასრულებელი მდივანი იყო, მე ბერეზოვსკის მოადგილედ ვმუშაობდი და ბადრის არაერთხელ შევხვედრილვარ. **ბადრის ისეთი გავლენები ჰქონდა და იმდენად სერიოზული პიროვნება იყო, სააკაშვილი და მისი ქილერები ვერ მისწვდებოდნენ, ეს გამორიცხულია, მაგრამ სააკაშვილის პატრონები — ამერიკელები მისწვდნენ და მოკლეს!** ფაქტია, რომ პატრონებმა სააკაშვილს გზა „გაუსუფთავეს“ და ბადრის პრობლემა „მოუგვარეს“...

**— მაინც რას შეეწირა ბადრი?**

— ბადრი იყო სულით ხორცამდე ქართველი კაცი და დიდი

*გაგრძელება 22-ე გვერდზე*







**„გუდაუთის მაღლობიდან, სადაც 500 მილიონი ტონა ნავთობის მარაგია, ერთი ძარღვი ანაკლიისკენ მოდის.**

**სწორედ უზარმაზარი ნავთობსაბადოა მიზეზი, რის გამოც ანაკლიაში ამერიკელები გვიჩხიკინებენ!“**

## კვირგვინოსნები

**გიორგი ფუფხაძე**
*საფრანგეთში მცხოვრები ჟურნალისტი*



ამ **დედამოკითხულ ქოცებს** მთელი **გარეწარი სანაცეთი** გულში ჰყავთ ჩახუტებული, **მილიონიანი ტენდერების წილებში ერთად არიან** და თუ გააკრიტიკე, მოგიქსევენ ლარნახევრიან მპოსტავ-ექსპერტებს. აქეთ გეძახიან „შე ნაცოო“!

„ალია“

**დავით ქართველიშვილი**
*მოძრაობა „ხალხის ძალის“ წევრი*



თხოვნა მაქვს: **ვისაც ამ ქვეყანაში ქართველობა ეხამუშება,** ვინც ჩასაფრებული ელოდება ნებისმიერ ადამიანურ ტრაგედიას, ვინც ლეშიჭამიად ჩამოყალიბდა და სვავების ინსტინქტები ამოძრავებს — **გთხოვთ, დატოვეთ თქვენთვის ეს ამოუცნობი და აუტანელი ქვეყანა!** ნუ იტანჯებით და ნუ გვტანჯავთ!

„ალია“

**ბესო მიქავა**
*„იბერიულ-კავკასიური მოძრაობის“ თავმჯდომარე*



თუ ფაშისტი **მიხეილ სააკაშვილის** მკურნალობისთვის ამერიკელი და ევროპელი მედიცინის ექსპერტები ჩამოჰყავთ, **ცოტნე გამსახურდიასთვის,** რომელიც უმძიმეს მდგომარეობაშია, რატომ არ ჩამოჰყავთ კვალიფიციური ექიმები, მედიცინის ექსპერტები უცხოეთიდან?

„ალია“

**ლადო პაპავა**
*აკადემიკოსი*



საფრთხეების შემცველი იყო ის, როდესაც **სააკაშვილმა თითქმის მთელი ენერგეტიკა რუსეთს ჩააბარა;** როდესაც დღემდე არ ვიცით, რა სტატუსი აქვს და რა ბედი ელის ენგურჰესს; როდესაც ჩვენი ძირითადი ობიექტები იქნა პრივატიზებული, რითიც **საქართველოს სატრანზიტო ფუნქციას საფრთხეები შეექმნა!**

„კვირის პალიტრა“

დასაწყისი 21-ე გვერდზე

# მერაბ რატიშვილი:

# სააკაშვილი ისე აყროლდა, მაგის გაჩერება უკვე აღარ შეიძლებოდა!



**„თუ საქართველო ამ ხელისუფლებას ვერ შეინარჩუნებს, ქვეყანას უკრაინის ომში ჩაითრევენ!“**



**„ზელენსკი ისეთივე მასხარაა, როგორიც სააკაშვილი, მაგრამ რომელი უფრო ნიჭიერია, ჯერ კიდევ საკითხავია!“**



პატრიოტი. ჩვენ ბიზნესპარტნიორები არ ვყოფილვართ, მაგრამ ბადრის ეროვნული განწყობა მე ძალიან მომწონდა. ბადრი ამერიკელებმა დაბლოკეს... სხვათაშორის, **ამერიკელებს რომ არ მოენდომებინათ, ხელისუფლებაში ვერც ბიძინა მოვიდოდა!**

**— ამერიკელებმა რატომ მოინდომეს, რომ სააკაშვილი გაეყვანათ და ბიძინა ივანიშვილი შემოეყვანათ?**

— სააკაშვილი ისე აყროლდა, მაგის გაჩერება უკვე აღარ შეიძლებოდა. აი, მაგალითად, **თომას ჰამერბერგი** — ევროკომისარი ადამიანის უფლებების დარგში და ნობელის პრემიის ლაურეატი, ჩემთან იყო შემოსული რუსთავის №6 სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში. დაახლოებით საათ-ნახევარი ვისაუბრეთ... თომას ჰამერბერგს პირდაპირ ვკითხე — **სად არის თქვენი გადამხდელების ფული? სად არის თქვენ მიერ ამდენი ხნის განმავლობაში შეპირებული დემოკრატია? სად არის საარჩევნო სისტემა? სად არის თავისუფალი მედია და სასამართლო?** თომას ჰამერბერგი თავჩაღუნული იჯდა და ხმას ვერ იღებდა. ბოლოს მითხრა — ბატონო რატიშვილო, მოდით, ვიმეგობროთ! — ვიმეგობროთ-მეთქი! — ტელევიზორი გაქვთ? — არა! — რადიო? — არა! კაცი კინაღამ გაგიჟდა, მაგრამ მე დავაწყნარე — ეს ჩემი ქვეყანაა და პრობლემებს თავად მოვაგვარებ, უბრალოდ, ახლა ვწერ და ტელევიზორის საყურებლად არ მცალია-მეთქი!

ჰამერბერგი შეხვდა ჩემს მეუღლესაც და როცა წავიდა, ისეთი დასკვნა დაწერა, ევროსაბჭომ მაშინვე მაღიარა სააკაშვილის პირად პატიმრად. **ამის გამო ეს ველური და ავადმყოფი სააკაშვილი ნობელის პრემიის ლაურეატ კაცს — თომას ჰამერბერგს საქართველოში არ უშვებდა!**

სარკოზი რომ საქართველოში ჩამოვიდა, **გიორგი ფოფხაძემ** ჩემი გათავისუფლების შესახებ პეტიცია მიაწოდა... „ივერიის“ წინ გამართულ კონცერტზე სარკოზის სააკაშვილისთვის უთქვამს — რომ წავალ, რატიშვილიც უნდა გამატანოო! — არა, შინაგან საქმეთა მინისტრი **ვანო მერაბიშვილი** რატიშვილის გათავისუფლების წინააღმდეგიაო! ამის გამო გაბრაზებულმა სარკოზიმ სააკაშვილს იქვე მოუჭრა — რომ წავალ, არ გამაცილოთო! მართლაც, სარკოზი ისე წავიდა, არც გაუცილებიათ.

**— ვინ არის უკრაინის პრეზიდენტი ზელენსკი?**

— ზელენსკი ისეთივე მასხარაა, როგორიც სააკაშვილი, მაგრამ რომელი უფრო ნიჭიერია, ჯერ კიდევ საკითხავია! ამერიკას ისე უნდა საქართველოს ჩაბმა უკრაინის ომში, ამერიკის საელჩოს წინ ვინმე რომ დადგეს და განაცხადოს — მორჩა, შევრიგდეთ, ხელისუფლებაში მომიყვანეთ და რუსეთს ომს გამოვუცხადებო! — ის პიროვნება მაშინვე გახდება ყველაზე დაფინანსებული და ამერიკის საელჩოს მიერ კონტროლირებადი ჟურნალისტებისთვის ყველაზე მოთხოვნადი რესპონდენტი!

**— ბიძინა ივანიშვილს იცნობთ?**

— ბიძინას ჯერ კიდევ მაშინ ვიცნობდი, როცა მისი არც ფოტოსურათი ჰქონდა ვინმეს ნანახი და არც გვარი და სახელი იცოდა... ივანიშვილი ძალიან პატრიოტი და მაგარი კაცია... 2011 წლის დეკემბერში, როცა ბიძინას **მიხეილ ხოდორკოვსკის** შესახებ რაღაც სიბინძურეები აუგორეს, სწორედ მაშინ სამარტოო საკნიდან მივეცი ინტერვიუ ქართულ პრესას და ვთქვი, რომ ივანიშვილი აუცილებლად მოვიდოდა ხელისუფლებაში. **რაც შეეხება მიხეილ ხოდორკოვსკის, ეს არის უბინძურესი პიროვნება, რომელსაც ძალიან კარგად ვიცნობ, რადგან მოსკოვის კომკავშირის ქალაქკომში ერთად ვმუშაობდით და ზუსტად ვიცი, საიდან იშოვა ის მილიარდები, რომელიც მერე პუტინმა წაართვა.**

1993 წელს, როცა საქართველოს ნავთობს ჯერ კიდევ ვაწვდიდი, ხოდორკოვსკი მებრძოდა და ხალხს მიგზავნიდა, რათა ფიზიკურად გამსწორებოდა. დიახ, აფხაზეთში ომი მიდიოდა, რუსეთიდან ნავთობს ვაგზავნიდი, როცა ნაძირალა მიხეილ ხოდორკოვსკიმ მაგიდაზე ხელი დაარტყა და თქვა — ქართველები ჩვენს ნავთობს თავიანთ ტანკებში ასხამენ, ჩვენ გვებრძვიან და ამიტომ **„გრუზინი ბანკოვატ ნი ბუდუტო!“** ამის გამო ტუაფსეში ნავთობით დატვირთული გემი გამიჩერეს, რასაც დიდი გაწევ-გამოწევა მოჰყვა.

მიხეილ ხოდორკოვსკიმ ჩვენს საერთო მეგობარს **სერგეი ჟდანოვს,** რომელმაც მას მილიონები აშოვნინა, თავი მოაკვლევინა... ამდენად, ყველა ის გარეწარი, რომელიც ხადარკოვსკის „დიდ დემოკრატად“ და „სიმართლისთვის მებრძოლ“ წამებულად აცხადებს, ხოდორკოვსკიზე უარესი ნაძირალაა... **ხოდორკოვსკიმ** და **პლატონ ლებედევმა** ძალიან ბევრი ადამიანი ჩააწვინეს რუსეთის ჭაობებში, ეს ძალიან საშიში და სისხლიანი კაცია. რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილს, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ იგი ამერიკელებმა აიძულეს, თორემ მისნაირი ჭკვიანი კაცი ისეთ ნაძირალებს, როგორებიც რესპუბლიკელები და სხვა ურეიტინგო და საზიზღარი პოლიტიკოსები არიან, არავითარ შემთხვევაში კოალიციაში არ შეიყვანდა და გვერდით არ გაიკარებდა!

**— რით დასრულდება უკრაინის ომი?**

**– დაკარგულ ტერიტორიებს უკრაინა ვერასოდეს დაიბრუნებს, რადგან ის სახელმწიფო სუბიექტი, რომელიც ამ ტერიტორიების დაბრუნებას მოითხოვს, აღარ იარსებებს!**

მოგეხსენებათ, რუმინელებიც, პოლონელებიც და უნგრელებიც უკვე ვაჭრის თვალით უყურებენ უკრაინის მიწას...

**— „ლენდ-ლიზის“ პროგრამა რომ ამოქმედდა და უკრაინისკენ ასეული მილიონობით და მილიარდობით დოლარის იარაღი იგზავნება, აბა, ეს რა არის?**

— ეს არაფერს ნიშნავს... **იარაღს სულ სჭირდება განახლება და ჩამოწერა, ხოლო ფულს — ბრუნვა.** მსოფლიოში ყველაფერი ამერიკული სცენარის მიხედვით მიდის... მთავარზე კაციშვილი არ ლაპარაკობს! საქმე ის გახლავთ, რომ **მსოფლიოში არსებობენ მეგაკორპორაციები, რომლებიც ებრაულ კაპიტალს მართავენ.** დღევანდელ მსოფლიოში არსებული ფულის მასა დაახლოებით სამ-ნახევარჯერ აღემატება რეალურ საქონელს, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ვირტუალურ ეკონომიკურ სივრცეში ვცხოვრობთ! მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი ებრაული კორპორაცია გახლავთ **„ბლექ როკი“,** რომელიც ეკუთვნის **ლარი ფინკს.** დაახლოებით 11 ტრილიონ დოლარს მართავს ეს კორპორაცია... ამას გარდა არის ებრაული კორპორაცია **„ვეგა“,** კიდევ სხვაც არის... ესენი **მართავენ მთელ მსოფლიოს და აკონტროლებენ მსოფლიო ფულის მასის ორ მესამედს.** მსოფლიოს მმართველმა ებრაულმა კორპორაციებმა — **„ბლექ როკმა“ და „ვეგამ“** უკრაინაში უკვე 17 მილიონი ჰექტარი შავი მიწა შეისყიდეს!

**— რისთვის შეისყიდეს?**

— ჯერ კიდევ იმპერატრიცა **ეკატერინე მეორის** ეპოქიდან მოყოლებული, ხერსონი, ზაპოროჟიე, დნეპროპეტროვსკი და ოდესა ებრაელების საცხოვრებელ ტერიტორიად გამოცხად-

**„ამერიკელებს რომ არ მოენდომებინათ, ხელისუფლებაში ვერც ბიძინა მოვიდოდა!“**

## კვირგვინოსნები



**გიგი ჩხარტიშვილი**
*თბილისის საკრებულოს ყოფილი მაჟორიტარი დეპუტატი*

**კახა კალაძე** არასოდეს გაურბის არც კითხვებს და არც პასუხისმგებლობას, სწორედ ამიტომ გამოუცხადა თბილისმა ორჯერ ნდობა. **უსუსურია ოპოზიციის მცდელობა, ტრაგედიას პოლიტიკური ელფერი შესძინონ.**

„იმედინიუსი“



**დავით ოქიტაშვილი**
*კულტურის პალატის ხელმძღვანელი*

გამძლეობას ვუსურვებ **კახა კალაძეს,** უამრავი სიკეთის გამკეთებელ ადამიანს და ვიმედოვნებ, როცა სიმართლე დადგინდება, იმ „პეროებს“ ჩაგხედავთ თვალებში და გკითხავთ — **კაცობა, გასაგებია, არ იცით, რა „ხილია“ და ადამიანებადაც რომ არ ვარგიხართ, ესეც არ იცით!** თუ იცით და სხვაგვარად არ ძალგიძთ? **მანქურთებო, თქვენი დროც მოვა!**

„საქართველოს რესპუბლიკა“



**ჯემალ გამცემლიძე**
*ნაციონალური მოძრაობის მმართველობისას მოკლული გიორგი გამცემლიძის მამა*

იმ ნაცხროვის ნაწილაკებს მინდა, ვუთხრა — **რას ვიშვიშებთ, ვის გადადგომას ითხოვთ, ვინც ქალაქი ქალაქს დაამსგავსა?** მაშინ სად ეგდეთ, როცა ჩვენს შვილებს ბეღურებივით ხოცავდნენ ქალაქის ქუჩებში, რომელი ჯალათის გადადგომა მოითხოვეთ? **ხმა ჩაიკმინდეთ და კრინტი არ დაძრათ კახას მისამართით,** მე მას საერთოდ არ ვიცნობ, მაგრამ ვხედავ, რომ უზომოდ შეყვარებულია თავის ქვეყანაზე და ძალას არ იშურებს მის საკეთილდღეოდ.

მინდა, მივმართო აქედან და მივაწვდინო ხმა — **კახა, გამაგრდი, ვიცი, როგორ განიცდი ამ ამბავს. გადადგომაზე აზრიც არ გაივლო გულში!**

„GTMEDIA“



**ირაკლი ხმალაძე**
*თბილისის ვიცე-მერი*

რა პასუხი უნდა გავცე ოპოზიციას, როდესაც ისინი მერის გადადგომას ითხოვენ? **სირცხვილია, როცა პოლიტიკოსები ასეთი ტრაგედიის სათავისოდ გამოყენებას ცდილობენ.**

„ინტერპრესნიუსი“

# „ბადრის ისეთი გავლენები ჰქონდა და იმდენად სერიოზული პიროვნება იყო, სააკაშვილი და მისი ქილერები ვერ მისწვდებოდნენ, ეს გამორიცხულია, მაგრამ სააკაშვილის პატრონები — ამერიკელები მისწვდნენ და მოკლეს!»





და. რადგან 8 მილიონი ებრაელი 100 მილიონი კბილებამდე შეიარაღებული არაბის გარემოცვაშია და ისრაელს არავითარი მომავალი არა აქვს, **ებრაელმა ულტრამილიარდერებმა იციან, რომ უკრაინის ეს მიწა მათთვის იყო განკუთვნილი და ახლა ცდილობენ, ეს მიწა გამოისყიდონ!**

2008 წელი იყო ამერიკული ტესტი რუსეთისთვის — პუტინი შემოგვილაწუნებდა თუ არა? შემოგვილაწუნა და დაგვტორა, ხომ? ამის შემდეგ, 2014 წელს, რუსეთს უკრაინაში დაუგეგმეს მეორე ტესტი — **მაიდანი,** რასაც რუსეთმა უპასუხა ყირიმის შეერთებით. **გადამწყვეტი მომენტი რუსეთ-ამერიკის ურთიერთობაში დადგა სამი წლის წინათ, როცა პუტინმა მთელ მსოფლიოს უჩვენა, რომ რუსეთს ჰქონდა ზემძლავრი და სუპერთანამედროვე იარაღი.** სწორედ ამის შემდეგ გადაწყდა, დაეგეგმათ უკრაინაში ის, რაც დღეს ხდება.

**— ამერიკას ამით რა ხეირი?**

— ამერიკამ უკრაინის ომით მიწასთან გაასწორა ევროპის ეკონომიკა, გაასაღა მოძველებული იარაღი და შეამოწმა მოკავშირეების ლოიალობა ამერიკის მიმართ! ამერიკელების უმთავრესი მიზანია, ევროპული საწარმოები გადაიტანონ ამერიკაში, რადგან ჩინეთიდან ვაშინგტონმა ყველა ამერიკული ქარხანა უკან ვერ დაიბრუნა. უკვე რამდენიმე გერმანულმა ქარხანამ განაცხადა იმის შესახებ, რომ სამუშაოდ ამერიკაში გადადის. სწორედ ეს უნდოდა ამერიკას — მან ეკონომიკურად გაანადგურა მოკავშირე ევროპა და აწი შეეცდება, ეკონომიკურად მოგუდის ჩინეთიც, რომელიც გიგანტური ნაბიჯებით მიიწევს წინ!

**— რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ პუტინს ოკუპირებული უკრაინული მიწების დატოვება მოუწევს?**

— ალბათ, ეს არ მოხდება, რადგან ამ შემთხვევაში პუტინი ატომურ თუ არა, ნეიტრონულ ბომბს აუცილებლად გამოიყენებს! ნეიტრონული ბომბი ტაქტიკური იარაღია, რომლის რადიაციული ზემოქმედება მაქსიმუმ 72 საათში ქრება, სამაგიეროდ, გააჩნია დამანგრეველი ეფექტი.

**— თუ დასავლეთმაც გამოიყენა იგივე იარაღი, მაშინ რა იქნება?**

— მაშინ დასავლეთის ხელისუფლებები, უბრალოდ, აღარ იარსებებენ! ამერიკას დღეს ისე არავინ სურს რუსეთის ხელისუფლებაში, როგორც პუტინი, რადგან ძმური ერები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, ევროპა ეკონომიკურად ნადგურდება, ხოლო ის 32 ლაბორატორია, რომლებიც ამერიკელებმა უკრაინის ტერიტორიაზე შექმნეს, მუშაობს და გუგუნებს!

**— რაზე მუშაობს, რას აკეთებენ იმ ლაბორატორიებში?**

— ეს კაციშვილმა არ იცის, მაგრამ ბოლოს, ხომ იცით, ყველაფერი გამომზეურდება ზუსტად ისე, როგორც ახლა გახდა ცნობილი რომ ჩინეთში, ქალაქ უხანში, საიდანაც კორონაპანდემია გავრცელდა, ჯორჯ სოროსსა და ბილ გეითსს აშენებული აქვთ ლაბორატორია, რომლის ერთ-ერთი მთავარი მოწილე გახლავთ კომპანია „ფაიზერი“!

**— ყველა თავის თავს მიხედავს, მაგრამ ჩვენ რა გვეშველება და რა პერსპექტივა გვაქვს აფხაზეთისა და ცხინვალის დასაბრუნებლად?**

— ცხადია, აფხაზეთისა და ცხინვალის დასაბრუნებლად წამალი არ არსებობს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სამყაროს მართავს ინტერესები, მაშინ მთლად უიმედო მდგომარეობაც არ გვაქვს. 1996 წელს შევარდნაძეს ჩამოვუტანე გუდაუთის მაღლივი ნავთობსაბადოს რუკა და მონაცემები, რომლებიც პირადად რუსეთის ბუნებრივი რესურსების მინისტრმა **ვიქტორ პეტროვიჩ ორლოვმა** და მისმა მოადგილემ **ივან ფიოდოროვიჩ გლუმოვმა** გადმომცეს. გლუმოვი ცოცხალია, შელფის კვლევის საქმეში ნომერ პირველი ადამიანია და დღესაც არქტიკის შელფზე მუშაობს. **მათ მიერ მოწოდებული ცნობების თანახმად, რომელიც უტყუარია, მთელი გუდაუთა ნავთობზე დგას, რომლის რაოდენობაც, სულ მცირე, 500 მილიონი ტონაა...** ეს ძალიან სერიოზული მარაგია. მონაცემები ამ ნავთობმარაგების შესახებ, რომელიც დისკზე იყო ჩაწერილი, მოსკოვიდან პირადად ჩამოვუტანე შევარდნაძეს და ვუთხარი — ჩვენ შეგვიძლია, აფხაზებთან ერთად გავაკეთოთ საწარმო, საერთო ადმინისტრაცია შევქმნათ და ნორვეგიელები, რომლებმაც ამერიკელებს ტენდერი მოუგეს, გემით ამ ნავთობს ამოქაჩავენ-მეთქი! **აი, ეს იქნებოდა აფხაზეთის დაბრუნების გასაღები, მაგრამ შევარდნაძემ ხმა არ ამოიღო და გაჩუმდა. რუსები გველოდნენ, გველოდნენ და არაფერი რომ არ გავაკეთეთ, ხელი ჩაიქნიეს.** იყო წინადადება, რომ გუდაუთის მაღლობიდან ნავთობის ამოქაჩვა დაეწყო „როსნეფტს“, მაგრამ რუსებმა რატომღაც მაინც თავი შეიკავეს... **სხვათა შორის, გუდაუთის მაღლობიდან, სადაც 500 მილიონი ტონა ნავთობის მარაგია, ერთი ძარღვი ანაკლიისკენ მოდის.**

## „სანამ ზურაბ ჟვანია ცოცხალი იყო, ამერიკელები და სააკაშვილი ცხინვალის ავანტიურას ვერ ახორციელებდნენ, ამიტომაც დაიგეგმა მისი მოშორება, რაც აღასრულეს კიდეც!“

**სწორედ უზარმაზარი ნავთობსაბადოა მიზეზი, რის გამოც ანაკლიაში ამერიკელები გვიჩხიკინებენ!** შევარდნაძემ ჩემ მიერ მიწოდებული მასალები, ეტყობა, უდიდეს ამერიკულ ნავთობკორპორაცია „შევრონს“ გადასცა, რომელმაც ანაკლიაში გაბურღვა დაიწყო, მაგრამ გასაგები მიზეზების გამო ეს საქმე დაკონსერვებულია...

**— როგორ შევა საქართველოს ისტორიაში შევარდნაძე?**

— შევარდნაძემ იცოდა, რომ აფხაზეთი უნდა ჩაებარებინა! აქედან გამომდინარე, ალბათ, გასაგებია, თუ როგორ შევა ის საქართველოს ისტორიაში...

**— ზვიად გამსახურდიაზე რას იტყვის ისტორია?**

— ზვიადს, რომელიც იყო უგანათლებულესი პიროვნება, სახელმწიფოს მართვის გამოცდილება არ ჰქონდა, მაგრამ ის საქართველოს წინაშე პირნათელია. ზვიად გამსახურდიას სამშობლოსთვის არ უღალატია და საქართველოს შეეწირა!

**— როგორ შევა ისტორიაში სააკაშვილი?**

— სააკაშვილი არის ავანტიურისტი და ავადმყოფი, რომელმაც შევარდნაძის მსგავსად იცოდა, რომ ცხინვალი უნდა ჩაებარებინა... ეს არის მოღალატე, რომელმაც დაღუპა ქვეყანა!

**— ჩაითრევენ თუ არა საქართველოს უკრაინის ომში?**

— პირდაპირ ვაცხადებ: **თუ საქართველო ამ ხელისუფლებას ვერ შეინარჩუნებს, ქვეყანას უკრაინის ომში ჩაითრევენ!**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***



## „ჯერ კიდევ იმპერატრიცა ეკატერინე მეორის ეპოქიდან მოყოლებული, ხერსონი, ზაპოროჟიე, დნეპროპეტროვსკი და ოდესა ებრაელების საცხოვრებელ ტერიტორიად გამოცხადდა!“

## კვირგვინოსნები



**ერეკლე ქუხიანიძე**
*თბილისის საკრებულოს წევრი*

მიუხედავად **კალაძისადმი** ჩემი უარყოფითი დამოკიდებულებისა, **მასზე ამ უბედურების გადაბრალება არ მიმაჩნია მართებულად.**

„GTMEDIA“



**მაია ბითაძე**
*პარლამენტარი*

დიდი ტყუილია **ლევან ხაბეიშვილის** განცხადება, თითქოს ვარკეთილის მეტროს ჭერის დამპროექტებელი იყო იგივე, ვინც შადრევნის პროექტი დააპროექტა. სამარცხვინოა, როდესაც ვიღაცის მსხვერპლშეწირვას ითხოვთ და თვითონ არაფერს აკეთებთ, რომ რეგულაციები გამოსწორდეს. კიდევ ერთხელ მოგიწოდებთ, **დაანებეთ თავი ჩვენი ქვეყნის გაშავებას ქვეყნის შიგნით და გარეთ** და დაუბრუნდით იმ საქმიანობას, რისთვისაც ხალხმა აგირჩიათ.

„ინტერპრესნიუსი“



**ირაკლი ზარქუა**
*პარლამენტარი*

ყოველთვის ასე იქნებით პოლიტიკურად მიჩანაკებული — **ტრაგედიებზე მონადირენი ხართ,** როგორ არ გრცხვენიათ?! რამე წმინდა არ გაგაჩნიათ, კაცო? **აი, ეს არის ჩვენი რადიკალური ოპოზიციის სახე.**

**კახი კალაძე** იმიტომ გყავთ გაჩხერილი ყელში, რომ სხვა ლიდერებთან ერთად **პოლიტიკურად დაგამთავრათ** როგორც დედაქალაქში, ასევე მთელ საქართველოში და ამას ვერ პატიობთ. ყველანაირად გინდათ, ის გაანეიტრალოთ, მაგრამ არ გამოგივათ.

„ინტერპრესნიუსი“



**ირაკლი ზათიაშვილი**
*პოლიტოლოგი*

ვინც ტრაგედიას **კახა კალაძის** წინააღმდეგ პოლიტიკური სპეკულაციისთვის თვალთმაქცურად იყენებს, ყოვლად უზნეო ადამიანია.

„აიპრესი“



**გია ვოლსკი**
*პარლამენტარი*

26 მაისს, როცა ადამიანი განზრახ მოკლეს, თავი იმით იმართლეს, რომ **დენმა დაარტყა,** მაშინ ეს, თურმე, ნორმალური ამბავი ყოფილა — **ოპოზიციის ნაწილი ტრაგედიიდან ტრაგედიამდე ცხოვრობს.**

„ინტერპრესნიუსი“

# საშიში საშენი მასალები, საყოფაცხოვრებო ნივთები, საწმენდი საშუალებები და კოსმეტიკური პროდუქცია!



## კახა საბახტარიშვილი:

# ვისაც სახლი ე.წ. შიფერით გაქვთ დახურული და საკვამურად ან სხვა დანიშნულებით აზბესტის მილებს იყენებთ, დაუყოვნებლივ გადაყარეთ და კიბოს გამომწვევი საშიში სამშენებლო მასალები ეზო-კარს მოაშორეთ!

***ცნობილი ჰომეოპათი, ექიმი კახა საბახტარიშვილი იმ საშიშ მასალებსა და ნივთებს ჩამოთვლის, რომელთა გარემოცვაშიც თითოეული ჩვენგანი ცხოვრობს. ქართველი მეცნიერის განცხადებით, თუ საცხოვრებელ სახლში მობინადრეთა მეხუთედი თავის ტკივილს, გულისცემის აჩქარებას, მოთენთილობასა და გადაღლას უჩივის, მაშინ ასეთი სახლი ჯანმრთელობისთვის საშიშია!***

— ადამიანის ჯანმრთელობაზე საყოფაცხოვრებო პირობები და საცხოვრებელი გარემო უდიდეს გავლენას ახდენს. შესაძლოა, ადამიანი აბსოლუტურად ჯანსაღად იკვებებოდეს და ჯანსაღი ცხოვრების წესს მისდევდეს, მაგრამ დროის უდიდესი ნაწილი გაატაროს ისეთ სახლში, რომელიც სიცოცხლისთვის საშიში სამშენებლო მასალებით არის აგებული. იგივე შეიძლება ითქვას საყოფაცხოვრებო ნივთებსა და სარეცხ თუ საწმენდ საშუალებებზე.

ადრე, როგორც წესი, ამას ყურადღებას არ აქცევდნენ, მაგრამ 1982 წელს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ დაამკვიდრა ტერმინი **„ავადმყოფი შენობის სინდრომი“**, რაც იმას ნიშნავს, რომ, თუ სახლის ან კორპუსის მაცხოვრებელთა ერთი მეხუთედი ყოველგვარი მიზეზის გარეშე დისკომფორტს განიცდის, მაშინ ასეთი საცხოვრებელი ჯანმრთელობისთვის სახიფათოა!

**— ბატონო კახა, რა იგულისხმება დისკომფორტში?**

— დისკომფორტში იგულისხმება ყოველგვარი მიზეზის გარეშე გამოწვეული დაღლილობა, მოთენთილობა, თავის ტკივილი, გულისცემის აჩქარება, უძილობა და ა.შ. **ყველა ეს სიმპტომი შესაძლოა, სრულიად ჯანმრთელ ადამიანს განუვითარდეს ისეთ სახლში ცხოვრებისას, სადაც ჯანმრთელობისთვის საშიში საშენი მასალები გამოიყენეს.** გამორიცხული არ არის, ზემოხსენებული სიმპტომები გამოიწვიოს ავეჯმაც, რომელიც უხარისხო და მავნებელი მასალისგან დამზადდა.

**— მაინც რომელია საშიში საშენი მასალები, რომელსაც უნდა ვერიდოთ?**

— ერთ საგაზეთო საუბარში ამ პრობლემას სრულად ვერ გავწვდებით, მაგრამ ძირითად საკითხებს მაინც შევეხოთ. დავიწყოთ სახლის სახურავით, რისთვისაც ადრე ხშირად ე.წ. შიფერი გამოიყენებოდა. შიფერი დაპრესილი აზბესტის ბოჭკოა, თავად ასბესტი ბუნებრივი მასალაა, არ იწვის, მაგრამ დროთა განმავლობაში შიფერში შემავალი აზბესტის ბოჭკოები იშლება... ეს ბოჭკოები იმდენად მსუბუქია, ჰაერშიც კი ფარფატებს და მოხვდება თუ არა ადამიანის ფილტვებში, ილექება. ფილტვი მას გარეთ ვერ გამოყოფს, ხოლო ფილტვში დალექილი აზბესტის ბოჭკო, რომელიც კანცეროგენურია, კიბოს იწვევს. ამიტომაც ყველა ცივილურ ქვეყანაში, აზბესტისგან დამზადებული შიფერი, მილები, ფილები თუ სხვა სამშენებლო მასალები აკრძალულია! აქედან გამომდინარე, ჩვენი რჩევაა, **ვისაც სახლი ე.წ. შიფერით გაქვთ დახურული და საკვამურად ან სხვა დანიშნულებით აზბესტის მილებს იყენებთ, დაუყოვნებლივ გადაყარეთ და კიბოს გამომწვევი საშიში სამშენებლო მასალები ეზო-კარს მოაშორეთ!** სახლის გადასახურად მამაპაპურ კრამიტს არაფერი სჯობს! **აზბესტზე ბევრად უფრო საშიშია ე.წ. მინა-ბოჭკო, რომელსაც ჩვენში „სტეკლოვატას“ ეძახიან...** მინა-ბამბა თბოიზოლაციისათვის მართლაც ეფექტურია, მაგრამ კიბოს იწვევს და ასევე უნდა ვერიდოთ.

**— კი მაგრამ, მინა-ბამბა კიბოს როგორღა იწვევს?**

— მინა-ბოჭკოს ძირითადი შემადგენელი ნაწილი ქვიშისგან სპეციალური ტექნოლოგიით მიღებული უწვრილესი ძაფებია. ისინი მყიფეა და ადვილად იმტვრევა, ხოლო წარმოქმნილი მტვერი, როგორც კი ფილტვებში მოხვდება, სამუდამოდ რჩება და იწვევს უმძიმეს დაავადებას **სილიკოზს.**

როდესაც სამედიცინო ინსტიტუტში ვსწავლობდი, ჰიგიენას გვიკითხავდა ამ დარგის ფუძემდებელი საქართველოში, პროფესორი **ვასო კაციტაძე.** ხუმრობით სწორედ მას უყვარდა ასეთი გამოთქმა — **„ვაი შენ და, სილიკოზი!“ ეს იმდენად საშინელი პროფესიული დაავადებაა, მტერსაც არ ვუსურვებ და ხშირად ემართებათ იმათ, ვისაც მინა-ბოჭკოსთან და სილიკატურ პროდუქტებთან აქვთ კავშირი.** ასეთი ადამიანების ფილტვებში სილიციუმის დიოქსიდი გროვდება, რომელიც საბოლოო ჯამში ფილტვის კიბოს იწვევს. **მინა-ბოჭკო იმითაც არის სახიფათო, რომ ბოჭკოების შემკვრელად და კონსერვანტად ფენოლი და ფორმალდეჰიდი გამოიყენება, რომლებიც კიბოს გამომწვევი უძლიერესი კანცეროგენებია.**

**— რას იტყვით ე.წ. „გიპსოკარდონის“ შესახებ, რომელზეც დღეს ძალიან დიდი მოთხოვნილებაა?**

— „გიფსოკარდონი“ სინამდვილეში **თაბაშირია,** რომელიც ქაღალდის ფენებს შორის არის მოქცეული. ნორმალურ პირობებში ის აბსოლუტურად უვნებელია, მაგრამ საქართველოში რომელი „გიფსოკარდონიც“ იყიდება, უმეტესად დაბალი ხარისხისაა და თაბაშირში ბევრი მავნე მინარევია. გირჩევთ, იყიდოთ მხოლოდ სერტიფიცირებული და ევროპული ხარისხის მუყაოთაბაშირის ფილა და უარი ვთქვათ საეჭვო წარმოშობის ანალოგებზე.

სხვათაშორის, ერთ-ერთი გამორჩეულად საშიში მასალაა ლინოლეუმიც...

**— რატომ?**

— ლინოლეუმი ორი სახისაა — ბუნებრივი და სინთეტური. ბუნებრივი ლინოლეუმი მხოლოდ და მხოლოდ ნატურალური კომპონენტებისაგან შედგება და მის ძირითად ნაწილს წარმოადგენს ინდოეთში გავრცელებული ჯუთის ხისგან მიღებული ბოჭკოები, ხოლო შემკვრელად გამოყენებულია სელის ზეთი. ცხადია, ასეთი ლინოლეუმის ფასი, რომელიც სრულიად უვნებელია, ძალიან მაღალია, ამიტომ საყოფაცხოვრებო ქიმიის გამოყენებით ამზადებენ მის სინთეტიკურ ანალოგს, რომელიც შემკვრელად ისევ და ისევ ფენოლსა და ფორმალდეჰიდს შეიცავს. **საკმარისია, ასეთი ლინოლეუმის**





> **„როდესაც სამედიცინო ინსტიტუტში ვსწავლობდი, ჰიგიენას გვიკითხავდა ამ დარგის ფუძემდებელი საქართველოში, პროფესორი ვასო კაციტაძე. ხუმრობით სწორედ მას უყვარდა ასეთი გამოთქმა – „ვაი შენ და, სილიკოზი!“**

## კვირგვინოსნები

**ლამარა ვაშაკიძე**
*მსახიობი*



შინაგანად 50 წლის ვარ და უფრო ახალგაზრდაც. **ნუშის რძით ვიწმენდ სახეს,** რომ დამიტენიანდეს. ეს რომ შეშრება, **აბუსალათინის ზეთს ვისვამ თვალებთან,** რომ ნაოჭი არ გაჩნდეს. სახის კანმა უნდა ისუნთქოს. მე ნაოჭები არ მაქვს. მომავალი წლის 8 თებერვალს **90 წლის ვხდები.**

„სარკე“

**ანასტასია ბენდუქიძე**
*კახა ბენდუქიძის ქალიშვილი*



კახა მკაცრი მამა იყო. **ფულს საერთოდ არ მაძლევდა და ამიტომ 14 წლის ასაკში დიდ ბრიტანეთში ოდნავ არალეგალური საქმე მქონდა.** სადაც ვცხოვრობდი, ვყიდულობდი სიგარეტს იმიტომ, რომ იქ იაფი იყო და შემდეგ დიდ ბრიტანეთში სამჯერ ძვირად ვყიდდი.

„სარკე“

**ნინი შერმადინი**
*მომღერალი*



ამერიკამ დამანახა, რამდენად **ძლიერი და დამოუკიდებელი ვარ.** ისე მაცვია, რაც მომწონს და როგორც მინდა, რისი საშუალებაც საქართველოში არ მქონდა.

„თბილისელები“

**ანზორ ოღიშარია**
*ეზოთერიკოსი*



**თუ გინდათ, ქმარი დაცული იყოს** სხვა მდედრობითი სქესის წარმომადგენლების გავლენებისგან, **მას ქამარი აჩუქეთ,** ატაროს.

„თბილისელები“

**ზედა დამცავი ფენა დაზიანდეს, ფენოლი და ფორმალდეჰიდი უმალ იწყებს აორთქლებას.** თუ ასეთი ლინოლეუმი სამზარეულოშია დაგებული, სადაც მაღალი ტემპერატურაა, ჩათვალეთ, რომ დიასახლისი მთელი დღის განმავლობაში კიბოს გამომწვევ ჰაერს სუნთქავს! პროცესი განსაკუთრებით აქტიურდება +27ºC-ის პირობებში. არადა, ბოლო დრომდე ლინოლეუმს იყენებდნენ საავადმყოფოებსა და საოპერაციოებშიც კი, რაც დიდი შეცდომა გახლდათ.

**— ბატონო კახა, ლინოლეუმი აქტიურად შეცვალა ლამინატმა, კაფელმა და მეტლახმა... რას იტყვით მათ შესახებ და რამდენად უსაფრთხოა ისინი ჩვენი ჯანმრთელობისათვის?**

— კაფელი და მეტლახი აბსოლუტურად უსაფრთხო საშენი მასალებია, თუ შემთხვევით რადიაქტიურ მინარევებს არ შეიცავს! ისინი ადვილად იწმინდება და ბაქტერიებისა და სოკოების მოშორება-მოსპობაც ადვილია. რაც შეეხება ლამინატს, იგი ხელოვნური მასალაა, მაღალხარისხოვანი პროდუქცია ჯანმრთელობისთვის უსაფრთხოა, მაგრამ როცა ლამინატი დაბალი ხარისხისაა, **მაღალი ტემპერატურის პირობებში** აუცილებლად გამოყოფს ფორმალინსა და ფორმალდეჰიდს. გვახსოვდეს — ხის იატაკსა და პარკეტს ვერაფერი შეედრება! ცნობისათვის: **უხარისხო ლამინატი ორმაგად საშიშია, როცა იატაკის ქვეშ გათბობის სისტემაა მოწყობილი.** ამასთან, ლამინატის ყიდვისას ყურადღება მიაქციეთ, ხომ არ არის მასზე მარკირებული E2 ან E3. თუ ასეთი რამ ლამინატზე შენიშნეთ, არ გაეკაროთ, რადგან ის დიდი რაოდენობით ტოქსიკურ გაზს შეიცავს და მთელ ბინას მოგიწამლავთ!

**— თქვენ ზემოთ საშიში ავეჯიც ახსენეთ!**

— ბოლო დროს ტრენდული გახდა **„ემდეეფისა“ და „დეესპეს“** ავეჯი, რომელმაც ხის ავეჯი განდევნა. **„ემდეეფი“** ინგლისური აბრევიატურაა და ქართულად „საშუალო სიმკვრივის ფირფიტას“ აღნიშნავს. „ემდეეფისგან“ დამზადებულ ავეჯს ძირითადად სამზარეულოში იყენებენ, იგი ზემოდან, როგორც წესი, პოლივინილქლორიდის ფენით იფარება, რომელიც მავნე არ გახლავთ, მაგრამ, თუ ზედაპირი დაზიანდა, მაშინ „ემდეეფის“ შემცველი ფენოლი გარემოში თავისუფლად გამოიყოფა და ასეთი ავეჯი უკვე საშიშია...

მშენებლობაში აქტიურად გამოიყენება **„დეესპეც“.** იგი მე-20 საუკუნის 30-იან წლებში გამოიგონეს, როცა გერმანიასა და შვეიცარიაში ხის დეფიციტი იყო. დამზადების ტექნოლოგია მარტივია — ნახერხი და ხე-ტყის გადამუშავების შედეგად ნარჩენი პროდუქტები იკვრება **ფორმალდეჰიდის ფისით,** რომლის შემცველობაც მასალაში 18 პროცენტს აღწევს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ, თუ „დეესპესგან“ დამზადებული ავეჯი 150 კილოგრამს იწონის, აქედან 25 კილოგრამი ფორმალდეჰიდის ფისია! **მაღალ ტემპერატურაზე, მაგალითად, ზაფხულის სიცხეში, ეს ფისი ორთქლდება და ჰაერი კიბოს გამომწვევი უძლიერესი კანცეროგენური მასალებით იჟღინთება.** „დეესპესგან“ დამზადებული ავეჯი კიბოს გამომწვევი მძლავრი კერაა, რომელიც ყოველდღე გვწამლავს! ამიტომ გირჩევთ: **„დეესპესგან“ დამზადებული ნივთები არ გაიკაროთ და ხისგან დამზადებულ ავეჯს დაუბრუნდით!**




## „დეესპესგან“ დამზადებული ნივთები არ გაიკაროთ და ხისგან დამზადებულ ავეჯს დაუბრუნდით!“

**— ავეჯისა და სამშენებლო მასალების გარდა, ადამიანს ყოველდღიური ურთიერთობა აქვს სარეცხ, სახეხ და საყოფაცხოვრებო ქიმიის არაერთ საშუალებასთან, რომელთა ასორტიმენტიც კატასტროფულად იზრდება. რას იტყვით ამის შესახებ?**

— ალუმინის ჭურჭელში საჭმლის მომზადება არასასურველია. საუკეთესო და უსაფრთხოა მამაპაპური, თუჯისგან დამზადებული ჭურჭლეული! საშიშია სპილენძის ნაკეთობანიც, მათ შორის, არყის ქვაბები! **სპილენძი მიკროელემენტის სახით ორგანიზმისთვის აუცილებელია, მაგრამ არყის გამოხდისას მაღალ ტემპერატურაზე იგი დიდი რაოდენობით ხვდება არაყში და დროთა განმავლობაში ღვიძლში ილექება, რაც ღვიძლის კიბოს რისკს ზრდის.**



საერთოდ, ცნობილია, რომ სპირტიანი სასმელები ღვიძლის სიმსივნის რისკ-ფაქტორია. ჩემი აზრით, ამ რისკს მნიშვნელოვნად განაპირობებს სწორედ სპილენძი, რომელიც არყის მეშვეობით ღვიძლში ხვდება...

რაც შეეხება ჭურჭლის სარეცხ საშუალებებს, დღეს ამ სფეროში იმდენად დიდი არჩევანია, ალბათ, თითოეული სარეცხი პროდუქტის დასახელება და მათი მავნე ზემოქმედების აღწერა აზრს კარგავს. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ ჩვენი წინაპრები ჭურჭელს იდეალურად რეცხავდნენ აბსოლუტურად ბუნებრივი საშუალებებით. მაგალითად, ჩაიდნის ან ქვაბის გაშავებული შიდა კედლების გამოსათეთრებლად მასში ვაშლის კანს ხარშავდნენ, ხოლო ალუმინის ჭურჭლის გასაკრიალებლად იყენებდნენ კომბოსტოს ფოთლებს, რომლებსაც ხის ნაცარს ურევდნენ. ცნობისათვის: ხორცსაკეპის გასაწმენდად შეუდარებელია ნედლი კარტოფილი, რომელსაც მასში ატარებენ. ყველაზე ბუნებრივი და არაჩვეულებრივი კი მაინც ძმარი და სოდაა. საქმე ის გახლავთ, რომ **სოდაში ცხიმის ნაწილაკები იმაზე ბევრად უფრო უკეთ და ეფექტურად იშლება, ვიდრე ამას დღეს ეგზოტიკური ჭურჭლის სარეცხი ქიმიური საშუალება „ფეირი“ და მისი მსგავსი პროდუქტები აკეთებს.** ძმარი ჭურჭელს არამარტო წმენდს, არამედ დეზინფექციასაც უკეთებს.

ოჯახურ პირობებში ყველაზე ბუნებრივი, უსაფრთხო და ეფექტური ჭურჭლის სარეცხი და საწმენდი საშუალება ასე შეიძლება დავამზადოთ: **ავიღოთ 200 გრამი 72-პროცენტიანი სარეცხი საპონი, გავხეხოთ სახეხით, დავასხათ ნახევარი ლიტრი ცხელი წყალი, მიქსერით კარგად ავთქვიფოთ, დავუმატოთ 2-3 სუფრის კოვზი მდოგვი, 300 გრამი სოდა, 2-3 სუფრის კოვზი დაფქული ყავა, 3 სუფრის კოვზი გლიცერინი და სასიამოვნო არომატის მისაცემად დავაწვეთოთ მანდარინის ან ფორთოხლის 5 წვეთი ეთერზეთი,** რომელიც ყველა აფთიაქში იყიდება. ეს ყველაფერი კიდევ ერთხელ ავთქვიფოთ. მიღებული მასა უნიკალური, ბუნებრივი და ეფექტური ჭურჭლის სარეცხი და საწმენდი საშუალებაა, რომელიც ოთახის პირობებში შეგვიძლია მინის ქილაში შევინახოთ და ნელ-ნელა საჭიროებისამებრ გამოვიყენოთ!



## „ლამინატის ყიდვისას ყურადღება მიაქციეთ, ხომ არ არის მასზე მარკირებული E2 ან E3. თუ ასეთი რამ ლამინატზე შენიშნეთ, არ გაეკაროთ, რადგან ის დიდი რაოდენობით ტოქსიკურ გაზს შეიცავს და მთელ ბინას მოგიწამლავთ!“

საკანალიზაციო მილების გასაწმენდად არაჩვეულებრივია ე.წ. „კროტი“, ოღონდ ერთი პირობით — არ დაუშვათ მისი თუნდაც ერთი წვეთის მოხვედრა კანზე და ან შესუნთქვა უნიტაზში ან ნიჟარასა და ე.წ. ტრაპში ჩასხმისას. „კროტის“ გამოყენების შემდეგ ოთახი სასწრაფოდ უნდა გავანიავოთ!

**— რას იტყვით სხვადასხვა შამპუნისა და სუნამო-დეზოდორის შესახებ?**

— ჩვენი წინაპრები თავს თიხით იბანდნენ, რომელსაც „თავსაბან მიწას“ ეძახდნენ... ეს არის თიხის ერთ-ერთი სახეობა, რომელსაც **გუმბრინი** ჰქვია. გუმბრინი სამკურნალო საშუალებაცაა, რომელიც თმას ამაგრებს, კვებავს და ბზინვარებას აძლევს, ებრძვის ქერტლს. **ამ საოცარ პროდუქტზე ჩვენ ცალკე საუბარი გვექნება.**

რაც შეეხება შამპუნებს, სუნამოებსა და დეზოდორანტებს, მათ აბსოლუტურ უმრავლესობაში ვარგისიანობის ვადის გასაზრდელად ამატებენ სინთეზურ კონსერვანტებს, ანუ პარაბენებს. მათ ანტისეპტიკური და სოკოს საწინააღმდეგო თვისებები გააჩნიათ, მაგრამ ბოლო პერიოდში დადგინდა, რომ მკერდის სიმსივნის მაპროვოცირებელია. თუმცა, ამაზე უფრო დაწვრილებით შემდგომ.

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**ანზორ მესხიშვილი**
*სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი*



ახლა შემოყვანილი უცხოელები შემდგომში აქვე დაიდებენ ბინას, შექმნიან ოჯახებს და გამრავლდებიან. **ბაზალეთის ტბაზე 200 ჰექტარი გამოუყვეს არაბებს ქალაქის ასაშენებლად. კასპის რაიონშიც, გიორგი საакაძის სოფელთან, გამოუყვეს მიწის ნაკვეთი არაბებისა და ეგვიპტელებისთვის სოფლის გასაშენებლად.** ქართული მიწები, სამწუხაროდ, იყიდება.

„რეზონანსი“

**მერაბ კოკოჩაშვილი**
*რეჟისორი*



იცით, თბილისში გამავალი თუ მომავალი სტუმარი რას ეძახდა თბილისს? **„სიხარულის სახლს“.** თბილისელებს შეეძლოთ, სიხარული მოეტანათ. რატომ? იმიტომ, რომ ჩვენ ტოლერანტულები ვიყავით. მინდა, ჩემი თბილისი ისევ **„სიხარულის სახლად“** იქცეს.

„კვირის პალიტრა“

**ირაკლი პეტრიაშვილი**
*პროფკავშირების გაერთიანების თავმჯდომარე*



**საშუალო კვალიფიკაციის მუშახელის სერიოზული პრობლემაა** და ეს კიდევ გაიზრდება, **ვიდრე ძუნწი დამსაქმებლები ჯიბეზე ხელს არ გაიკრავენ** და დასაქმებულებს შესაბამის ხელფასს არ მისცემენ.

„ინტერპრესნიუსი“

**გეგე სულხანიშვილი**
*მხატვარი*



მთელი ჩემი ცხოვრება **ოპოზიცია მიყვარდა,** მაგრამ ამ **ოპოზიციამ შემაჯავრა ყველაფერი.**

„კვირის პალიტრა“

# «გახსოვდეთ: კიბოს პროფილაქტიკის საუკეთესო საშუალება ადრეულ სტადიაზე მისი გამოვლენაა!“




## მარინა თოფურიძე:

# დროულად აღმოაჩინეთ საფრთხე!

***დღემდე მსოფლიოში სიმსივნე სიკვდილიანობის ერთ-ერთ უპირველეს მიზეზს წარმოადგენს და ამ მხრივ არც საქართველოა გამონაკლისი. ქვეყანაში სახელმწიფო პროგრამის არსებობის მიუხედავად, რომელიც სკრინინგულ კვლევებს აფინანსებს, ამ სიკეთით მოსახლეობის ძალიან მცირე პროცენტი სარგებლობს. რა კვლევებს აფინანსებს კიბოს სკრინინგის სახელმწიფო პროგრამა, ვის შეუძლია ისარგებლოს აღნიშნული უფასო გამოკვლევებით და რაში მდგომარეობს სკრინინგის სარგებელი? — ამ და სხვა ჩვენი ჯანმრთელობისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხებზე დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ჯანმრთელობის ხელშეწყობის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი მარინა თოფურიძე გვესაუბრება.***

**— ქალბატონო მარინა, სიმსივნური დაავადებები 21-ე საუკუნეშიც უდიდეს გამოწვევად რჩება. როგორ ებრძვის ჩვენი ქვეყნის ჯანდაცვის სისტემა აღნიშნულ პრობლემას?**

— საბედნიეროდ, დღეისათვის კიბოს შემთხვევათა 30-50 პროცენტის თავიდან აცილება უკვე შესაძლებელია რისკ-ფაქტორების პრევენციული სტრატეგიის აღსრულებით, დაავადების ადრეული გამოვლენითა და შესაბამისი მკურნალობით. 2011 წლიდან საქართველოში საქართველოს ნებისმიერი მოქალაქისათვის ხელმისაწვდომია სხვადასხვა ლოკალიზაციის კიბოს სკრინინგის პროგრამა, ხოლო კიბოს ადრეული გამოვლენა საგრძნობლად ზრდის წარმატებული მკურნალობის შანსებს.

**— ალბათ, საჭიროა კიბოს სკრინინგის თემის მეტი პოპულარიზაცია, რათა მოსახლეობამ ისარგებლოს იმ სერვისებით, რასაც სახელმწიფო სრულიად უფასოდ სთავაზობს.**

— რასაკვირველია, ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რომ, რაც შეიძლება ბევრმა ადამიანმა იცოდეს კიბოს სკრინინგის მნიშვნელობის შესახებ. მიუხედავად არაერთი საინფორმაციო კამპანიისა, საქართველოში მაინც დაბალია სიმსივნის გამოვლენის მაჩვენებლები.

**— და მაინც, ვისთვის არის უფასო კიბოს სკრინინგი და რა კვლევებს აფინანსებს სახელმწიფო?**

— საქართველოში მოქმედი კიბოს სკრინინგის პროგრამა ითვალისწინებს **ძუძუს, საშვილოსნოს ყელის და მსხვილი ნაწლავის** გამოკვლევას. სერვისები ხელმისაწვდომია სხვადასხვა ქალაქში. კვლევის მიზანია, აღმოაჩინოს შესაბამისი პათოლოგიური ცვლილებები სიმპტომების გამოვლენამდე. **კიბოს რეგულარული სკრინინგი უზრუნველყოფს სიკვდილიანობის მკვეთრ შემცირებას.**

40-70 წლის ასაკის ქალებში ძუძუს კიბოს სკრინინგი ტარდება უფასოდ. პროგრამა უზრუნველყოფს: **მამოგრაფიას,** პათოლოგიური ცვლილებების შემთხვევაში მამოლოგის კონსულტაციას და ექოსკოპიურ გამოკვლევას. ძუძუს კიბოს სკრინინგი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ტარდება 2 წელიწადში ერთხელ.

25-60 წლის ასაკის ქალებში საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი ასევე უფასოდ ტარდება. პროგრამა უზრუნველყოფს **პაპ-ტესტის** ჩატარებას და პათოლოგიური ცვლილებების შემთხვევაში **კოლპოსკოპიას.** საჭიროებისამებრ ხდება ბიოფსიური მასალის აღება და ჰისტოლოგიური გამოკვლევა.

**საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი** სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ტარდება 3 წელიწადში ერთხელ.

**50-70 წლის ასაკის ქალებსა და მამაკაცებში მსხვილი ნაწლავის კიბოს სკრინინგი ტარდება უფასოდ.** პროგრამა უზრუნველყოფს გამოკვლევას **ფარულ სისხლდენაზე.** პათოლოგიური ცვლილებების შემთხვევაში ტარდება **კოლონოსკოპია მორფოლოგიური გამოკვლევით.** მსხვილი ნაწლავის კიბოს სკრინინგი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ტარდება 2 წელიწადში ერთხელ.

**— რა კრიტერიუმით შეირჩა ასაკობრივი ზღვარი?**

— ასაკობრივი ჯგუფი ამა თუ იმ ონკოლოგიური დაავადებების სკრინინგისთვის განსაზღვრულია იმ ასაკის ადამიანების მაქსიმალური მოცვის პრინციპით, ვისაც კიბოს განვითარების ყველაზე მაღალი რისკი აქვთ. ასევე აღსანიშნავია, რომ მოცემული ასაკობრივი ჯგუფის ქალბატონებში სიმსივნით სიკვდილის მთავარ მიზეზს წარმოადგენს **მკერდისა და საშვილოსნოს ყელის კიბო,** ხოლო მამაკაცებში — **მსხვილი ნაწლავის კიბო.**

**— ძალიან საინტერესოა გასული წლის სტატისტიკა — რამდენმა ადამიანმა ისარგებლა უფასო სკრინინგული კვლევებით?**

— სამწუხაროდ, ამ ეტაპზე ჩვენს ქვეყანაში ეს მაჩვენებელი ძალიან დაბალია. კიბოს შემთხვევათა 50 პროცენტზე მეტის დიაგნოსტირება **დაგვიანებულ სტადიაზე** ხდება.

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის 2021 წლის მონაცემებით, გასულ წელს საქართველოში საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი ჩაიტარა 7,6 პროცენტმა, სარძევე ჯირკვლის სკრინინგი — 7,3 პროცენტმა, კოლორექტული სკრინინგი —1,1 პროცენტმა.

**— ადამიანები მოსალოდნელი დიაგნოზის შიშის, მოუცლელობის თუ სხვა მიზეზების გამო თავს იკავებენ სკრინინგული კვლევებისგან... რას ეტყვით ჩვენს მკითხველს, რომელიც ჯერ კიდევ ფიქრობს, გადადგას თუ არა ეს ნაბიჯი?**

— ჩაიტარეთ კიბოს სკრინინგი და აღმოაჩინეთ საფრთხე დროულად, რადგან ეს ჯანმრთელი ცხოვრების და გადარჩენის უპირველესი პირობაა. დაავადების დროული აღმოჩენის და ეფექტური მკურნალობის შედეგად დღეს თავს სრულიად ჯანმრთელად გრძნობს უამრავი ადამიანი, რომელსაც ადრეულ სტადიაზე აღმოაჩნდა სიმსივნე! **25-70 წლამდე ყველა ქალმა და 50-70 წლამდე ყველა კაცმა სისტემატურად უნდა ჩაიტაროს კიბოს სკრინინგი.** სამწუხაროდ, კიბოს შემთხვევათა ნახევარზე მეტის დიაგნოსტირება დაგვიანებულ სტადიაზე ხდება, რაც საგრძნობლად ამცირებს ეფექტური მკურნალობის შანსს!

**თუკი გაგიჩნდებათ სურვილი, იზრუნოთ საკუთარ ჯანმრთელობაზე და სრულიად უფასოდ ჩაიტაროთ კიბოს სკრინინგი, საქართველოს მასშტაბით დეტალური ინფორმაციის მისაღებად დარეკეთ 11 60 01** ან **1505**-ზე ან ეწვიეთ ფეისბუქ-გვერდს „კიბოს სკრინინგი-**Cancer Screening**.




*ესაუბრა*
***მეგი საჯაია***

## კვირგვინოსნები



**გედევან ფოფხაძე**
*ყოფილი პარლამენტარი*

პუტინი ვერ აშანტაჟებს დასავლეთს და **სოზარ სუბარი და დიმიტრი ხუნდაძე** დააშანტაჟებენ?!

„ახალი თაობა“



**გიგა ბუკია**
*კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი*

**ნაციონალურ მოძრაობას ოპოზიციონერობაც არ გამოსდის!**

„ახალი თაობა“



**ლაშა ჩხარტიშვილი**
*ლეიბორისტული პარტიის წევრი*

ოპოზიციამ კონსულტაციები **პარლამენტის ბუფეტში** კი არა, რუსთაველის გამზირზე უნდა დაიწყოს.

„ახალი თაობა“



**დათო ლორთქიფანიძე**
*ყოფილი პარლამენტარი*

დაინტერესდით, პოზიცია და ოპოზიცია **საპარლამენტო დელეგაციებში, ბიუჯეტის დაფინანსებით, ერთად რომ დადიან უცხოეთში,** პარლამენტში ერთად რატომ ვერ მუშაობენ?

„ახალი თაობა“



**თაკო ჩარკვიანი**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*

ხომ ნახეთ „ენდიაის“ კვლევები — **ზოგიერთ პარტიას ის 3 პროცენტიც აღარ აქვს, რაც ჰქონდა.** ამიტომ ჭკვიანად იყოს ყველა. დიდი ამბიცია ნურავის ექნება!

„ახალი თაობა“



**კახა ქემოკლიძე**
*პარტია „საქართველოსთვის“ გენერალური მდივანი*

ოპოზიციური პარტიების ნაწილი არამყარ ღერძზე დგას. **მათ არ იციან, რისთვის იბრძვიან, მათ სიტყვას ძალიან დაბალი ფასი აქვს.** ცვლილებების დრო მოდის! **კოალიციური მთავრობის** დრო მოდის!

„ახალი თაობა“

# კუბილიუსი და კულება,

## ანუ ტკბილ-მწარე მოგონებები ტარაპუნკა და შტეფსელის ფონზე მამა-შვილ გაბაშვილების თანხლებით

***მთელ საბჭოთა კავშირს ახსოვს ცნობილი კიევური დუეტი — „ტარაპუნკა და შტეფსელი“, რომელსაც იუმორისტი იური ტიმოშენკო და ეფიმ ბერიოზინი განასახიერებდნენ. ეს წყვილი იშვიათი ოსტატობით ასრულებდა სხვადასხვა სკეტჩებსა და სასაცილო ეტიუდებს, რომლებსაც უკრაინული და მთელი საბჭოთა პუბლიკა აღფრთოვანებაში მოჰყავდა.***

იმის შემდეგ დიდმა დრომ განვლო... **აყვავებული და აშენებული უკრაინა დღეს მიწასთან არის გასწორებული, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში სასაცილო არაფერია, ხოლო სატირალი — ბევრი...** თუმცა, ომით დანგრეულ და გაჩანაგებულ უკრაინასაც ჰყავს თავისი დუეტი — **კუბილიუსი და კულება,** რომელთა საცირკო ნომრებზეც ერთდროულად შეგვიძლია ვიცინოთ და ვიტიროთ კიდეც. ასე, მაგალითად, **როცა გამოაცხადეს, უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა დმიტრო კულებამ თავის ებრაელ კოლეგას, ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრს ბარე ხუთჯერ მაინც დაურეკა, მაგრამ ყურმილი დაუკიდესო, სწორედ სიცილ-ტირილი ამივარდა...** ეტყობა, გიჟვრაცუა ქართველების შემყურე **კულებამ,** რომლებიც სხვის ომში სიცოცხლეს წირავენ, ჯერ არ იცის, რომ ებრაელი თავის სამშობლოზე წინ არცერთი სახელმწიფოს ინტერესებს არ დააყენებს და უკრაინას ცოცხალი თავით არ მიაწვდის იარაღს იმ რუსეთის წინააღმდეგ, რომელმაც თანამედროვე ისრაელის სახელმწიფოს დაბადებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა. **აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ მაშინ, როცა მთელი ევროპა ფაშისტური საკონცენტრაციო ბანაკებით იყო მოფენილი და ბუხენვალდში, ოსვენციმსა თუ დაჰაუში ებრაელებს გაზის კამერებში გუდავდნენ, სტალინის საბჭოთა კავშირი იყო ერთადერთი სახელმწიფო, სადაც ებრაელთა უფლებები დაცული გახლდათ!**

### უკრაინაში ამ ტიტლიკანა მასხარის – ზელენსკის დროშით მებრძოლი ქართველების გასაგონად ვიტყვით, რომ თავის დროზე ილია ჭავჭავაძემ პეტერბურგში მოღვაწე ქართველ სტუდენტებს კუნძულ კრეტაზე წასვლა და თურქი ოკუპანტების წინააღმდეგ აჯანყებული ბერძენი პატრიოტების მხარდამხარ ბრძოლა აუკრძალა.

**საქართველოს სჭირდებითო, ამოდენა გზაზე იმიტომ წამოსულხართ, რომ თქვენი ცოდნით საქართველოს უნდა გამოადგეთო!** — მოძღვრავდა ქართველებს ილია. არ ჰქონდა მას იმ ევროპის იმედი, რომელიც გუშინაც და დღესაც **შარვალჩახდილი ზურაბ-გირჩი ჯაფარიძის** ინტერესებს უფრო იცავს, ვიდრე ჩაგრული და თავისუფლებისათვის მებრძოლი ერის ქარტიას! **მოგეხსენებათ, 1896 წელს კუნძულ კრეტაზე ბერძნები თურქების წინააღმდეგ აჯანყდნენ. პეტერბურგის ქართველმა სტუდენტობამ სამსონ ფირცხალავას მეთაურობით, ილიას წერილი გამოუგზავნა და ქართველთა განზრახვაზე თავისი მეფური აზრის გამოხატვა სთხოვა. ილიამ ამ პასუხზე დიდხანს იფიქრა და 1897 წლის 5 აპრილს გაზეთ „ივერიაში“ დაწერა:**

> *„ნუ მიწყენთ, რომ მოგახსენოთ ჩემით კი არა, ჩემისა და თქვენის ქვეყნის სახელით: სასწავლებლად წასულხართ, ისწავლეთ, ცოდნა შეიძინეთ, ჯერხანად ნურც აქეთ გადაიხედავთ, ნურც იქეთ, მარტო სწავლა-ცოდნას შეალიეთ თქვენი დღენი და ამ ორის უძლიერესის ფარ-ხმალით მოდით და ეპატრონეთ ქვეყანასა, რომელსაც ჯერ სხვა საველრებელი თქვენს წინაშე არა აქვს რა და რომელიც ამ გზით მოელის თქვენგან ხსნასა და ბედნიერებას. **ქვეყანა იმით კი არ არის უძლური, რომ ღარიბია, არამედ იმითი, რომ მცოდნე, გონებაგახსნილი, გულგანათლებული კაცები არა ჰყავს. აი, თქვენი თავი რად გვიღირს ასე ძვირად, და სიძუნწეში ნურვინ ჩამოგვართმევს, რომ სხვისთვის არც ერთს თქვენგანის თმის ბეწვსაც ვერ ვიმეტებთ: თქვენ თქვენის ქვეყნისათვის ხართ საჭირონი!“***




### კუბილიუსისა და კულებას ტანდემმა „ტარაპუნკასა“ და „შტეფსელის“ დუეტი აქტიურად ჩაანაცვლა, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ, თუ უნიჭიერესი იური ტიმოშენკო და ეფიმ ბერიოზინი აყვავებულ და დამშვენებულ უკრაინას შეჰხაროდნენ, ბოროტი კუბილიუსი და უნიჭო კულება მათი ხელით დაქცეულ და მიწასთან გასწორებულ უკრაინის გარშემო „ვარხალი-ვარხალალოს“ მღერიან!




უკრაინის გარშემო დატრიალებულ ამბებზე სიცილ-ტირილმა განსაკუთრებით მაშინ იმატა, როცა ევროსაბჭოში **დეპუტატ კუბილიუსის** მიერ კალთაგადაფარებული სააკაშვილის რაიხსმარშალი, **მკერდგამხმარი ზურაბ ადეიშვილი** ვიხილე, რომელიც უკრაინული დელეგაციის დროშის ქვეშ ევროპელ უფლებადამცველებთან ერთად უშველებელ მაგიდას უჯდა და უკრაინაში რუსეთის მიერ ჩადენილ ომის დანაშაულებზე კრემლს „განსამართლებდა“.

**კუბილიუსი და კულება** აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ, როცა გაცხადდა — **დანილოვმა და ზელენსკიმ** ბიძინა ივანიშვილის ძმას, რძალსა და ძმისშვილს სანქციები დაუწესესო! მოკლედ, ვიდრე ჩემი უფროსი ძმა, პროფესორი **ედიშერ გვენეტაძე** კუბილიუსს **„კუილიუსად“** გამოაცხადებდა, მანამდე ბევრი წლით ადრე, **სააკაშვილის გარყვნილი რეჟიმის მძლავრობის ჟამს,** „ასავალ-დასავალში“ დაიწერა წერილი **„გაკუების შესახებ“,** რომელიც **გოკა გაბაშვილს, ანუ იმავე „გაკუსა“ და მამამისს — კოტე გაბაშვილს მიეძღვნა...**

**კუილიუს-კუბილიუსსა და კულებას** აშკარად აერთიანებთ ის, რაც **გაკუ გაბაშვილსა და მამამისს — კოტეს...**

### ისტორიის ქარბორიამ მამა-შვილი გაბაშვილები სააკაშვილის გარყვნილ რეჟიმთან ერთად ჩარეცხა. ეჭვი არ გვეპარება, რომ კუბილიუს-კულებაც ჩაირეცხებიან!

***დიტო ჩუბინიძე***




## კვირგვინოსნები

**ვახტანგ ძაბირაძე**
*ექსპერტი*



**ვაშაძე** რატომ უნდა ლაპარაკობდეს დიდ გაერთიანებაზე, არ ვიცი, იქნებ **ჯობს, ჩაიხედოს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგებში და ნახოს, რა მხარდაჭერა მიიღო.** იმისი არ იყოს, მრავალათასიან აქციებს რომ აანონსებს ხოლმე, არადა, საქმე საქმეზე რომ მიდგეს, **რუსთაველზე 20 კაცს ძლივს შეკრებენ.**

„კვირის პალიტრა“

**ლია მუხაშავრია**
*იურისტი*



ყველას მოვუწოდებ, **ნუ დაიბრმავებენ თვალებს, ნუ წაუყრუებენ და გულგრილად ნუ ჩაუვლიან ძალადობის შემთხვევებს,** შემაკავებელი ორდერის დაცვას მარტო მსხვერპლი კი არ უნდა მეთვალყურეობდეს, არამედ მეზობელიც, რომელმაც დაინახა, რომ მოძალადეს აკრძალული აქვს ოჯახთან მიახლოება, მაგრამ მაინც მიდის. რას ელოდება, **დარეკოს, სანამ უბედურება დატრიალდება,** პოლიცია ყველგან ხომ არ იქნება?

„კვირის პალიტრა“

**შალვა ხაჭაპურიძე**
*ადვოკატი*



ხელისუფლების გარკვეულ ჯგუფებს ურჩევნიათ, **სააკაშვილი დარჩეს პოლიტიკურ სივრცეში,** მერე კი თავიანთი წარუმატებლობები**სააკაშვილს** გადააბრალონ. ყველას გასაგონად ვაცხადებ, რომ ეს აღარ გამოვა. **სააკაშვილი ქართული პოლიტიკიდან წასულია!**

„ახალი თაობა“

**ლევან ხაბეიშვილი**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



მე, **ლევან ხაბეიშვილს,** პარტია ნაციონალურ მოძრაობაში არანაირი პოლიტიკური თანამდებობა არ მაინტერესებს, არც მჭირდება და არც მინდა! თუ ნაციონალური მოძრაობა სუსტი იქნება, დამერწმუნეთ, **ბიძინა ივანიშვილის დამარცხება შეუძლებელი გახდება.**

„ახალი თაობა“

## პატიმარ სააკაშვილის ციხეში საკითხავი

# სააკაშვილის „ძალის გამოღვიძება“ და რუსთავის საპყრობილეში მიძინება!




დასაწყისი იხ. „ა-დ“, 2022 წლის №9-43

***„ასავალ-დასავალი“ აგრძელებს მიხეილ სააკაშვილის ქართულ ენაზე დასტამბული მემუარების მიმოხილვას. ეს წიგნი ნაცთა ფიურერმა ჯერ კიდევ უკრაინაში ცხოვრებისას გამოსცა და იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც სწორედ ამ ნაშრომით გეგმავდა საქართველოში სარევოლუციოდ „ძალის გამოღვიძებას“, როგორც ადოლფ ჰიტლერი თავისი „მაინ კამპფით“, ანუ „ჩემი ბრძოლით“!***

**მიხეილ სააკაშვილი** თავის მემუარებში ქება-დიდებას რომ არ იშურებს **ჯორჯ ბუშის** რესპუბლიკური ადმინისტრაციისადმი, იქვე ხაზგასმულად ამუნათებს **ბარაკ ობამას** დემოკრატიულ ადმინისტრაციას, რომელიც ხელისუფლებაში აგვისტოს ომის შემდეგ, 2008 წლის ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების შედეგად მივიდა:

***„როდესაც ხელისუფლებაში ობამა მოვიდა, ბუშთან თბილი ურთიერთობები „წინ დაგვხვდა“. თუმცა, ობამამდეც, პრაქტიკულად, თავიდანვე, 2004 წელს გადაგვეკიდა გავლენიანი „ნიუ-იორკ ტაიმსი“:*** *რედაქციამ, დაუჯერა რა პუტინის პროპაგანდას, გადაწყვიტა, რომ ჩვენ ბუშის პროექტი ვართ, რომ ვარდების რევოლუცია ბუშის ორგანიზებული იყო და საერთოდ, მთელი ჩემი მთავრობა მისი პროექტი იყო.* ***სინამდვილეში, ამერიკის ელჩი რევოლუციის კატეგორიული წინააღმდეგი იყო. ის ჩემზე ამ დრომდე პასკვილებს წერს, არანორმალურს, შმაგსა და ცოფიანს მიწოდებს. ვერ უპატიებია საკუთარი თავისთვის, ვარდების რევოლუცია რომ დაუშვა“*** *(მ. სააკაშვილი, „ძალის გამოღვიძება“, გვ. 204).*

სააკაშვილი ლაპარაკობს საქართველოში ამერიკის ელჩზე **რიჩარდ მაილსზე,** რომელიც 2003 წლის ბოლოს ჯერ კიდევ ასრულებდა თავის დიპლომატიურ მისიას! **არადა, საქართველოში დღემდე მართლაც, ბევრს ჰგონია, რომ ეს „ვარდების რევოლუცია“ სწორედ მაილსის ხელმძღვანელობით მოხდა!** ამ შემთხვევაში სააკაშვილი სიმართლეს ამბობს — **მაილსს მართლა არ სურდა რევოლუცია, რადგან ამერიკის მაშინდელ** (ჯორჯ ბუშის) **ადმინისტრაციას მშვენიერი ურთიერთობები ჰქონდა ედუარდ შევარდნაძესთან და მასზე უკეთესი პარტნიორი ვერც წარმოედგინათ!**

ამის შემდეგ მიხეილ სააკაშვილი **ჯორჯ სოროსთან** მის კავშირებზე მსჯელობაზეც გადადის:

***„აქედანვე დაიბადა იდეა, თითქოს ჩვენ ჯორჯ სოროსის პროდუქტი ვართ. მე მართლაც ვიცნობდი სოროსს, ის ზოგიერთ ჩვენს პროექტს აფინანსებდა — ჯერ სასამართლო რეფორმასთან დაკავშირებით, შემდეგ ჩვენს ახალგაზრდულ ორგანიზაცია „კმარას“, რომელიც ასევე მონაწილეობდა რევოლუციაში. მაგრამ როდესაც რევოლუცია გადამწყვეტ ფაზაში შევიდა, დამირეკა და მთხოვა, ყველაფერი შეგვეჩერებინა, ვითომდა, დიდი ექსცესების საშიშროება არსებობდა“*** *(იქვე, გვ. 205).*

მემუარისტი აქ კი რაღაცას ვირეშმაკობს: თუკი თავისი პირითვე აღიარებს, რომ სოროსი „კმარას“ აფინანსებდა, მერე რაღაზე სთხოვა სააკაშვილს ძლივს დაქოქილი რევოლუციის შეჩერება?! ეს „კმარა“ ხომ ზუსტად რევოლუციის ასაგორებლად შექმნილი დაჯგუფება იყო — ზუსტად იმ დეტალურად გაწერილი გეგმით, რაც მანამდე გააკეთეს სერბეთში, როდესაც **მილოშევიჩის რეჟიმის** დასამხობად შექმნეს იქაური **„კმარა“ — „ოტპორი!“**

სააკაშვილი აქვე იმასაც იხსენებს, რომ „ვარდების რევოლუციას“ **ბუშის ადმინისტრაციის** უგავლენიანესი ეროვნული უსაფრთხოების საბჭოც კი ეწინააღმდეგებოდა:

***„ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატი აქტიურად გვიწევდა წინააღმდეგობას, ვიდრე ბუშმა ჩვენი რევოლუციის შესახებ CNN რეპორტაჟი არ ნახა. მას რეპორტაჟი მოეწონა. სიტყვამ მოიტანა და, ეს ძალიან ჰგავს იმას, თუ როგორ ეწინააღმდეგებოდა მამა ბუში საბჭოთა კავშირის დაშლას. ეს მნიშვნელოვანი ნიუანსი საშუალებას იძლევა, კარგად ჩავწვდეთ ამერიკისა და ჩვენს ურთიერთობებს და გავერკვეთ რეალურ ვითარებაში“*** *(იქვე, გვ. 205).*

შემდეგ სააკაშვილი იხსენებს, როგორ მტკივნეულად აღიქვა პუტინმა **„აჭარის ვარდების რევოლუცია“** და **ასლან აბაშიძის** ხელისუფლების დამხობა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში:

***„(პუტინმა) აჭარის საქართველოს კონტროლქვეშ დაბრუნებაც ძალიან მტკივნეულად აღიქვა. კონფლიქტის მოგვარებაში დახმარების გაწევისთვის*** *(თუმცა, ეს იმდენად დახმარება არ იყო, ხელის მხოლოდ ზომიერი შეშლა)* ***მადლობის სათქმელად დავურეკე, მაგრამ ჩემთვის მოულოდნელად გაღიზიანებული ტონით უხეშად გამაწყვეტინა სიტყვა: „მიხეილ ნიკოლოზის ძე, მეტი არავითარი საჩუქარი, რაც შეეხება აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს, არ იქნება“. ჩათვალა, რომ მე მას ეშმაკობაში ვაჯობე, მისივე ხელით მოვაგვარე საკუთარი პრობლემები. უბრალოდ რომ ვთქვათ, ტერიტორია „ავახიე“. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შემთხვევა არ ყოფილა, რომ რუსეთისთვის ვინმე მის მიერ კონტროლირებად ტერიტორიას შეხებოდა“*** *(იქვე, გვ. 206).*

სააკაშვილის თქმით, პუტინი დარწმუნებული იყო, რომ რუსეთის წინააღმდეგ დიდი შეთქმულება მუშავდებოდა:

***„უკრაინის ნარინჯისფერმა რევოლუციამ პუტინი, როგორც ეტყობა, უფრო ღრმად დაარწმუნა ანტირუსული შეთქმულების არსებობაში. საჭირო იყო გარკვეული ზომების მიღება. და მაშინ კიდევ უფრო აქტიურად გააგრძელა ჩვენთვის პრობლემების შექმნა. დიდი ხნის შესვენების შემდეგ, 2004 წლის მაისში, ცხინვალის რეგიონში სროლები განახლდა“*** *(იქვე, გვ. 206).*

სააკაშვილი აქაც ვირეშმაკობს: ის არაფერს ამბობს, 2004 წლის ზაფხულში როგორ მოაწყო ეგრეთ წოდებული **„ჰუმანიტარული შტურმი“** ცხინვალზე და „კოკოითი ფანდარასტის“ სახელწოდებით გაკეთებულ აქციებზე! მაშინ ვითარება ისე დაიძაბა, რომ ამ ყველაფერს ქართველ პოლიციელთა შორის მსხვერპლიც მოჰყვა! რა თქმა უნდა, კრემლი მართლაც უწყობდა საქართველოს პროვოკაციებს, მაგრამ ეს სააკაშვილი რომ ცეცხლზე ნავთს ასხამდა, ესეც ფაქტია!

მემუარისტი იხსენებს, 2005 წლის თებერვალში, დავოსის ეკონომიკურ ფორუმზე ჩასვლის მეორე დღესვე, როგორ ააფეთქეს ორ ადგილას რუსეთიდან საქართველოსკენ მომავალი გაზსადენი და ელექტროგადამცემი ხაზი და ქვეყანა ენერგომომარაგების გარეშე დარჩა! სააკაშვილმაც საშველად დავოსის ფორუმზე ჩასულ ერდოღანს მიმართა:

***„რა თქმა უნდა, ეგრევე გადავწყვიტე, დავოსში ვიზიტი შეგვეწყვიტა და უკან წამოვსულიყავით, მაგრამ მანამდე მივედი ერდოღანთან და ვთხოვე, ჩვენმა ენერგეტიკოსებმა გვირჩიეს, იქნებ ნაწილი გაზისა, რომელსაც ისინი იღებდნენ აზერბაიჯანიდან და რომელიც გადიოდა ჩვენს ტერიტორიაზე, დროებით საქართველოში დარჩენილიყო.***

***ერდოღანი*** *საკმაოდ ცივად შეხვდა ამ ჩემს მუდარას, თქვა, რომ გაზი თურქეთსაც სჭირდება და ვერ დაგვითმობდა კვოტას.* ***სამაგიეროდ, შემოგვთავაზა უსარგებლო შუამავლობა ყატარელებთან, რათა თხევადი გაზი შემოგვეტანა, რაც, რა თქმა უნდა, სრულიად გრძელვადიანი პროექტი იყო და იმ წუთში ჩვენ პრობლემას ვერ გადაგვაწყვეტინებდა. ასე რომ, ერდოღანმა არ მოიწადინა დახმარება და უარით გამოგვისტუმრა“*** *(იქვე, გვ. 207).*

სხვათაშორის, მაშინ ნავთის რიგებში ჩამდგარი საქართველო სრული ენერგეტიკული კოლაფსისაგან აზერბაიჯანიდან და ირანიდან მოწოდებულმა ელექტროენერგიამ და გაზმა იხსნა!

მემუარისტი იხსენებს კიდევ ერთ საინტერესო ამბავს, რომლის შესახებაც გასაიდუმლოებულობის გამო, მაშინ მედიას არაფერი უთქვამს:

***„2005 წელს გორში ტერაქტი მოხდა: ააფეთქეს პოლიციის შენობა, რამაც ხუთი პოლიციელის სიცოცხლე იმსხვერპლა, ხოლო 2006 წლის დასაწყისში ამ ტერაქტის ორგანიზატორი, მთავარი სადაზვერვო სამმართველოს პოლკოვნიკი ბოიკო დავაკავეთ.*** *ჩვენ ყველა მტკიცებულება გვქონდა: სატელეფონო ჩანაწერები, მოწმეთა ჩვენებები. ჩვენ რუსი ოფიცრის დაპატიმრება არ გავასაჯაროვეთ, თუმცა, მისი ბრალეულობის დამამტკიცებელი ასპროცენტიანი მხილებები გვქონდა.* ***ამერიკის ელჩი ტეფტი დაჟინებით მოითხოვდა ყოველგვარი ხმაურის გარეშე ბოიკოს გათავისუფლებას. ანალოგიურ სიგნალებს ვღებულობდით ვაშინგტონიდან. ჩვენ ასეც გავაკეთეთ — პოლკოვნიკი გავათავისუფლეთ და ინციდენტის შესახებ ინფორმაცია არ გავასაჯაროვეთ“*** *(იქვე, გვ. 209).*

ანუ ამერიკა ყველანაირად ერიდებოდა კავკასიის რეგიონში ვითარების დესტაბილიზაციას და რუსეთთან ურთიერთობების გამწვავებას — ეს მხოლოდ ასე შეიძლება აიხსნას...

შემდეგ იყო 2006 წლის მარტში **ქართულ ღვინოზე დაწესებული ემბარგო,** რამაც ქართველ მეღვინეებს დიდი ზარალი მიაყენა! სააკაშვილი იხსენებს, როგორ შეხვდა რამდენიმე თვეში **პუტინს:**

***„პუტინს ემბარგოს გამოცხადების შემდეგ, ივნისში, სანქტ-პეტერბურგში შევხვდი. როდესაც ჩვენი ჟურნალისტები კონსტანტინეს სასახლის ბუფეტში შევიდნენ, მათ კეთილი ნების გამოსახატად, კარგი ქართული ღვინო შესთავაზეს, რა თქმა უნდა, კონტრაბანდული. როგორც გავიგე, თავის დაბადების დღეზე თავად პუტინი სტუმრებს ქართული ღვინით უმასპინძლდებოდა და ის მოსკოვური რესტორნიდან — „გენაცვალე“ — საგანგებოდ მოჰქონდათ...***

***2006 წლის ნოემბრის ბოლოს მინსკში დსთ სამიტზე მე „ტეტ-ა-ტეტ ვესაუბრე პუტინს. მან სპეციალურად გამიყვანა დარბაზიდან და, როდესაც ცალკე, საკმაოდ ბნელ ოთახში აღმოვჩნდით, ფრჩხილები მუხლში ჩამასო, თვალი თვალში გამიყარა, არაორაზროვნად ომით დამემუქრა, თქვა, რომ მოგვიწყობს ჩრდილოეთ კვიპროსს. ილარიონოვის*** *(პუტინის ყოფილი მრჩევლის — გ.გ.)* ***სიტყვებით, რომელიც 2006 წლის ბოლომდე კრემლში მუშაობდა, პუტინმა საქართველოში შეჭრისთვის აქტიურად დაიწყო მზადება...“*** *(იქვე, გვ. 210).*

***გიორგი გიგაური***

***გაგრძელება იქნება***



## მიხეილ სააკაშვილი:

## როდესაც „ვარდების რევოლუცია“ გადამწყვეტ ფაზაში შევიდა, სოროსმა დამირეკა და მთხოვა, ყველაფერი შეგვეჩერებინა!



ჯორჯ სოროსი და მიხეილ სააკაშვილი

***ბანალური და სენტიმენტალური გარემოება — ადამიანი ინებებს, სიკვდილის შემდეგ ქონება მისთვის სასურველ პირს დაუტოვოს და წერს ანდერძს... ანდა სულაც ძვირფასი ადამიანისთვის თავისი ქონების ჩუქება სურს. ანდერძს და ჩუქებას იურისპრუდენციაში კარგად განსაზღვრული წესები გააჩნია, რომლის ზედაპირულად ცოდნა ყოველი მოქალაქისთვის მნიშვნელოვანია. რა უფლებები და მოვალეობები აქვთ მჩუქებლებს და დასაჩუქრებულებს? ამის შესახებ ცნობილი უფლებადამცველი გელა ნიკოლაიშვილი გვესაუბრება:***

# გელა ნიკოლაიშვილი:

# ეს უნდა იცოდეთ, თუ მანქანა გაჩუქეს ან სახლი გიანდერძეს!



— არსებობს **კანონისმიერი** და **ანდერძისმიერი** მემკვიდრეობა. კანონისმიერი მემკვიდრეები 5 რიგად იყოფიან: **1 რიგის მემკვიდრეებად** ითვლებიან შვილები, მშობლები, მეუღლეები, ნაშვილებები და მშვილებლები, ასევე შვილიშვილები და შვილიშვილის შვილებიც — ისეთ შემთხვევაში, თუ პირველი რიგის მემკვიდრეებს შორის, ვთქვათ, ცოცხალი აღარ არის შვილი. ასეთ შემთხვევაში ქონება გადადის შვილიშვილებზე და შემდეგ — მათ შვილებზე.

იმ შემთხვევაში, თუ **1 რიგის მემკვიდრეებიდან** არავინ აღარ არის ცოცხალი, მაშინ მემკვიდრეობა გადადის **მე-2 რიგის მემკვიდრეებზე** — დებზე, ძმებზე, ხოლო თუ ისინი ცოცხლები აღარ არიან, მაშინ — დისშვილებზე, ძმისშვილებზე და მათ შვილებზე. ისეც ხდება, რომ დები და ძმები საკუთარი ნებით უარს ამბობენ მემკვიდრეობაზე. ამის მერე, თუნდაც პოზიცია შეიცვალონ — ისინი მემკვიდრეობას ვეღარ მიიღებენ.

**მე-3 რიგის მემკვიდრეებად** ითვლებიან ბებია, პაპა, ბებიის და პაპის მშობლები — არა აქვს მნიშვნელობა, აღმავალი ხაზი დედის მხრიდან არის თუ მამის მხრიდან. ასევე მნიშვნელობა არა აქვს, თუ რომელი სქესის წარმომადგენელია. ასე რომ, ჩვენი ტრადიციის მიხედვით გავრცელებულ მოსაზრებას, თითქოს მემკვიდრეობის მიღებაში მამრობითი სქესის მემკვიდრეს აქვს უპირატესობა — კანონიერი საფუძველი არ გააჩნია.

**მე-4 რიგის მემკვიდრეებად** ითვლებიან დედის და-ძმა და მამის და-ძმა, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ წინა სამი რიგის მემკვიდრეები ცოცხლები აღარ არიან.

დაბოლოს, **მე-5 რიგის მემკვიდრეები** არიან ბიძაშვილები, მამიდაშვილები და დეიდაშვილები, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ისინი ცოცხლები არ არიან, მაშინ — მათი შვილები. მემკვიდრეობითობის რიგითობა იმას ნიშნავს, რომ **პირველ რიგში მემკვიდრეობა ეკუთვნის 1 რიგს, მათ შემდეგ — მე-2 რიგს და ა.შ.**

**— რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ ხუთივე რიგის მემკვიდრეებიდან არავინ არის ცოცხალი?**

— ასეთ შემთხვევაში ქონება ცხადდება უმკვიდროდ და გადადის სახელმწიფოს საკუთრებაში.

**— მოქალაქეს რა შემთხვევაში შეუძლია გააუქმოს სხვისთვის ანდერძით ქონების გადაცემის ან ჩუქების ნოტარიულად დამოწმებული დოკუმენტი?**

— მოანდერძეს ან მჩუქებელს სრული უფლება აქვს, ჩუქების ან ანდერძის დოკუმენტი გააუქმოს, ამასთან, არ არის ვალდებული, ახსნას, თუ რატომ აუქმებს საკუთარ ამ გადაწყვეტილებას. **ზოგადად, მოანდერძე ან მჩუქებელი ასე იქცევა მაშინ, როდესაც ჩათვლის, რომ მას ულირსად ექცევა პირი, ვისაც ქონება აჩუქა ან უანდერძა.** ხანდახან ჩუქების შემთხვევაში შეიძლება შეიქმნას გარკვეული სიტუაცია, როდესაც მჩუქებელს უწევს ნაჩუქარის უკან გამორთმევის გადაწყვეტილების ახსნა, მაგრამ ამასაც თავისი ვადა გააჩნია. **ნაჩუქარი ნივთის წართმევა ვერ მოხდება ჩუქებიდან 10 და 20 წლის შემდეგ.**

**— მაინც, რამდენია ეს ვადა?**

— მაგალითად, **ჩუქება შეიძლება გაუქმდეს, თუ დასაჩუქრებული მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს ან დიდ უმადურობას გამოიჩენს მჩუქებლის, ან მისი ახლო ნათესავის მიმართ.**

თუ ჩუქება გაუქმდება, მაშინ გაჩუქებული ქონება შეიძლება გამოთხოვილ იქნეს მჩუქებლის მიერ. ჩუქება შეიძლება გაუქმდეს ერთი წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც მჩუქებელი შეიტყობს იმ გარემოების შესახებ, რომელიც მას ჩუქების გაუქმების უფლებას აძლევს.

**— რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ ნაჩუქარი ქონება ნასყიდობით სიმბოლურ ფასად, ვთქვათ, 1 ლარად არის გაფორმებული?**

— ნაჩუქრობა და ნასყიდობა ნივთის საკუთრებაში მიღების სხვადასხვა ფორმაა. ერთდროულად ორივე პროცედურა არ ხდება. თუ ნივთი თქვენს საკუთრებაში დოკუმენტურად გადმოვიდა ნასყიდობის ფორმით, იქ ჩუქება არაფერ შუაშია.

**— ვთქვათ, მამიდამ ძმისშვილს ანდერძით გადასცა ქონება. მამიდის სიკვდილის შემდეგ ამ ქონებაზე პრეტენზიის გამოცხადების უფლება აქვთ თუ არა მამიდის მაზლს (ქმრის ძმას) ან მაზლიშვილებს?**

— თუ არ არიან ცოცხლები **პირველი რიგის მემკვიდრეები,** ხოლო ასეთებად ითვლებიან მამიდის შვილები, მეუღლე ან მშობლები და ქონება მხოლოდ მამიდის საკუთრება იყო, მაზლი და მაზლიშვილები სავალდებულო წილს ვერ მოითხოვენ. რის საფუძველზე ითხოვს, გააჩნია. შეიძლება, იმ ქონების მესაკუთრე იყო მისი ძმაც და თუ პირველი რიგის მემკვიდრეებიდან ცოცხალი არავინაა, მაშინ მეორე რიგის მემკვიდრე გამოდის ძმა და ასეთ შემთხვევაში შეუძლია, მოითხოვოს სავალდებულო წილი.

**— შეიძლება თუ არა ნაჩუქარი ნივთის, ვთქვათ, ბინის გაყიდვა?**

— რა თქმა უნდა, შეიძლება.

**— გაყიდული სახლის დაბრუნება თუ შეიძლება?**

— მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლომ დაადასტურა, რომ გაყიდვისას ადგილი ჰქონდა კანონის დარღვევას.

**— რას ნიშნავს ცნება „ანდერძი“?**

— ანდერძი — ეს არის კონკრეტული პირის მფლობელობაში არსებული ნივთის ან უძრავ-მოძრავი საკუთრების გადაცემა ამ პირისთვის სასურველ სხვა პირზე.

**— ანდერძი აუცილებლად სიკვდილის წინ იწერება?**

— ეს მცდარი მოსაზრებაა. **ანდერძის დაწერა მოქალაქეს ნებისმიერ დროს შეუძლია, თუნდაც სრულიად ჯანმრთელი იყოს და სიკვდილის მიჯნაზე არ იმყოფებოდეს.**

ანდერძის დაწერა ადამიანს შეუძლია არამხოლოდ ხნიერს, არამედ ნებისმიერი ასაკის პირს, თუნდაც ახალგაზრდა ასაკში. **ჩვენში რატომღაც, ანდერძი აუცილებლად სიკვდილის სიახლოვესთან ასოცირდება, თუმცა, ეს ფორმა უცხოეთში საკმაოდ აპრობირებულია და ბევრი იყენებს.** ანდერძის მთავარი არსი მდგომარეობს მოქალაქის სურვილის დოკუმენტურად გაფორმებაში, თუ ვის უნდა გადაეცეს ქონება მისი გარდაცვალების შემთხვევაში. **მოანდერძეს შეუძლია, თავისი ქონება გაყოს, გადაანაწილოს შვილებზე ან მისთვის სასურველ პირებზე, თუნდაც სრულიად უცხო ადამიანებზე და ანდერძში შესაბამისად ჩააქსოვოს ეს გადაწყვეტილება.** მთავარია, ქონება, რომელსაც მოქალაქე ანდერძით განკარგავს — მის სახელზე იყოს რეგისტრირებული. თუ ანდერძის დამტოვებელი გადაწყვეტილებას შეცვლის, მას შეუძლია, თავისი ახალი პოზიცია სიცოცხლეშივე დოკუმენტურად ასახოს ახალ ანდერძში. ანდერძის დამტოვებელმა შეიძლება შეცვალოს ანდერძი იმის მიუხედავადაც, რომ იმ ადამიანმა, ვისთვისაც ქონების გადაცემას აპირებდა — უკვე იცოდა ამის შესახებ.

**„ჩუქება შეიძლება გაუქმდეს, თუ დასაჩუქრებული მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს ან დიდ უმადურობას გამოიჩენს მჩუქებლის, ან მისი ახლო ნათესავის მიმართ!“**




**„ანდერძის დაწერა მოქალაქეს ნებისმიერ დროს შეუძლია, თუნდაც სრულიად ჯანმრთელი იყოს და სიკვდილის მიჯნაზე არ იმყოფებოდეს!“**

**„შვილს აქვს სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლება, თუ ანდერძის დამტოვებელ მის მშობელს იგი „ულირს შვილად“ არ ჰყავს გამოცხადებული!“**

**— ანდერძის დაწერიდან მისი გაუქმება რამდენ ხანში შეიძლება?**

— ანდერძის გაუქმება ნებისმიერ დროს შეიძლება.

**— შვილად, მემკვიდრედ აღიარების და უძრავი ნივთის ჩუქების გაუქმება შესაძლებელია?**

— ეს ორი სხვადასხვა მოქმედებაა. **ნაშვილებს ენიჭება ბიოლოგიური შვილის ყველა უფლება, ხოლო ჩუქების გაუქმება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ ის უმადური აღმოჩნდება.**

**— ანდერძის მიხედვით, შეუძლია თუ არა მოქალაქემ ნივთი ან სახლი... დაუტოვოს არა კანონისმიერ მემკვიდრეს, არამედ, ნებისმიერ ადამიანს, ვთქვათ, მეზობელს?**

— რა თქმა უნდა. **ანდერძით ქონების გადაცემა სწორედ იმით განსხვავდება კანონიერი მემკვიდრეობისგან, რომ პირს ამ ქონების დატოვება შეუძლია როგორც კანონიერი მემკვიდრისთვის, ისე ნებისმიერი პირისთვის.**

**— მაგრამ, თუ ანდერძით მოქალაქე სახლს დაუტოვებს მეზობელს, რა უფლებები აქვს ამ ქონებაზე კანონისმიერ მემკვიდრეს, ვთქვათ — შვილს? ეკუთვნის თუ არა ქონებიდან გარკვეული წილი?**

— **შვილს აქვს სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლება, თუ ანდერძის დამტოვებელ მის მშობელს იგი „ულირს შვილად“ არ ჰყავს გამოცხადებული ან მშობლის უფლება თუ არა აქვს ჩამორთმეული იმ მშობელს, ვისმა შვილმაც თავისი ქონების სხვა პირისთვის გადაცემა ინება,** რადგან ანდერძი მოქმედებს როგორც მშობლიდან შვილზე ან შვილიშვილზე, არამედ პირიქითაც — ვთქვათ, შვილიშვილიდან ბებიაზე ან პაპაზე. ხომ არის ისეთი დაშვებაც, რომ შვილი 30 წლის ასაკში გამოჩენილი სპორტსმენია, აქვს სოლიდური ქონება და სიცოცხლეშივე დაწეროს ანდერძი, რომ გარდაცვალების შემთხვევაში თავის ქონებას მშობლებს კი არა, ვთქვათ — მეგობარს უტოვებდეს. მაგრამ **„სავალდებულო წილი“** ეკუთვნის როგორც მეუღლეს, ასევე შვილს და ასევე მშობელს.

**— „სავალდებულო წილი“ როგორ განისაზღვრება?**

— ვთქვათ, ადამიანს ჰყავს 2 შვილი, მაგრამ თავის ქონებას უტოვებს მეზობელს. მეზობლისთვის რომ არ დაეტოვებინა, შვილები ქონებიდან მიიღებდნენ 50-50 პროცენტს; ამ შემთხვევაში კი, ქონება გაიყოფა შუაზე, საიდანაც ნახევარი დარჩება მეზობელს, ხოლო ქონების მეორე ნახევარი თანაბრად, ანუ 25-25 პროცენტი განაწილდება შვილებზე. **შვილი ბინის გარეშე ვერ დარჩება, თუ მშობელს ის „ულირს შვილად“ არ ჰყავს გამოცხადებული.**

**— შეუძლია თუ არა ადამიანს, ანდერძის მიხედვით ქონება დაუტოვოს, ვთქვათ, მე-3 რიგის კანონისმიერ მემკვიდრეს ისე, რომ 1 და მე-2 რიგის მემკვიდრეებს გვერდი აუაროს?**

— დიახ, ქონების მფლობელს შეუძლია გვერდი აუაროს ყველა რიგის კანონიერ მემკვიდრეს, ოღონდ ამ შემთხვევაშიც იგივე პრინციპი მოქმედებს, რომ პირველი რიგის მემკვიდრეებს — სავალდებულო წილი ეკუთვნით! თუ პირველი რიგის მემკვიდრე არ არსებობს; ან **1 რიგის მემკვიდრე** ნებაყოფლობით ამბობს უარს მემკვიდრეობით წილზე, მაშინ ქონების მემკვიდრეობა გადადის **მე-2 რიგზე** და თუ ეს რიგიც არ არსებობს, **მე-3-ზე** და ა.შ.

**— შეუძლია თუ არა, მოქალაქემ ანდერძით ბინა დაუტოვოს ვინმეს, გარკვეული პირობის დაცვით? მაგალითად, გარდაცვლილი შვილის ცოლს, იმ დათქმით, რომ ის იმ ბინაში სხვა ქმარს აღარ მოიყვანს?**

— მოქალაქეს შეუძლია, ანდერძის შინაარსში ჩააქსოვოს რაიმე კონკრეტული პირობა, მაგრამ რძალს შეუძლია, უკიდურეს შემთხვევაში, არ შევიდეს სხვა მამაკაცთან კანონიერ ქორწინებაში და ასეთ შემთხვევაში ანდერძში ჩაქსოვილი წინაპირობა ფორმალურად დაცული იქნება. ძალზე რთულია, დაუმტკიცო ადამიანს თანაცხოვრება, თუ რეგისტრირებულ ქორწინებაში არ იმყოფება, მითუმეტეს, თუ მას მოდავეც არ ეყოლება. თუ ანდერძის დამტოვებელი ამ მომენტისთვის ცოცხალია, მაშინ პრობლემა იხსნება, რადგან ანდერძის გაუქმება ნებისმიერ მომენტში შეუძლია.

**— ვთქვათ, კაცმა ბინა აჩუქა პირს. მან ნაჩუქარ სახლში ჩაატარა ძვირადღირებული რემონტი. ამასობაში კაცმა გადაიფიქრა ჩუქება და ნაჩუქარ ბინას უკან ითხოვს. აქვს თუ არა იმედგაცრუებულ დასაჩუქრებულს უფლება, არ დაუთმოს ბინა, ვიდრე ჩატარებული სამუშაოების საფასურს არ დაუბრუნებენ?**

— ეს უკვე სასამართლო დავის საგანია. უნდა ჩატარდეს ტექნიკური ხასიათის ექსპერტიზა, რომლის შედეგადაც შეფასდება სახლის მდგომარეობა ჩუქებამდე და ჩატარებული სამუშაოების ღირებულება. რა თქმა უნდა, თუ მნიშვნელოვან თანხაზეა საუბარი, ის იმედგაცრუებულ დასაჩუქრებულს უნდა დაუბრუნონ.

**— იმისთვის, რომ მოქალაქემ ნივთი ან ბინა ადამიანს უანდერძოს, ეს ადამიანი სრულწლოვანი უნდა იყოს?**

— დიახ, **არასრულწლოვანს ვერ აჩუქებს და ვერ უანდერძებს.** არასრულწლოვანისთვის ჩუქება და ანდერძით გადაცემა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ მას დაენიშნება მეურვე და დოკუმენტში უნდა აისახოს, რომ ქონება მას გადაეცემა, როგორც კი სრულწლოვან ასაკს, 18 წელს მიაღწევს. ძირითადად, მეურვედ მშობელი ინიშნება ხოლმე, თუმცა, შეიძლება სხვაგვარადაც მოხდეს, ბავშვს ჰყავდეს მშობელი, მაგრამ ანდერძის დამტოვებელმა მას მეურვედ მეზობელი ან სხვა ვინმე, გარეშე პირი შეურჩიოს.

**— მეურვეს რა უფლებები აქვს ქონებაზე? შეუძლია იცხოვროს იმ ბინაში, ატაროს ის მანქანა, რაც მის მეურვეობაში მყოფ არასრულწლოვანს არგუნეს?**

— დიახ, **მეურვეს აქვს ნივთის გამოყენების უფლება, ოღონდ, იმავდროულად, უნდა მოუაროს იმ ნივთს, რომ მეურვეობაში მყოფ არასრულწლოვანს შეუნარჩუნოს იქამდე, ვიდრე ის 18 წლის გახდება.** თუ მოანდერძე არასრულწლოვანს მეურვეს დაუნიშნავს, ეს თავისთავად იმას ნიშნავს, რომ იგი მეურვეს ენდობა, სჯერა, რომ მეურვე ანდერძის ადრესატს ნაანდერძევ ქონებას სრულწლოვანებამდე დაუზიანებლად შეუნარჩუნებს.

*ესაუბრა*
**ზაზა დავითაია**



# მიხეილ ცაგარელი: რეტროგრადული მარსის პერიოდის სირთულეები და რეკომენდაციები

*— რეტროგრადული მარსის დროს რისი მაღალი ალბათობაა? სტატისტიკის მიხედვით, ძირითადად, რა მიზეზით ხდება ავარია, რა გამოდის მწყობრიდან ან კატეგორიულად რა არ არის რეკომენდებული? ვინ რეაგირებს ყველაზე მძაფრად პლანეტა მარსის რეტროგრადულობაზე. რა არის საჭირო იმისთვის, რომ ამ პერიოდმა სასიკეთოდ ჩაიაროს? რისთვის არის მშვენიერი ეს დრო და რისი დანახვის საშუალება გვეძლევა ანდა რა მეთოდს მიმართავენ ხშირ შემთხვევაში ადამიანები საწადელის მისაღწევად? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი* ***მიხეილ ცაგარელი*** *გვესაუბრება.*

**— განვაგრძოთ საუბარი რეტროგრადული (უკუმიმართულებით მოძრავი) მარსის ზემოქმედების შესახებ ადამიანებსა და მოვლენებზე. მითუფრო, რომ კვირის ბოლოს, 30 ოქტომბრიდან პლანეტა მარსი ხდება რეტროგრადული და იმოძრავებს ტყუპის ზოდიაქოში წლის ბოლომდე.**

— როგორც აღვნიშნე, **პლანეტა მარსის პასუხისმგებლობას ექვემდებარება ყველა ქირურგიული ოპერაცია, ჭრილობა, ავარია, სახიფათო თუ უბედური შემთხვევა, ცეცხლსასროლი იარაღი, მჭრელი და მჩხვლეტავი საგნები. შესაბამისად, მისი რეტროგრადული მოძრაობის დროს ავარიებისა და სხვადასხვაგვარი შემთხვევების ალბათობა იზრდება — გზებზე მოძრაობა ძნელდება. ხშირია საცობები და ავტოსაგზაო ინციდენტი.** ნიშანდობლივია, რომ ამ პერიოდში არ არის რეკომენდებული ცეცხლსასროლი იარაღის, თავდაცვის საგნების, ავტომანქანის, სხვადასხვა მექანიზმების შეძენა, რადგან შეძენილი ტექნიკა მალე გამოდის მწყობრიდან, მალე უფუჭდება და უტყდება დეტალები, რის გამოც ხშირდება ავარიები. **სტატისტიკის თანახმად, ამ დროს შეძენილი ავტომობილების ავარიის მიზეზი უმრავლეს შემთხვევაში არის სამუხრუჭე სისტემის მწყობრიდან გამოსვლა. ხშირია ამ დროს კომპიუტერული ტექნიკის დაზიანებაც.** აუცილებლობის შემთხვევაში ტექნიკისა თუ ავტომობილის შეძენისას, სასურველია, გააფორმოთ საგარანტიო ფურცელი და შენაძენი დააზღვიოთ. **რეტროგრადული მარსის პერიოდში კატეგორიულად არ არის რეკომენდებული გეგმური ქირურგიული ოპერაციების ჩატარება (არ იგულისხმება სასწრაფო და გადაუდებელი ოპერაციები) და ორგანიზმზე რაიმე მანიპულაციები (კანის ქიმიური ან ლაზერული წმენდა, პირსინგი, ტატუირება და ა.შ.). სამხედრო და ძალოვანი სტრუქტურის თანამშრომლებს კი ვურჩევთ, მსახურებისას მაქსიმალურად თავშეკავებულნი და ზომიერად თამამი იყვნენ. რისკი ამ დროს მიზანშეწონილი არ არის.** აუცილებელია ძალების დაზოგვა, აქტიურობის შემცირება და ენერგიის დაგროვება. **ამ პერიოდში მოერიდეთ მძიმე ფიზიკურ შრომას ან ვარჯიშს, არ დაიძაბოთ, ნუ გარისკავთ და ფუჭ საქმიანობაზე ძალებს ნუ დახარჯავთ.** ასევე ცხელ და ცხარე საკვებს მოერიდეთ და ეცადეთ, **სამშაბათობით** (სამშაბათი — მარსის დღედ ითვლება) ცხოველურ საკვებზე უარი თქვათ. გარდა ამისა, **ყველა ქმედება წინასწარ გაიაზრეთ, დაგეგმეთ და გააანალიზეთ, რათა რაც შეიძლება ნაკლები შეცდომა დაუშვათ.** ამ პერიოდში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, გახსოვდეთ, რომ ყოველი ადამიანი საკუთარ თავზე, პირად პრობლემებსა და შეცდომებზე თავად აგებს პასუხს, ამიტომ ყურადღებით იმოქმედეთ და უსამართლოდ ნურავის დასდებთ ბრალს.

**— ადამიანებში რეტროგრადული მარსის ზემოქმედების მეტ-ნაკლებად გამოვლენა რას უკავშირდება?**

— რეტროგრადული მარსის ზემოქმედების სიძლიერე დამოკიდებულია იმაზე, თუ ადამიანის პირად ჰოროსკოპში **მარსი** სად იმყოფება და რა ასპექტები აკავშირებს სხვა პლანეტებთან. **ის ადამიანი, რომლის ჰოროსკოპშიც მკაფიოდაა გამორჩეული ვერძის ან ღრიანკალის ნიშანი, განსაკუთრებით მძაფრად რეაგირებს პლანეტა მარსის რეტროგრადულობაზე. უფრო პასიური ხდება, შრომისუნარიანობა უქვეითდება, მოქმედების სურვილი კლებულობს, მიზანმიმართულად მოქმედება აღარ სურს, ნაკლებად შეუპოვარი და მიმწოლი ხდება ა.შ.** უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სხვადასხვა ადამიანი, შესაძლოა, ამ პერიოდში თავს განსხვავებულად გრძნობდეს და განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდეს მოვლენებისა თუ მიზნის მიმართ. **იმისათვის, რომ ამ პერიოდმა სასიკეთოდ ჩაიაროს, აუცილებელია, ზედმეტი დაძაბულობა მოვიხსნათ, მოვდუნდეთ და საკუთარი ქმედებანი ზუსტად, დასაბუთებით გავიაზროთ.**

**— რეტროგრადული მარსის პერიოდში ამავდროულად რისი შანსი გვეძლევა?**

— როგორც მოგახსენეთ, **ეს პერიოდი მშვენიერია მომავალი საქმიანობის დასაგეგმად. კარგია ძველ სიტუაციებთან დაბრუნება, მათი თავიდან გააზრება, რაიმეს გარდაქმნა, რაიმეს ახლიდან შესრულება და სიტუაციის გამოსწორება.** მითუფრო, რომ **რეტროგრადული მარსის დროს** მოვლენები იმგვარად ვითარდება, რომ ადამიანებმა შეძლონ პირად ან სხვათა მაგალითზე მარსისეული თვისებებისა და დამახასიათებელი სიტუაციების დანახვა, ავისა და კარგის გარჩევა, უფრო დახვეწილად მოქმედება და თვისობრივად განვითარება, ამიტომაც, **ამ პერიოდში საშუალება გვეძლევა, დავინახოთ, თუ როგორები ვართ, როდესაც ვბრაზობთ, როგორები არიან სხვა ადამიანები, როდესაც ბრაზობენ, როგორ ვექცევით გაბრაზებულ ადამიანებს, როგორ მეთოდებს ვიყენებთ თავდაცვისთვის, მოტივაციისთვის, როგორ ვიქცევით პირადი თუ ინტიმური ურთიერთობებისას.** ნიშანდობლივია ისიც, რომ ამ პერიოდში ადამიანები ყველაზე ხშირად პასიურად აგრესიულ მეთოდს მიმართავენ, ანუ ცდილობენ, პირდაპირი ზეწოლისა და ძალდატანების ნაცვლად გარშემო მყოფთა მანიპულაციის საშუალებით მიიღონ საწადელი.

*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***

## 24-30 ოქტომბრის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
**ახალ პარტნიორებსა და ნაცნობებს მხოლოდ სიტყვიერად ნუ მიენდობით, ფინანსური მდგომარეობა სახარბიელო არ იქნება, თუმცა, ახლო ნათესავები ან ოჯახის ახლობლები დაგეხმარებიან. გამოცდილების დაგროვებასა და პროფესიული ცოდნის ამაღლებას მეტი დრო დაუთმეთ. შესაძლოა, პარტნიორთან დაკავშირებით ფარული ინფორმაცია მიიღოთ, რაც თქვენს ეჭვებს გაამართლებს. ჯანმრთელობის მდგომარეობისთვის დიეტა დაიცავით და სპირტიან სასმელს მოერიდეთ.**

**კურო** (21.04-20.05)
**ეცადეთ, ამ პერიოდში არაფერი შეცვალოთ, რადგან ეს დამატებით პრობლემას შეგიქმნით. სამსახურის საქმეში გაუგებრობას იოლად მოაგვარებთ. ფსიქოსომატური მდგომარეობის გამოსწორებისთვის სულიერი პრაქტიკა დაიხმარეთ, ჯანმრთელობასაც დროულად მიხედეთ. სასიყვარულო ურთიერთობისას ყველა დეტალი გაითვალისწინეთ და უფრო მეტი დიპლომატიურობა გამოავლინეთ. უცხოელებისგან მიღებული ინფორმაცია კი აუცილებლად შეამოწმეთ.**

**ტყუპი** (21.05-22.06)
**შეყვარებულთან ან შვილებთან ტაქტი და დიპლომატიურობა გამოავლინეთ, რათა არ გაანაწყენოთ. ახლად გაცნობილებთან ყურადღებით იყავით, რათა არ გიღალატონ და საქმე არ გაგიფუჭონ. მოგზაურობის რაოდენობა შეამცირეთ, რადგან ენერგოპოტენციალის კლების გამო დიდი დატვირთვების ატანა გაგიჭირდებათ, თანამდებობის პირთან ახალი სასიყვარულო კავშირის დამყარების ალბათობა არსებობს.**

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
**მატერიალური მდგომარეობა ჯერ ისევ არასტაბილური გაქვთ. ახალი საქმის დაწყება კი შესაძლოა გარკვეულ პრობლემებს დაუკავშირდეს. სამაგიეროდ, ძველი საქმეები კარგად წარიმართება და შესაძლოა, სამსახურში დაგაწინაურონ კიდეც. შორეული მოგზაურობა არ არის რეკომენდებული. თუმცა, უცხოელებთან კონტაქტისას, შესაძლოა, სასიყვარულო ურთიერთობა ჩამოგიყალიბდეთ. ასევე შესაძლოა, არსებული საოჯახო ან სასიყვარულო კავშირი სხვათა განხილვის საგნად გადაიქცეს.**

**ლომი** (23.07-23.08)
**უძრავი ქონების შეძენისგან თავი შეიკავეთ და ეცადეთ, ფინანსური სტაბილურობა შეინარჩუნოთ. გარშემო მყოფებისგან ბევრი რამის დამალვა მოგიწევთ და მხოლოდ შვილებთან და საყვარელ ადამიანთან იგრძნობთ თავს თავისუფლად. დრო გამონახეთ, რათა გაარკვიოთ, თუ ვინ არის თქვენი მტერი და ვინ — კეთილმოსურნე. გადაადგილებისას ხშირი იქნება დაგვიანება და სხვა პრობლემები, რაც შეხვედრა-მოლაპარაკებების წარმოებას გაართულებს. მგზავრობა კი შესაძლოა, სხვისი მიზეზით ჩაიშალოს.**

**ქალწული** (24.08-23.09)
**ზედმეტად მგრძნობიარე გახდებით და თუ ემოციებს არ მოთოკავთ, წინააღმდეგობა შეგექმნებათ ოჯახის წევრებთან. ნურავის მოატყუებთ, რათა ამის გამო გარშემო მყოფთა პატივისცემა არ დაკარგოთ. ეცადეთ, ეს კვირა დაუთმოთ დასვენებასა და ენერგიის დაგროვებას. სულიერ პრაქტიკასა და რელიგიას ჩაუღრმავდით, რათა შინაგანი არასტაბილურობა გადალახოთ.**

24-30 ოქტომბრის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
**ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას, არაოფიციალურ გაერთიანებასა და ორგანიზაციას ნუ ენდობით. ინფორმაციის მიღება უმჯობესია, ახლობლისგან ან ნათესავისგან, თუმცა, მისი გამოყენება შემოწმების გარეშე რეკომენდებული არ იქნება. იურიდიული საქმეები დადებითად წარიმართება. ხელმძღვანელობა ყოველ მხრივ ხელს შეგიწყობთ. მოგზაურობა კი წარმატებას არ მოიტანს, ამიტომ თავისუფალი დრო სახლში დასვენებას დაუთმეთ.**

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
**გარკვეული პრობლემების გამო მუშაობა და პროფესიული საქმის შესრულება გაგიჭირდებათ, გადაწყვეტილების მიღებისას ყველაფერი გონივრულად განსაჯეთ. საქმიან პარტნიორთან თავშეკავება გამოავლინეთ და ეცადეთ, თქვენი გეგმები წინასწარ არ გაამხილოთ. შეყვარებულს პრეტენზია დროულად წაუყენეთ, რათა ეჭვიანობის გამო დიდი განხილვის მოწყობა არ დაგჭირდეთ. კარგი პერიოდია ცოდნის გასაღრმავებლად და ხანმოკლე მოგზაურობისთვის.**

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
**შესაძლოა, პარტნიორებთან ურთიერთობა დაგეძაბოთ, რაც კავშირის დაშლის საბაბი გახდება, რისკის გარეშე მოგინდებათ ცხოვრების აწყობა, მაგრამ ამის შესაძლებლობა ჯერ არ მოგეცემათ და შესაძლოა, პირადი ურთიერთობებიც დაიძაბოს. მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას საკუთარ თავთან დაკავშირებით ნუ მიიღებთ. ახალი ინფორმაციის მიღება და გაანალიზება გაგიჭირდებათ. მოგზაურობას დამატებითი სირთულეები მოჰყვება. გაცივების ალბათობაც არსებობს.**

**თხის რქა** (22.12-19.01)
**ქვეცნობიერად შესაძლოა, საზოგადოებრივ ცხოვრებას განერიდოთ, გვერდით გადგეთ და გადაწყვეტილიბების მიღება სხვებს დაავალოთ. მხოლოდ უმნიშვნელოვანესი საქმე შეასრულეთ. ძველი ვალდებულებები დაასრულეთ, რათა უსიამოვნებებმა იკლოს. დრო აუცილებლად დაუთმეთ ახლობლებსა და ნათესავებს. ბევრი თქვენი საქმე უფრო მალე წაიწევს წინ საქმიანი პარტნიორის ან მეუღლის თუ შეყვარებულის დახმარებით.**

**მერწყული** (20.01-18.02)
**ახლად გაცნობილებთან ფრთხილად იყავით, რადგან მოტყუების ალბათობა არსებობს. მეტი დრო დაუთმეთ თქვენი იდეების დანერგვასა და პროფესიული დონის ამაღლებას. შესაძლოა, სასიყვარულო ურთიერთობისთვის დრო არ დაგრჩეთ, რაც პარტნიორის ეჭვსა და უკმაყოფილებას გამოიწვევს. ხშირი გადაადგილებები დამღლელი, მაგრამ მომგებიანი იქნება. კარგი იქნება, თუ დროდადრო დაისვენებთ და გამოიძინებთ, რათა დახარჯული ენერგია აღიდგინოთ.**

**თევზები** (19.02-20.03)
**დაუგეგმავი საქმეები და კონტაქტები თქვენს ცხოვრებას ქაოტურს გახდის. ფინანსური ოპერაციების ჩატარებისას ინტუიციას უსმინეთ და საბუთებიც გადაამოწმეთ. დაუსრულებელი საქმეები ბევრ დროს წაიღებს. საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელთა მოსაზიდად ზედმეტს ნუ იაქტიურებთ, საიდუმლო ინფორმაციას ყოფილი შეყვარებულის საწინააღმდეგოდ ნუ გამოიყენებთ. უცხოეთში გამგზავრება, ახალი თანამდებობაზე გადასვლა ან ახალი სამსახურის დაწყება კი ჯობს, გადადოთ.**


**მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია**
**24, 25, 26, 27 და 29 ოქტომბერი**

**10 ოქტომბერი – სავსემთვარეობა (00.55);**
**25 ოქტომბერი – ახალმთვარეობა, მზის დაბნელება (14.49).**



საქართველო- ისრაელის ერთობლივი კლინიკა
GIDMEDI GEORGIA - ISRAEL JOINT CLINIC
**გიდმედი**
გქონდეთ ჩვენი იმედი!
ნებისმიერი ქირურგიული და უროლოგიური პათოლოგია
თბილისი, ლუბლიანას ქ. 2/6, მეხუთე სართული. 591 35 33 55

# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 24 ოქტომბერი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 06.23 საათზე, ჩადის 17.07 საათზე. **მთვარე** სასწორის ზოდიაქოშია. ამოდის 04.56 საათზე, ჩადის 16.45 საათზე (მთვარის 29-ე დღე იწყება 06.40 საათზე. მე-4 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები**: ხვალინდელი მზის დაბნელების წინ ახალი საქმის დაწყებისგან, სიტუაციის გართულებისგან თავი შეიკავეთ. პროვოკაციას არ აჰყვეთ. სასიკეთოა ლოცვა, მადლიერების გამოხატვა. შედეგიანი იქნება კბილების მკურნალობა, წელის, თირკმლების, ტერფების წერტილოვანი მასაჟი. კარგი დღეა შემოქმედებისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, მეგობრული კონტაქტებისთვის, ინტერიერის შესაცვლელად. არ არის სასურველი მანქანის ყიდვა-გაყიდვა, ალერგიის გამომწვევი პროდუქტების, ცივი და გაზიანი სასმელების მიღება. სიფრთხილე გამოიჩინეთ ცეცხლთან, მჭრელ საგნებთან, ლითონის კონსტრუქციებთან, წყლის სიღრმესთან მიმართებით. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, თირკმლები. **ქვები:** ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, აკვამარინი, გიშერი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, თევზებისთვის.

## 25 ოქტომბერი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 06.24 საათზე, ჩადის 17.05 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (11.20) ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 06.06 საათზე, ჩადის 17.09 საათზე (მთვარის 30-ე დღე იწყება 08.07 საათზე. **ახალმთვარეობა,** პიკი — 14.49 საათზე, **მზის დაბნელება. მთვარის** I დღე და I ფაზა იწყება 14.49 საათზე). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 04.36 საათიდან 11.20 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები: ახალმთვარეობა და მზის დაბნელების** მძიმე ენერგიებისა და მოვლენების დღეა. მაღალია შეცდომების, აგრესია-დეპრესიის, კონფლიქტების, ტრავმების, ავარიების და სხვა ნეგატიური მოვლენების ალბათობა. იყავით ყურადღებით და სიფრთხილე გამოიჩინეთ. სირთულეები შესაძლოა, შეექმნას საბანკო, საგამოძიებო და მაკონტროლებელ ორგანიზაციებს, სამხედრო და ძალოვან სტრუქტურებს. არ არის სასურველი ეჭვიანობა, სარკაზმი, ცხოვრების დრამატიზება, კამათი, ინტიმური კონტაქტები, სესხის აღება, ბინის შეცვლა, საბუთების გაფორმება, ახალი თანამშრომლის მიღება, ალკოჰოლის მიღება, სხივური თერაპია. კარგი დღეა დაკარგული ნივთების საძიებლად, გეგმების დასახვისთვის. ოპტიმისტურად განეწყვეთ. სასიკეთოა ლოცვა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია შარდსასქესო სისტემა. **ქვები:** ოპალი, გიშერი, იასპი, აქატი, ონიქსი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის.

## 26 ოქტომბერი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 06.26 საათზე, ჩადის 17.04 საათზე. **მთვარე** ღრიანკალის ზოდიაქოშია. ამოდის 07.19 საათზე, ჩადის 17.37 საათზე (მთვარის მე-2 დღე იწყება 09.38 საათზე. I ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ. შესაძლებელია, პრობლემების ერთობლივად გადაწყვეტა. მოერიდეთ სიჯიუტეს, კამათს, სარკაზმულობას, ზედმეტ პირდაპირობას, განაწყენებასა და სამაგიეროს გადახდას. არ არის სასურველი ახალი თანამშრომლის მიღება, ნოტარიუსთან საბუთების გაფორმება, სხივური თერაპია, ინტიმური კონტაქტები, მანქანის ყიდვა-გაყიდვა, მგზავრობა, ბინის შეცვლა, სესხის აღება. კარგი დღეა გეგმების დასახვისთვის, დაკარგული ნივთის საძიებლად, თვითშემეცნებისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, კოსმეტიკური პროცედურებისთვის, მასაჟისთვის, ყელ-ყურ-ცხვირის მკურნალობისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია შარდსასქესო სისტემა. **ქვები:** ოპალი, ტოპაზი, გიშერი, იასპი, ზურმუხტი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 27 ოქტომბერი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 06.27 საათზე, ჩადის 17.02 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (14.56) მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 08.36 საათზე, ჩადის 18.11 საათზე (მთვარის მე-3 დღე იწყება 11.14 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 08.27 საათიდან 14.56 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს საქმიანი და ინიციატივიანი პოზიცია როგორც საქმეში, ისე ოჯახში წარმატების მომტანი იქნება. კარგი დღეა გადაწყვეტილი კონტაქტის განახლებისთვის, ქორწილისთვის, ზეიმისთვის, კომპეტენტურობის გამოსავლენად, წყლის პროცედურებისთვის, მასაჟისთვის. საღამო კარგია იურიდიული საქმეებისთვის, მგზავრობისთვის, უცხოელებთან კონტაქტებისთვის, სპორტული ღონისძიებებისთვის. არ არის სასურველი ბინის შეცვლა, სესხის აღება, სადაზღვევო და სოციუზრუნველყოფის ორგანიზაციებთან ურთიერთობა, ნოტარიუსთან საბუთების გაფორმება, სხივური თერაპია. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია შარდსასქესო სისტემა, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, მენჯ-ბარძაყის სახსარი, საზარდული. **ქვები:** ოპალი, ტოპაზი, ფირუზი, იასპი, იაგუნდი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

## 28 ოქტომბერი, პარასკევი

**მზე** იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 06.28 საათზე, ჩადის 17.01 საათზე. **მთვარე** მშვილდოსნის ზოდიაქოშია. ამოდის 09.52 საათზე, ჩადის 18.54 საათზე (მთვარის მე-4 დღე იწყება 12.51 საათზე. I ფაზა). **ტენდენციები:** დღეს გამარჯვებისა და იღბლიანობის მმართველი პლანეტა **იუპიტერი** გადაინაცვლებს **თევზების** ზოდიაქოში (21 დეკემბრამდე), რაც ამ პერიოდში ხელს შეუწყობს სულიერი ფასეულობებისკენ, რწმენისკენ მიდრეკილებას, ტურიზმისა და სასტუმროების ბიზნესის განვითარებასა და ამ სფეროების წარმატებას. დღეს კარგია ახლობლებთან ურთიერთობა, სპორტული ღონისძიებების ჩატარება, საბუთების მოწესრიგება, მგზავრობა, იურიდიული საქმიანობა, სამეცნიერო კვლევა, ერთობლივი ოჯახური საქმიანობა, სუნთქვითი ვარჯიშები, წყლის პროცედურები, ფილტვებისა და ხელების მკურნალობა. არ არის სასურველი მშენებლობა, სისხლის გადასხმა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, მენჯ-ბარძაყის ძვალი, საზარდული. **ქვები:** ტოპაზი, ფირუზი, ლაზურიტი, საფირონი, სარდიონი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის.

## 29 ოქტომბერი, შაბათი

**მზე** იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 06.29 საათზე, ჩადის 17.00 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (17.23) თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 11.06 საათზე, ჩადის 19.47 საათზე (მთვარის მე-5 დღე იწყება 14.18 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 17.10 საათიდან 17.23 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეიდან გონების, ინტელექტისა და კომუნიკაციების მმართველი პლანეტა **მერკური** გადაინაცვლებს **ღრიანკალის** ზოდიაქოში (17 ნოემბრამდე), რაც გააძლიერებს ინტუიციას, ნებისყოფას, დამოუკიდებლობისკენ მიდრეკილებას, ორგანიზატორის მონაცემს, საიდუმლოს დაცვას და ასევე სიჯიუტეს, ეჭვიანობას, განაწყენებასაც. დღეს კარგი დღეა ინტელექტუალური განვითარებისთვის, მგზავრობისთვის, იურიდიული საქმეებისთვის, სამგზავრო ღონისძიებებისთვის, მგზავრობისთვის, იურიდიული საქმეებისთვის, სპორტული ინვენტარის შესაძენად. ხელი შეეწყობა ყველანაირი გატეხილ-გაბზარული ნივთებისგან გათავისუფლებას. არ არის სასურველი მშენებლობა, სისხლის გადასხმა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, ძვლოვანი სისტემა, კანი. **ქვები:** ფირუზი, ლაზურიტი, სერდოლიკი, იაგუნდი. **საღამოს** — ქრიზოპრაზი, ონიქსი. **პოზიტიური დღეა** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, თევზებისთვის.

## 30 ოქტომბერი, კვირა

**მზე** იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 06.30 საათზე, ჩადის 16.58 საათზე. **მთვარე** თხის რქის ზოდიაქოშია. ამოდის 12.11 საათზე, ჩადის 20.52 საათზე (მთვარის მე-6 დღე იწყება 15.24 საათზე. I ფაზა). **ტენდენციები:** დღეს ენერგიისა და ქმედითუნარიანობის მმართველი პლანეტა **მარსი რეტროგრადული** ხდება. წლის ბოლომდე **ტყუპის** ზოდიაქოშია. ეს ხელს შეუწყობს კონფლიქტსა და პროვოკაციას ადამიანებს, ცალკეულ ჯგუფებსა თუ სახელმწიფოებს შორის. ამ პერიოდში არ არის რეკომენდებული ახალი საქმის, პროექტის დაწყება, უმჯობესია, ძველ, დაუსრულებელ ანდა არასწორად წარმოებულ საქმეებსა და საქმიან ურთიერთობებს დაუბრუნდეთ. კარგი დღეა მავნე ჩვევისგან გათავისუფლებისთვის, სარესტავრაციო საქმიანობისთვის, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისთვის, კოლექციის შესაგროვებლად, საათის ან მანქანის შესაძენად. არ არის სასურველი სიმძიმეების აწევა, ქორწინება, ახალი კავშირების დამყარება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, კბილები, კანი, მუხლები. **ქვები:** ონიქსი, ქრიზოპრაზი, აქატი, მარგალიტი, ოპალი. **პოზიტიური დღეა** ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის, ლომისთვის.

## საეკლესიო კალენდარი



25 ოქტომბერი – დღესასწაული იერუსალიმის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატისა

✝ **24 ოქტომბერი. ორშაბათი.** მოციქულისა **ფილიპესი,** ერთისა შვიდთა დიაკონთაგანისა; ღირსისა **თეოფანესი,** ნიკეის ეპისკოპოსისა და აღმსარებელისა და გამომეტყველისა, კანონთგამომთქმელისა; მოწამეთა **ზინაიდასი** და დისა მისისა **ფილონილასი.**

✝ **25 ოქტომბერი. სამშაბათი.** მოწამეთა: **პრობოსისა, ტრაქოსისა** და **ანდრონიკესი;** ღირსისა კოზმა წმიდაქალაქელისა, მაიუმელი ეპისკოპოსისა და კანონთგამომთქმელისა; მოწამისა **დომნიკასი; მარტინე** მოწყალისა, ტურელი ეპისკოპოსისა; **დღესასწაული იერუსალიმის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატისა.**

✝ **26 ოქტომბერი. ოთხშაბათი. ხსენება მე-7 მსოფლიო კრების წმიდათა მამათა; დღესასწაული ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატისა;** ღირსისა **ანტონისა,** ჭყონდიდელი მიტროპოლიტისა და მოწაფისა მისისა იაკობ ხუცესმონაზონისა; მოწამეთა: კარპესი, თიატირელი ეპისკოპოსისა, პაპილე დიაკონისა, დისა მისისა აგათონიკასი და აგათოდორესი; მოწამისა ფლორენტისა; მოწამისა ბენიამინ დიაკონისა; ღირსისა ნიკიტა აღმსარებელისა; დიდმოწამისა ზლატასი.

✝ **27 ოქტომბერი. ხუთშაბათი.** მოწამეთა: ნაზარისა, გერვასისა, პროტასისა და კელსისა; ღირსისა პარასკევა სერბელისა; მოწამისა სილვანესი, ლაზელი ხუცისა.

✝ **28 ოქტომბერი. პარასკევი. ღირსისა ევქთიმე ახლისა, თესალონიკელისა;** ღირსმოწამისა ლუკიანესი, ანტიოქიელი ხუცისა; საბინესი, კატანელი ეპისკოპოსისა; ათანასე აღმსარებელისა, კოვროვსკელი ეპისკოპოსისა.

✝ **29 ოქტომბერი. შაბათი. მოწამისა ლონგინოზ ასისთავისა, რომელი იყო წინაშე ჯვარისა უფლისა;** ღირსისა ზენონ იყალთოელისა, ცამეტ ასურელ მამათაგანისა.

✝ **30 ოქტომბერი. კვირა. იოსებ კათალიკოს-პატრიარქისა, სასწაულმოქმედისა;** წინასწარმეტყველისა ოსესი; ღირსმოწამისა ანდრია კრიტელისა; მოწამეთა უვერცხლოთა თანაძმათა: კოზმან და დამიანე არაბიელთა და მოყვასთა მათთა მოწამეთა: ლეონისა, ანთიმოზისა და ევტროპისა; აღმოყვანება წმიდათა ნაწილთა მართლისა ლაზარესი, ოთხთა დღეთა საფლავად მდებარისა, კრიტელი ეპისკოპოსისა.

თამარისი
Tamarisi

# დაინახე:




ბათუმი, კონსტანტინე გამსახურდიას 38

571 19 93 93    598 79 40 00

www.facebook.com/tamarisioptics



# «კათარზისი» იწვევს!

ასოციაცია „კათარზისის“ თავშესაფარში ვიწვევთ ცხოვრების მსურველ საპენსიო ასაკის, თვითმოვლის უნარის მქონე ხანდაზმულ ქალბატონებს.

2 95 78 76, 558 19 41 30



დეტალური ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით 10-დან 18 საათამდე



# მაღაზია «ბუკვიცა»

ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს 1945 წლამდე

574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90

მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.

### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. კუროსავა; 7. წნორი; 12. ბაული; 13. სკაიპი; 14. მინესოტა; 15. ქლორი; 16. კვირა; 17. კრაკლე; 18. მარაკანა; 22. რიანა; 23. ჩოხა; 25. ვადუცი; 26. განდეგილი; 27. ტიტა; 29. ლავრა; 30. კაკაო; 33. ანაბაზისი; 38. რუბლი; 39. ფიჭა; 41. ზავთი; 42. სცენარისტი; 43. ფასი; 45. ფლატე; 46. მიკი; 48. სემირამიდა; 53. რანჩო; 54. ფიდე; 56. ლუპა; 57. მელანჟი; 58. სიკა; 60. ნედლი; 61. კიო; 62. დინ; 64. ანონიმი; 65. გზა; 66. რაგბი; 67. სინდი; 68. მეი; 69. იტალია; 70. ალადინი.

შვეულად: 2. უნიტა; 3. ოპერა; 4. აგორა; 5. აბაკა; 6. სულიკო; 7. წიქარა; 8. ოტომანი; 9. ისიკავა; 10. კალანდია; 11. აპელაცია; 18. მაგმა; 19. რენტა; 20. კრეტა; 21. ნაიკი; 23. ჩილი; 24. ხავსი; 27. ტარა; 28. ტაბლა; 30. კიზი; 31. კოვზი; 32. ოფისი; 34. ნიცშე; 35. ბანკი; 36. ზურნა; 37. სესხი; 39. ფიფა; 40. ჭრაქი; 43. ფერე; 44. სანტი; 46. მოლა; 47. კუპრი; 48. სამხარი; 49. მალტოზა; 50. რანჟირი; 51. მაინის; 52. დიადემა; 54. ფრიგია; 55. დეკადა; 58. სორტი; 59. კეგლი; 62. დიმი; 63. ნაია.

ნარვალიანგინააპალმირადიორიშარიათიოდეონიანი
ფარადეიდაბალისტაკატონიასაკითარაზოგანიმედი

| დელფინების ოჯახის ცხოველი | ნუშისებრი ჯირკვლების ანთება | სანკტ-პეტერბურგის პოეტური სახელი | ფრანგი დიზაინერი | მუსლიმანური სამართლის რელიგიური და იურიდიული ნორმები | საკონცერტო შენობა | ქართული ა-ს სახელი |
|---|---|---|---|---|---|---|

| მდინარე ესტონეთში | ერთად თავშეყრილი ხალხი | ლაბისებური საწვავი პროდუქტი | მაუწყე-ბლობის საშუალება | ფრანგი მსახიობი მამაკაცი | დაახლოებით ათი | საზოგადოება „სტალინელის“ ხელმძღვანელი |
|---|---|---|---|---|---|---|



თარაზულად: 1. იაპონელი კინორეჟისორი; 7. ქალაქი კახეთში; 12. პატარა საგზაო ზანდუკი; 13. საკომუნიკაციო ქსელი კომპიუტერში; 14. აშშ-ის შტატი; 15. ქიმიური ელემენტი, ჰალოგენი; 16. დროის შვიდდღიანი მონაკვეთი; 17. ნაბზარების ქსელი კერამიკული ნაწარმის მოჭიქულ ზედაპირზე; 18. სტადიონი რიოში; 22. ბარბადოსელი მომღერალი ქალი; 23. ახალუხის ზემოდან ჩასაცმელი სამოსი; 25. ლიხტენშტეინის დედაქალაქი; 26. ი. ჭავჭავაძის პოემა; 27. ყვავილი; 29. მამათა დიდი მონასტერი; 30. შოკოლადის ხე; 33. ძველი ბერძენი მწერლის ქსენოფონტის თხზულება; 38. რუსული ფულის ერთეული; 39. თაფლის დასაგროვებელი უჯრედები; 41. ძლიერი ხმა; 42. კინოფილმის სცენარის ავტორი; 43. რისამე ღირებულება; 45. მდინარის ჩანგრეული ნაწილი; 46. უოლტ დისნეის თაგვი; 48. ასირიის ლეგენდარული დედოფალი; 53. მესაქონლეობის ფერმა ამერიკაში; 54. ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაცია; 56. გამადიდებელი შუშა; 57. სხვადასხვა ფერის ძაფის ნართი; 58. იტალიელი კინორეჟისორი ვიტორიო დე...; 60. უმწიფარი; 61. რუსი ილუზიონისტი; 62. მომღერალი ... რიდი; 64. უცნობი ავტორი; 65. მიმოსვლის ზოლი დედამიწაზე; 66. სპორტის სახეობა; 67. ოსური ცეკვა; 68. მევიოლინე ვანესა ...; 69. ევროპის სახელმწიფო; 70. ჯადოსნური ლამპარის მფლობელი ზღაპრული პერსონაჟი.

შვეულად: 2. იტალიური გაზეთი; 3. ხელოვნების დარგი; 4. სახალხო კრება ელადაში; 5. საფეიქრო ბანანი; 6. ა. წერეთლის ლექსი; 7. ქართული ზღაპარი; 8. რბილი დივანი მუთაქებით; 9. იაპონელი მწერალი; 10. ქართველი პოეტი; 11. განაჩენის გასაჩივრება; 18. ვულკანური მასა; 19. რეგულარული შემოსავალი მიწიდან, კაპიტალიდან; 20. საბერძნეთის კუნძული; 21. სპორტული ნაწარმის ამერიკული ფირმა; 23. მწარე წიწაკის სახეობა; 24. წყალწაღებულის „იმედი“. 27. შესაფუთი მასალა; 28. დაბალი მაგიდა; 30. ამერიკელი მწერალი; 31. „ზღვის დასალევი ჭურჭელი“; 32. კანტორა; 34. გერმანელი ფილოსოფოსი; 35. საკრედიტო დაწესებულება; 36. აღმოსავლური ჩასაბერი საკრავი; 37. კრედიტი; 39. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია; 40. უმარტივესი გასანათებელი მოწყობილობა; 43. იტალიელი დიზაინერი; 44. ფერმწერი რაფაელ ...; 46. მუსლიმანთა მღვდელი; 47. შავი ფისი; 48. პურის ჭამა სადილსა და ვახშამს შორის; 49. ალაოს შაქარი; 50. ჯარისკაცების დაწყობა მწკრივში; 51. ქალაქი გერმანიაში ... ფრანკფურტი; 52. ღია საშუბლე გვირგვინი; 54. აზიის თურქული ქვეყანა (ძვ.); 55. დროის ათდღიანი მონაკვეთი; 58. ხარისხი; 59. ერთგვარი თამაში ხის ბურთებით; 62. სოფელი ბაღდათის რაიონში; 63. ინდური კობრა.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| ინგლისელი ფიზიკოსი | პატარა სიმაღლის | მოწყვეტით, წყვეტილად (მუს.) | ტბა მოზამბიკში | ძველი ბერძნების სიმებიანი საკრავი | აქა-იქ, არა ყველგან | მოლოდინი, რწმენა. |
|---|---|---|---|---|---|---|

| ცხვრის ჯოგი | დედის და | ლოდსატყორცნი მანქანა (ძვ.) | რომაელი პოლიტიკური მოღვაწე, მწერალი | წლოვანება | ვატერპასი | ზევსის მერიქიფე |
|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.


დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზვავარბიული

ასავალ დასავალი

2022 წლის 24 — 30 ოქტომბერი №44 (1456)

გამოდის ორშაბათობით

2 009882 637296

მედიაჰოლდინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

სარედაქციო კოლეგია

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

წერილები გამოგზავნეთ მისამართზე: **თბილისი, 0160, „ასავალ-დასავალი“.**
ტელეფონები: **215-25-25; 215-35-35; (+995) 570-50-50-50; (+995) 570-50-50-70**
„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**
ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე:
**www.facebook.com/Asavali.com** გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**


